აქციების გადაცემა და ასევე შესაბამისი საშემოსავლო გადასახადი აღირიცხება, როგორც აქციებზე დაფუძნებული გადახდა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით ფასს 2-ის მიხედვით. ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება უფლების ეტაპობრივი გადაცემის მეთოდით უფლების გადაცემის პერიოდის განმავლობაში, რომელიც, ყოველ წელს გადაცემული აქციებისთვის, გრძელდება 2024 წლის მარტამდე; ხოლო ვალდებულება აღირიცხება საბუღალტრო ჩანაწერის მეორე მხარეს. ვალდებულების გადაფასება ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ვალდებულების დაფარვამდე. თუ გადაცემული აქციების ოდენობა დამოკიდებულია გარკვეული შედეგის მიღწევის და მომსახურების პირობების შესრულებაზე, ხელმძღვანელობა გადაცემული აქციების სავარაუდო ღირებულებას გადახედავს ხუთი წლის განმავლობაში პროგნოზირებული მიღწევებისა და მეხუთე წლის ფინანსური მაჩვენებლების საფუძველზე და შესაბამისად დააკორექტირებს ვალდებულებას.

ყოველი დარიცხვა ხდება დისკონტირებული ღირებულებით. ვალდებულების ამორტიზაცია ხდება საპროცენტო ხარჯის დარიცხვით (შესულია თანამშრომლებზე გაწეულ დანახარჯებში) ვალდებულების დაფარვის თარიღამდე. გამოიყენება ხუთწლიანი სახელმწიფო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი.

31 ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

2023 წლის 1 იანვრიდან შემდეგი შეცვლილი სტანდარტები ამოქმედდა, ფასს 9-სა და ფასს 17-ის მიღების გარდა, სხვა ცვლილებებს ჯგუფზე რაიმე არსებითი გავლენა არ მოუხდენია:

ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელმაც კომპანიებს მისცა უფლება განაგრძონ სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვა არსებული პრაქტიკის გამოყენებით. შედეგად, ინვესტორებს გაუჭირდათ სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მაჩვენებლების შედარება. ფასს 17 არის პრინციპზე დაფუძნებული ერთიანი სტანდარტი, რომელიც ითვალისწინებს ყველა სახის სადაზღვევო ხელშეკრულებას, მათ შორის გადაზღვევის ხელშეკრულებებს, რომლებიც მზღეველის მფლობელობაშია.

წარმოადგენს რა ჯგუფის ძირითად ანგარიშგების სტანდარტს, ფასს 17-მა შეცვალა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და ფინანსური ანგარიშგების წარდგენა. ფასს 17-ის შეუფერხებლად და დროულად მიღების უზრუნველსაყოფად ჯგუფმა წამოიწყო ცალკე დანერგვის პროექტი. პროექტის გუნდი შედგებოდა ფინანსების, ბუღალტრული აღრიცხვისა და აქტუარული გუნდის წევრებისაგან და უშუალოდ ანგარიშვალდებული იყო ჯგუფის ფინანსურ დირექტორთან. დირექტორთა საბჭომ განახორციელა დანერგვის პროექტის საერთო მეთვალყურეობა.

ფასს 17-ზე გადასვლის შემდეგ ჯგუფი იყენებს შეფასების შემდეგ მიდგომებს, ხელშეკრულების სახეობიდან გამომდინარე:

31 ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

	პროდუქტის კლასიფიკაცია	შეფასების მოდელი
ავტოდაზღვევა	სადაზღვევო ხელშეკრულებები	პრემიის განაწილების მიდგომა
სასაზღვრო MTPL (მიერ მესამე პირის წინაშე ავტომფლობელის პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა)	სადაზღვევო ხელშეკრულებები	პრემიის განაწილების მიდგომა
ქონების დაზღვევა	სადაზღვევო ხელშეკრულებები	პრემიის განაწილების მიდგომა
აგრო (მოსავლის)დაზღვევა	სადაზღვევო ხელშეკრულებები	პრემიის განაწილების მიდგომა
თიბისი ბანკის მსესხებლების საკრედიტო სიცოცხლის დაზღვევა	სადაზღვევო ხელშეკრულებები	პრემიის განაწილების მიდგომა
ჯანმრთელობასთან დაკავშირებული დაზღვევა	სადაზღვევო ხელშეკრულებები	პრემიის განაწილების მიდგომა
ვალდებულების და სხვა დაზღვევა	სადაზღვევო ხელშეკრულებები	პრემიის განაწილების მიდგომა

ფასს 17-ის მიღება ასევე მოითხოვს, რომ ჯგუფმა 2023 წლის 1 იანვრიდან გამოიყენოს ფასს 9. ფასს 9-ზე და 17-ზე გადასვლისას, ჯგუფმა აირჩია განაახლოს ფინანსური აქტივების შედარებითი ინფორმაცია ფასს 9-ისთვის. ფასს 9 და 17-ის მიღების ეფექტი ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური		
ათასი ლარი	**1 იანვარი 2022**	**ფასს 17-ის და ფასს 9-ს მიღების გავლენა**	**1 იანვარი 2022, ფასს17-ის და ფასს 9-ის მიღების შემდეგ გადაანგარიშებული**
საბანკო დეპოზიტები	46,904	(178)	46,726
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	2,903	(12)	-
საინვესტიციო აქტივები	-	-	2,891
ფასს 9-ის მიღების ეფექტი	**49,807**	**(190)**	**49,617**
სადაზღვევო მოთხოვნები	33,366	-	-
გადაზღვევის მოთხოვნები	3,887	-	-
სადაზღვევო ხელშეკრულებების მომსახურების გადაცემული წილი	8,874	322	-
გადავადებული შეძენის ხარჯები	1,474	-	-
სადაზღვევო ხელშეკრულებების მომსახურება	52,961	(134)	-
საკომისიოს ვალდებულება	15,634	-	-
გადაზღვევის ვალდებულებები	7,819	-	-
საკომისიოს რეზერვი	54	-	-
სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივები	-	-	304
გადაზღვევის სახელშეკრულებო აქტივები	-	-	9,852
სადაზღვევო სახელშეკრულებო ვალდებულებები	-	-	35,242
გადაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები	-	-	3,593
ფასს 17-ს მიღების ეფექტი	**(28,867)**	**188**	**(28,679)**
ფასს 9-ს და ფასს 17-ს მიღების კომბინირებული ეფექტი	**20,940**	**(2)**	**20,938**

31 ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

ფასს 9-ის და ფასს 17-ის მიღების კომბინირებული ეფექტი აღრიცხულია სააქციო კაპიტალის გაუნაწილებელი მოგების ნაწილში.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში განხორციელებული ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ხდიდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ გაურკვეველს. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის შენიშვნებში განმარტებისას.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განსაზღვრა (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვაონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან.

გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან- შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს, ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 12-ში შეტანილი ცვლილებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა ისეთ ოპერაციებზე, როგორიცაა საიჯარო და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები. განსაზღვრულ გარემოებებში, საწარმოები თავისუფლდებიან გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ისინი პირველად აღიარებენ აქტივებს ან ვალდებულებებს. მანამდე არსებობდა გაურკვევლობა იმის თაობაზე, ეხებოდა თუ არა შეღავათი ისეთ გარიგებებს, როგორიცაა საიჯარო და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები - ოპერაციები, რომელთათვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ისე ვალდებულება. ცვლილებების თანახმად, შეღავათი არ მოქმედებს და საწარმოები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ამ ოპერაციებზე. ცვლილებების თანახმად, კომპანიები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ოპერაციებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობს დასაბეგრი და გამოქვითვადი დროებითი სხვაობების თანაბარ რაოდენობას.

ბასს 12 „მოგების გადასახადები“ -შესწორებები: საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – მეორე კომპონენტის სამოდელო წესები (გამოცემულია 2023 წლის 23 მაისს). 2023 წლის მაისში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (ბასსს) გამოსცა ვიწრო მასშტაბის ცვლილებები ბასს 12-სთვის „მოგების გადასახადები“. ეს ცვლილება შემოღებულ იქნა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ საერთაშორისო საგადასახადო რეფორმის შედეგად გამოქვეყნებული მეორე კომპონენტის სამოდელო წესების გარდაუვალი დანერგვის საპასუხოდ. ცვლილებები ითვალისწინებს დროებით გამონაკლისს გადავადებული გადასახადების აღიარებისა და განმარტების მოთხოვნისგან, რაც წარმოიქმნება მოქმედი, ან არსებითად ძალაში შესული საგადასახადო კანონმდებლობიდან, რომელიც ახორციელებს მეორე კომპონენტის სამოდელო წესების დანერგვას. ბასს-ის ძალაში შესვლის თარიღის შესაბამისად, კომპანიებს გამონაკლისის გამოყენება დაუყოვნებლივ შეუძლიათ, მაგრამ შენიშვნებში განმარტების მოთხოვნები მოთხოვნილია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ.

32 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

გამოცემულია ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2024 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის და რომელთა გამოყენებაც მანამდე ჯგუფს არ დაუწყია.

შესწორებები ფასს 16-ში: იჯარა: იჯარის ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). შესწორებები ეხება გაყიდვისა და უკუიჯარის ოპერაციებს, რომლებიც აკმაყოფილებს ფასს 15-ის მოთხოვნებს გაყიდვის გზით აღრიცხვის შესახებ. ცვლილებები მოითხოვს, რომ გამყიდველმა-მოიჯარემ შემდგომში შეაფასოს ვალდებულებები, რომლებიც წარმოიქმნება გარიგებიდან და ისე, რომ არ აღიაროს რაიმე სახის შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან. ეს ნიშნავს ასეთი შემოსულობის გადავადებას მაშინაც კი, თუ არსებობს ვალდებულება განხორციელდეს ცვლადი გადახდები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსსა თუ განაკვეთზე.

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (თავდაპირველად გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და შემდგომში შესწორებულია 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.). ამ შესწორებებით ირკვევა, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ან გრძელვადიანი, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული უფლებების გათვალისწინებით. ვალდებულებები არ წარმოადგენს მოკლევადიანს, თუ საწარმოს, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, აქვს არსებითი უფლება გადაავადოს ანგარიშსწორება სულ მცირე თორმეტი თვით. სახელმძღვანელო მითითებები აღარ მოითხოვს მსგავსი უფლების უპირობობას. 2022 წლის ოქტომბრის შესწორებამ დაადგინა, რომ სასესხო შეთანხმებები, რომლებიც უნდა შესრულდეს საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, არ იმოქმედებს ვალის მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციაზე ანგარიშგების თარიღისთვის. ხელმძღვანელობის მოლოდინი, შემდგომში გამოიყენებს თუ არა ის ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, არ ახდენს გავლენას ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ საანგარიშგებო თარიღამდე, ან თარიღისთვის რაიმე პირობა დაირღვა და მიუხედავად იმისა, სესხის გამცემისგან ამ პირობაზე უარი მოპოვებული არის თუ არა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ. და პირიქით, სესხი კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ სასესხო შეთანხმება დაირღვა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. გარდა ამისა, შესწორებები მოიცავს ისეთი ვალის კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას, რომლის ანგარიშსწორებაც კომპანიას მისი საკუთარ კაპიტალად გარდაქმნით შეუძლია. „ანგარიშსწორება“ განისაზღვრება, როგორც ვალის ფულადი სახსრებით, ეკონომიკური სარგებლის შემცველი სხვა რესურსებით, ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით დაფარვა. არსებობს გამონაკლისი გარდაქმნად ინსტრუმენტებზე, რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას კაპიტალად, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, სადაც გარდაქმნის შესაძლებლობა კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი, როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტი [ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.]

ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს). ფინანსური შეთანხმებების არაადეკვატური ან შეცდომაში შემყვანი განმარტებების შესახებ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა მოთხოვნის საპასუხოდ, 2023 წლის მაისში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა ცვლილებები ბასს 7-სა და ფასს 7-ში, რათა მოთხოვნილ იქნას საწარმოს მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების შესახებ განმარტება შენიშვნებში. ეს ცვლილებები მოითხოვს საწარმოს მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების განმარტებას შენიშვნებში, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს შეაფასონ ამ შეთანხმებების გავლენა საწარმოს ვალდებულებებსა და ფულად ნაკადებზე, ასევე საწარმოს ლიკვიდურობის რისკისადმი დაქვემდებარებაზე. განმარტებითი შენიშვნების დამატებითი მოთხოვნების მიზანია მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების გამჭვირვალობის გაზრდა. ცვლილებები გავლენას არ ახდენს აღიარების, ან შეფასების პრინციპებზე, არამედ მხოლოდ განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნებზე.

32 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

განმარტებითი შენიშვნების ახალი მოთხოვნები ძალაში შევა 2024 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის.

ფასს 14, გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშები (გამოცემულია 2014 წლის 30 იანვარს და ძალაშია 2016 წლის 1 იანვარს დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). სტანდარტის პირველად გამოყენებისას ფასს 14 უფლებას იძლევა გაგრძელდეს განაკვეთების რეგულირებასთან დაკავშირებული თანხების აღიარება მათი წინა, საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების მოთხოვნების შესაბამისად მაშინ, როდესაც ისინი იწყებენ ფასს სააღრიცხვო სტანდარტების გამოყენებას. თუმცა, ისეთ საწარმოებთან შედარებითობის უზრუნველსაყოფად, რომლებიც უკვე იყენებენ ფასს სააღრიცხვო სტანდარტებს და მსგავს თანხებს არ აღიარებენ, სტანდარტი მოითხოვს, რომ განაკვეთების რეგულირების ეფექტი წარმოდგენილი იყოს განცალკევებით სხვა მუხლებისგან. საწარმო, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებებს უკვე წარადგენს ფასს სააღრიცხვო სტანდარტებთან შესაბამისობაში, არ არის უფლებამოსილი გამოიყენოს მოცემული სტანდარტი.

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა-ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ასსს-ის მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ეს ცვლილება ეხება ფასს 1--ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვას ან შეტანას.

ამ ცვლილების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს.

ჯგუფი ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

33 შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია არანაირ მოვლენებს.

სს „თიბისი დაზღვევა“

მმართველობის ანგარიშგება

31 დეკემბერი, 2023 წ.

შინაარსი

1. მოკლე მიმოხილვა 3
2. ზოგადი მიმოხილვა 4
3. ციფრული არხები 5
4. ფინანსური მაჩვენებლები 8
5. გენერალური დირექტორის მიმართვა 10
6. რისკის მართვა 13
7. ჩვენი გუნდი 15
8. კორპორაციული მართვა 16
9. სამეთვალყურეო საბჭო 17
10. მმართველი საბჭო 20

1. მოკლე მიმოხილვა

სს „თიბისი დაზღვევა“ (შემდგომში „თიბისი დაზღვევა“ ან „კომპანია“), „თიბისი ბანკთან“ ერთად, არის საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“ წევრი, წარმოადგენს საქართველოს უმსხვილეს ფინანსურ ჯგუფს, ცნობილია მძლავრი ფინანსური მაჩვენებლებით, უმაღლესი დონის მომსახურების გამოცდილებით, ძლიერი ბრენდითა და სფეროში საუკეთესო ციფრული არხებით.

„თიბისი დაზღვევა“ არის ერთ-ერთი წამყვანი სადაზღვევო კომპანიაა არა-ჯანმრთელობის დაზღვევის ბაზარზე, მძლავრი ციფრული მარავალარხიანი მომსახურებით და მრავალფეროვანი და ინოვაციური ციფრული პროდუქტებით. ჩვენ ვცდილობთ მივაღწიოთ ძლიერ ფინანსურ მაჩვენებლებს და მოვახდინოთ აქციონერული ღირებულების მაქსიმიზაცია. ამავდროულად სრულად გვაქვს გააზრებული პასუხისმგებლობა ჩვენი მომხმარებლების, თანამშრომლების, საზოგადოებისა და გარემოს წინაშე. მომხმარებლის კმაყოფილება ჩვენი საქმიანობის ქვაკუთხედია. ეს სულისკვეთება, ასევე ახალგაზრდა და ნიჭიერი თანამშრომლების ინოვაციური მიდგომა, რომლებიც გამოცდილ და მრავალფეროვან მმართველ გუნდთან ერთად მჭიდროდ თანამშრომლობენ, უზრუნველყოფს, რომ კომპანია წლიდან წლამდე სტაბილურ ფინანსურ შედეგებს აჩვენებს.

„თიბისი დაზღვევა“ მოიცავს ყველა ბიზნესსექტორს, მათ შორის საცალო, მცირე და საშუალო საწარმოების და კორპორაციულ სექტორებს და საცალო და ბიზნესკლიენტების სხვადასხვა მოთხოვნას მრავალფეროვანი პროდუქტებით აკმაყოფილებს. პროდუქტების მიწოდება ხდება კარგად განვითარებული მრავალარხიანი ქსელის საშუალებით. თითოეული არხი და პროდუქტი მისადაგებულია მომხმარებელთა კონკრეტული ჯგუფის საჭიროებებისა და მოთხოვნებისადმი.

2019 წლის მეორე კვარტალში ჩვენ ჯანმრთელობის დაზღვევის მიმართულებაც დავამატეთ და 2023 წლის ბოლოსთვის ქვეყნის მასშტაბით გვყავდა 53,000+ დაზღვეული კლიენტი, რასაც მხარს უჭერს 436 პროვაიდერი კლინიკა.

კომპანია ახორციელებს საქართველოში პირველი ციფრული ჯანდაცვის ეკოსისტემის -„რედმედის“ ოპერირებას. შპს „რედმედი“ „თიბისი დაზღვევის “ მიერ სრულად ფლობილი შვილობილი კომპანიაა, ასევე, ის წარმოადგენს ერთადერთ შვილობილ საწარმოს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

„რედმედი“ არის სამედიცინო მომსახურების მოძიების სრულად ციფრული კომპანია, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს სწრაფად მოიძიონ, დაჯავშნონ და მიიღონ სამედიცინო მომსახურება. აპლიკაცია მარტივი გამოსაყენებელია - მომხმარებელს მხოლოდ მოეთხოვება დარეგისტრირება და ანგარიშის შექმნა, რათა მოიძიოს სასურველი ექიმი, დაჯავშნოს ვიზიტი, მიიღოს ონლაინ სამედიცინო კონსულტაცია , შეუკვეთოს წამლები და ა.შ.

ვინაიდან ეკოსისტემური სერვისების მოდელი სულ უფრო პოპულარული ხდება, მიგვაჩნია, რომ მომსახურების ეს მოდელი წარმატებული გამოდგება და შესაძლებლობას მოგვცემს:

- გავაუმჯობესოთ მონაცემების ანალიტიკის შესაძლებლობები, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს ჩვენი ანდერაიტინგის ეფექტურობას;
- შევამციროთ არასაჭირო ამბულატორიული ვიზიტები კლინიკებში, რის შედეგადაც იკლებს ზარალის ანაზღაურების მოთხოვნების დაკმაყოფილების ხარჯები და, საბოლოო ჯამში, დადებითად აისახება ზარალის კოეფიციენტზე;
- მოვახდინოთ პროცესების ავტომატიზაცია და დაუყოვნებლივ განვსაზღვროთ და ავანაზღაუროთ დამდგარი ზარალი.

ჩვენი ხედვა

ჩვენ მართებულ საქმეს ვაკეთებთ ცხოვრების შესამსუბუქებლად.

სტრატეგიული პრიორიტეტები

- ზარალის გამჭვირვალედ, მოსახერხებლად და დროულად ანაზღაურების მომსახურება
- გაციფრულებული გაყიდვების არხები და პროცესები
- წმინდა კომბინირებული კოეფიციენტის ეფექტური მართვა[1]
- მხარდამჭერი, ძლიერი და თანამედროვე ბრენდი
- მომხმარებელთან უმაღლესი დონის ურთიერთობის გამოცდილება როგორც კორპორაციული, ისე ინდივიდუალური კლიენტებისთვის

2. ზოგადი მიმოხილვა

2023 წლისთვის, დაზღვევა კასკო (უბედური შემთხვევების და ავარიების დაზღვევა), ბაზრის 32% წილით, უმსხვილეს პროდუქტად რჩება ქართულ არა-ჯანმრთელობის დაზღვევის ბაზარზე. კასკოს ბაზარი წლიდან წლამდე 25.7%-ით გაიზარდა, ეს იყო მთავარი მამოძრავებელი ფაქტორი, რომელმაც ხელი შეუწყო არა-ჯანმრთელობის დაზღვევის მთლიანი ბაზრის ზრდას 16.9%-თ. პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების შემსუბუქებამ ხელი შეუწყო სამოგზაურო დაზღვევის გაყიდვების ზრდას 2022 წელს და გასულ წელს, მას ყველაზე დიდი ზრდა ჰქონდა 77.9%-ის ოდენობით.

[1] წმინდა სადაზღვევო მოთხოვნებს დამატებული აკვიზიციური და ადმინისტრაციული ხარჯები შეფარდებული წმინდა გამოუმუშავებელ პრემიასთან.

შედარებისთვის, სამოგზაურო დაზღვევას 2023 წელს მხოლოდ მოკრძალებული 2.1%-იანი ზრდა ჰქონდა.

2023 წელს დაფიქსირებული 23.3%-იანი ბაზრის წილით, „თიბისი დაზღვევამ“ არა-ჯანმრთელობის დაზღვევის ბაზარზე მეორე ადგილი შეინარჩუნა.

ჯამური არა-ჯანმრთელობის დაზღვევის ბაზრის (სავალდებულო ავტოპასუხისმგებლობის დაზღვევის გარდა) მოზიდული სადაზღვევო პრემიის[2] ოდენობა გაიზარდა 79,988 ათასი ლარით (2022 წელს 470,479 ათასი ლარიდან 2023 წელს 550,717 ათას ლარამდე), რაც ყველაზე მეტად კორპორაციული და საცალო სექტორების ზრდას უკავშირდება, ხოლო საჯარო სექტორი თითქმის უცვლელი დარჩა.

2023 წელს „თიბისი დაზღვევის“ ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევები:

- პირველი ადგილის შენარჩუნება საცალო არა-ჯანმრთელობის დაზღვევის ბაზარზე და მეორე ადგილი მთლიანი დაზღვევის ბაზარზე.
- ციფრული წარმომადგენლობის განახლება და გაუმჯობესება.
- ჯანმრთელობის დაზღვევის წმინდა კომბინირებული კოეფიციენტის თითქმის უცვლელად შენარჩუნება (92.8% 2023 წელს 92.1% 2022 წელთან შედარებით) და ჯანმრთელობის დაზღვევის პორტფელის 45.7%-ით ზრდის ეფექტურად მართვა.

2022 წელს „თიბისი დაზღვევამ“ გააგრძელა სხვადასხვა საცალო გაყიდვების არხების აქტიური გამოყენება. ეს არხებია: როგორც შიდა, ისე გარე ციფრული ქსელები, თიბისი ბანკის ფიზიკური ფილიალები, კომპანიის ვიპ გაყიდვების დეპარტამენტები, სააგენტოების ქსელი (ბათუმის, ფოთის, ზუგდიდისა და ქუთაისის ფილიალების ჩათვლით) და ავტომოვაჭრეები. ამ არხების მეშვეობით მთლიანად მოზიდული პრემია 2023 წელს 84,123 ათას ლარს შეადგენს. ეს შეესაბამება 9.8%-იან წლიურ ზრდას.

3. ციფრული არხები

ტექნოლოგიების განვითარების შედეგად მიმდინარეობს ტრადიციული სადაზღვევო მეთოდების ხელახლა ფორმირება და როგორც ბაზრის ლიდერს, „თიბისი დაზღვევას“ სურს მის კლიენტებს შესთავაზოს საუკეთესო სადაზღვევო გამოცდილება. აქედან გამომდინარე, ციფრული ტრანსფორმაციის ხელშეწყობა „თიბისი დაზღვევის“ სტრატეგიულ პრიორიტეტად რჩება.

[2] ფინანსური წლის განმავლობაში ძალაში შესული ყველა ხელშეკრულების სახელშეკრულებო სადაზღვევო პრემიების ჯამი, ფინანსური წლის განმავლობაში გაუქმებული ხელშეკრულებების გაუქმების ეფექტის გამოკლებით.

გაციფრულების სტრატეგიის ფარგლებში გამოირჩევა „თიბისი დაზღვევის“ აპლიკაციის შემუშავება.

2023 წელს აპლიკაციაში გავუშვით ახალი პრემიუმ სამოგზაურო დაზღვევის პროდუქტი. გარდა ამისა, განვაახლეთ კასკოს მოდულები ვიდეო გადაღების ახალი ფუნქციებით. ჯანმრთელობის მოდულში გავაუმჯობესეთ სერვისები VIP კლიენტებისთვის. წლის ბოლოს, Apple Pay-სა და Google Wallets-ში სამოგზაურო დაზღვევის ინტეგრირება დაიწყო, Apple Pay პროდუქტზე მუშაობის დაწყებასთან ერთად.

აპლიკაციაში დავნერგეთ მომხმარებლის მართვის თანამედროვე ფუნქციები, რაც საშუალებას აძლევს ნებისმიერ მომხმარებელს დარეგისტრირდეს მობილურ აპლიკაციაში აქტიური სადაზღვევო პოლისის გარეშეც.

მათი კომფორტისთვის, ჩვენს დაზღვეულებს ვთავაზობთ ჩვენს მობილურ აპლიკაციას, რომელიც ათანამდეროვებს სადაზღვევო პროდუქტებს, ზარალის ანაზღაურების მოთხოვნების დამუშავებას და ექიმთან ვიზიტებს. შემდეგი სტრატეგიული ნაბიჯი იქნება ამ აპლიკაციის გაუმჯობესება მრავალი დამატებითი ფუნქციით, რაც მიზნად ისახავს კლიენტების ჩართულობის გაზრდას და მომხმარებლებთან უწყვეტი ურთიერთობის გამოცდილების ხელშეწყობას. „თიბისი დაზღვევა“ პოზიციონირებს ბაზარზე, როგორც ციფრული მომსახურების კომპანია, რომლის მიზანია გახდეს რეგიონში სადაზღვევო მომსახურების წამყვანი მომწოდებელი, შექმნას შესანიშნავი ციფრული დაზღვევის გამოცდილება და შეინარჩუნოს სტაბილურობა და უსაფრთხოება, რაც მოიცავს მონაცემთა დაცვას.

2023 წლის მარტში ჩვენ კიდევ უფრო მეტად გავზარდეთ ჩვენი ციფრული წარმომადგენლობა „თიბისი დაზღვევის“ უახლესი აპლიკაციის „აგენტოს“ მუშაობაში ჩაშვებით. ეს აპლიკაცია ადვილი და სწრაფი დამატებითი შემოსავლის გამომუშავების საშუალებას აძლევს ნებისმიერს, რითიც მოიზიდავს პოტენციურ კლიენტებს სხვადასხვა სადაზღვევო პროდუქტების მიმართ.

2023 წლის სექტემბერში დავიწყეთ ჩვენი მობილური აპლიკაციისა და ვებგვერდის ხელახალი დიზაინის პროექტი, დავნერგეთ რა ახალი დიზაინის კონცეფცია და არსებული პროცესების შეფასება/აუდიტი.

სადაზღვევო ეკოსისტემები ხელს უწყობს თანამშრომლობას და სიახლეების შემოღებას ინდუსტრიაში არსებულ სხვადასხვა მოთამაშეებს შორის. 2023 წელი თიბისი ბანკის ინტერნეტ და მობილურ ბანკში სადაზღვევო მოდულის რედიზაინისა და გაუმჯობესების წელი იყო. ამ პროექტმა საშუალება მისცა „თიბისი დაზღვევას“, „თიბისი დაზღვევის“ პლატფორმებში მომხმარებელთან ურთიერთობის შეუფერხებელი გამოცდილება შეეთავაზებინა.

2022-2023 წლებში „თიბისი დაზღვევის“ ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იყო ზარალის ანაზღაურების მოთხოვნების დამუშავების პროცესის გამარტივება და ოპტიმიზაცია ჩვენი ზარალის ანაზღაურების მოთხოვნებისთვის მომხმარებლებთან ურთიერთობის მართვის სისტემის გამოყენებით. მოთხოვნების განხილვის პროცედურებში სრულყოფილებისკენ მისწრაფების გათვალისწინებით, „თიბისი დაზღვევამ“ გაზარდა გაციფრულების მაჩვენებელი როგორც შიდა პროცესებში, ასევე მომხმარებელთან დაკავშირებულ სისტემებში. მნიშვნელოვანი გაუმჯობესებები მოიცავს გათანამედროვებულ პროცესებს, მათ შორის ზარალის ანაზღაურების მოთხოვნების რეგისტრაციის, შეფასების, გაანგარიშებისა და დამტკიცების პროცედურებს, რაც იწვევს ადამიანური შეცდომების მინიმიზაციას. ის ასევე აერთიანებს სხვადასხვა სამუშაო არხებს ერთ შემაკავშირებელ სივრცეში.

მომხმარებლებთან ურთიერთობის მართვის სისტემის (CRM) უპირატესობები:

- 80% ავტომატიზაცია პროცესებში.
- ავტოდაზღვევის ზარალების რეგულირების დეპარტამენტისთვის ერთიანი სამუშაო ზონა - არ არის საჭირო ზარალების რეგულირებისთვის მრავალი პროგრამის გამოყენება, სრული ინფორმაცია ინახება მომხმარებლებთან ურთიერთობის მართვის სისტემაში
- გაუმჯობესებული პროცესები, მათ შორის ნაკადების ადაპტირება ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის ტიპის მიხედვით (ნაწილობრივი ზარალი/მთლიანი ზარალი; მარტივი მოთხოვნა/კომპლექსური მოთხოვნა, რეგულირება ფოტოების შეგროვების ინსტრუმენტის მეშვეობით ან მის გარეშე).
- სისტემის სტრუქტურა სამომავლო განვითარების და ინტეგრაციის საშუალებას იძლევა.
- თანამედროვე UX/UI.

პროცესების/ნაკადის ავტომატიზაციისა და ოპტიმიზაციის დახმარებით მოთხოვნების რეგულირების დროს შემცირდა 20%-ით

წლის ბოლოს, ინდურ კომპანია Autorox-თან ერთად, დაიწყო ახალი პროექტი, როგორც ზარალის ანაზღაურების მოთხოვნების რეგულირების უწყვეტი პროცესის ნაწილი, რომელიც სერვის ცენტრის მართვის პროცესის ავტომატიზების საშუალებას იძლევა.

ავტოდაზღვევის ყველა სფეროში ზარალის დარეგულირების პროცესის გაციფრულების დასასრულებლად „თიბისი დაზღვევამ“ შექმნა ახალი აპლიკაცია ზარალის დარეგულირების სპეციალისტებისთვის. ეს თანამედროვე ინსტრუმენტი ზარალის დარეგულირების სპეციალისტებს

საშუალებას აძლევს მიიღონ შეტყობინებები იმ სადაზღვევო შემთხვევებისთვის, რომლებიც მათ პასუხიმგებლობას ექვემდებარება, ასევე მათ საშუალებას აძლევს დაასურათონ ავტოსაგზაო შემთხვევა ლაივ კამერით , მოგვიანებით ფოტოები შეინახონ გალერეაში და გააგზავნონ მომხმარებლებთან ურთიერთობის მართვის სისტემაში.

4. ფინანსური მაჩვენებლები

2022 წლის მაჩვენებლების მსგავსად, 2023 წელსაც ახასიათებდა მკაცრი კონკურენცია მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისა და კორპორაციულ ბაზარზე. მიუხედავად ამისა, ჩვენ მოვახერხეთ და დავაზღვიეთ ბაზარზე არსებული წამყვანი კომპანიები, რაც მოიცავდა მრავალეროვნულ, ასევე ადგილობრივ კომპანიებს სასტუმრო მომსახურების, დისტრიბუციის, საცალო ვაჭრობის, მომსახურებების, ტექნოლოგიებისა და სხვა სფეროებიდან.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების წლიური განვითარება მოცემულია დიაგრამებზე ქვემოთ:



CAGR* 23.0%



CAGR 35.3%



*CAGR 20.7%







CAGR 24.5%

**CAGR – ნაერთი წლიური ზრდის ტემპი*

[თანხები გამოხატულია მილიონობით ლარში; ბაზრის წილი სავალდებულო ავტოპასუხისმგებლობის დაზღვევის და ჯანმრთელობის დაზღვევის ხაზების გარეშე]

[1] დაზღვეულთათვის გადახდილი ყველა სადაზღვევო მოთხოვნა, დამატებული დაურეგულირებელი მოთხოვნების შეფასების ცვლილება, გადაზღვევის წილის გარეშე

5. გენერალური დირექტორის მიმართვა

მიმოხილვა

2023 წელი უფრო სტაბილური იყო 2022 წელთან შედარებით, რადგან რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებულმა თავდაპირველმა გაურკვევლობამ იკლო და ინფლაციამ დაიწყო შემცირება (საშუალოდ 2.5% 2023 წელს, შედარებული 11.9%-თან 2022 წელს). ჩვენს მთავარს პრიორიტეტად ჩვენი თანამშრომლები და მომხმარებლები დარჩნენ.

მთავარი მიღწევები

ჩვენ მოვახერხეთ საბაზრო პოზიციის შენარჩუნება და 2023 წლის ბოლოსთვის, „თიბისი დაზღვევა“ , არა-ჯანმრთელობის დაზღვევის ბაზრის საცალო სეგმენტში 34.9%-იანი წილით **პირველ ადგილს იკავებდა**, ხოლო მთლიანი არა-ჯანმრთელობის დაზღვევის ბაზრის 23.3% წილით, იკავებდა მეორე ადგილს.

ჩვენი კორპორაციული ჯანმრთელობის დაზღვევის კლიენტთა ბაზამ წლიური 43.6%-იანი ზრდა აჩვენა და დაზღვეულთა რაოდენობამ გადააჭარბა 53,000+ 2023 წლის ბოლოსთვის, რაც აღსანიშნავია კორპორაციული ჯანმრთელობის დაზღვევის ბაზრის გაჯერებულობის მაღალი დონის გათვალისწინებით.

კოვიდ-19-ის პანდემიის შემდგომ ახალ რეალობაში ჩვენი ციფრული სტრატეგია არა-ჯანმრთელობის ბიზნესში უფრო აქტუალური აღმოჩნდა, ვიდრე ოდესმე. 2023 წელს ციფრულმა გაყიდვებმა 2 მილიონ ლარს გადააჭარბა, ამავდროულად 9.1%-ით გაიზარდა ავტოდაზღვევის მოთხოვნების დისტანციურად რეგულირების წილი. ამასობაში ჩვენმა ჯანმრთელობის დაზღვევის აპლიკაციამ პოპულარობა მოიპოვა დაზღვეულთა შორის მომხმარებელთა 39.8%-იანი ზრდით.

თანამშრომლებისთვის შექმნილი ღირებულება

„თიბისი დაზღვევაში“ წარმატება იწყება ჩვენი გუნდით!

2023 წელს, ჩვენი თანამშრომლების ჩართულობისა და მოტივირების მიზნით, გავაგრძელეთ თანამშრომლებში ინვესტიციების განხორციელება მათთვის სემინარებისა და ტრენინგების ჩატარებით, რომლებიც ემსახურებოდა მათი ცოდნის გაღრმავებას და იმ უნარების დახვეწას, რომლებიც უმნიშვნელოვანესია ანდერაიტინგის, საოპერაციო და გაყიდვების სფეროებში მაღალი დონის პროფესიონალიზმის მისაღწევად.

ჩვენს თანამშრომლებს ნებადართული აქვთ დისტანციურად მუშაობის მოქნილობა ნაწილობრივ საფუძველზე. ჰიბრიდული მოდელით, თანამშრომლებს შესაძლებლობა აქვთ დააბალანსონ სამსახურებრივი და პირადი დრო, რისი შედეგიც არის უფრო მაღალი პროდუქტიულობა, კმაყოფილება და ჩართულობის მაღალი დონე. ჰიბრიდული მოდელის შესანარჩუნებლად დავხვეწეთ საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემები და ვიზრუნეთ მათ უწყვეტად გამართულ და დაცულ ფუნქციონირებაზე.

ამის შედეგად, 2023 წელს თანამშრომელთა ჩართულობის ინდექსმა 90.4%-ს მიაღწია.

კლიენტებისა და საზოგადოებისთვის შექმნილი ღირებულება

ვინაიდან ჩვენს ირგვლივ სამყარო იცვლება, ასევე იცვლება კლიენტების მოლოდინებიც, რაც ნიშნავს, რომ ჩვენც ფეხი უნდა ავუწყოთ ამ ტენდენციებს.

2023 წელს ჩვენ განვახორციელეთ რამდენიმე ინიციატივა ჩვენი მომხმარებლების მხარდასაჭერად. გვსურს ყურადღება გავამახვილოთ კრიტიკული დაავადებების დაზღვევის პროდუქტის მნიშვნელოვან განახლებაზე. თავდაპირველად უზრუნველყოფდა 7 კრიტიკული დაავადების დაფარვას, პროდუქტმა გაიარა საფუძვლიანი გადახედვა, რის შედეგადაც ის გაფართოვდა 21 დაავადებაზე. ეს გაუმჯობესება ხაზს უსვამს ჩვენს ვალდებულებას უზრუნველვყოთ ჩვენი კლიენტებისთვის ყოვლისმომცველი დაცვა, ჯანდაცვის საჭიროებებთან შესაბამისობა და მეტი ფინანსური უსაფრთხოება ჯანმრთელობის გამოწვევების ფართო სპექტრის საპირისპიროდ.

ჩვენს სამოგზაურო დაზღვევის პროდუქტში დავნერგეთ პრემიის დაფარვის შესაძლებლობა, რომელიც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს როგორც სადაზღვევო ლიმიტს, ასევე შეთავაზებულ დაფარვას.

ჩვენ გვეამაყება, რომ ჯანმრთელობის და ავტოდაზღვევის მომხმარებლებს გამორჩეულ მომსახურებას ვთავაზობთ, რაზეც მეტყველებს მომხმარებლის ლოიალურობის 71%[1] იანი და 79%-იანი ინდექსები, შესაბამისად.

დადებითი შედეგის მოსახდენად, ჩვენ შევქმენით გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის (ESG) სტრატეგია, რომელიც ემსახურება ჩვენს მიერ გრძელვადიანი წვლილის შეტანას ჩვენი ქვეყნის განვითარებაში. ჩვენი მიზანია უზრუნველვყოთ ჩვენი საქმიანობის, თანამშრომლების, მომწოდებლებისა და ფართო საზოგადოების მდგრადობა. ჩვენი გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის სტრატეგია შემდეგ ძირითად საკითხებს ეხება: პროდუქტებისა და მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, დივერსიფიცირებული სამუშაო ძალა, თანასწორობა და ჩართულობა, მდგრადი და „მწვანე“ სადაზღვევო პორტფელი და ამ გავლენების შეფასების სისტემა.

[1] პრომოტერის (მომხმარებლის კმაყოფილების და ერთგულების) წმინდა მაჩვენებელი შეფასდა 2023 წლის იანვარში, დამოუკიდებელი კვლევითი და საკონსულტაციო ფირმის მიერ.

ინვესტორებისთვის შექმნილი ღირებულება

„თიბისი დაზღვევა“ ზრუნავს თავის აქციონერული ღირებულების მაქსიმიზაციაზე. 2023 წელს ჩვენმა წმინდა მოგებამ 20.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გასულ წელთან შედარებით 18.9%-ით უფრო მაღალი მაჩვენებელია. 11.0 მილიონი ლარის დივიდენდები განაწილდა ჩვენს აქციონერებზე.

ჩვენი ფინანსური სიმტკიცე და სტაბილურობა გამოხატულია გადახდისუნარიანობის და კომბინირებული კოეფიციენტებით, რომლებიც, შესაბამისად, 157.7%-სა და 89.0%-ს შეადგენს.

პერსპექტივა

ეკონომიკაზე პანდემიის გავლენის გარდა, არსებობს პოლიტიკური დაძაბულობა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, რის გამოც გვიხდება შემდგომი ნაბიჯების საგულდაგულოდ აწონ-დაწონვა, რათა დავიცვათ ბალანსი ეკონომიკის მერყეობასა და ჩვენს ამბიციურ მიზნებს შორის.

ჩვენი თავდაუზოგავი შრომა საქმიანობის შედეგებისთვის ჩვენი თანამშრომლებისა და მომხმარებლების კეთილდღეობისთვის, ჩვენი მუდმივი ინვესტიცია ციფრულ განვითარებაში და ჩვენი მტკიცე ფინანსური დისციპლინა საფუძველს მაძლევს დაბეჯითებით განვაცხადო, რომ „თიბისი დაზღვევა“ გაუძლებს ქარტეხილებს და უახლოეს მომავალში უფრო მდგრად, ინოვაციურ საიმედო კომპანიად მოგვევლინება.

პაატა ღამაძე
გენერალური დირექტორი

6. რისკის მართვა

სამეთვალყურეო საბჭო, ჯგუფის ხელმძღვანელობასთან ერთად, პასუხისმგებელია ჯგუფის რისკის მართვის სისტემის დანერგვასა და ზედამხედველობაზე, ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკის შემუშავებასა და მონიტორინგზე და აქციონერების წინაშე თავისი საქმიანობის რეგულარული ანგარიშგების უზრუნველყოფაზე.

ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკა შეიქმნა იმისთვის, რომ მოხდეს ჯგუფის წინაშე მდგარი რისკების გამოვლენა და გაანალიზება, რისკის სათანადო ზღვრების დაწესება და კონტროლის მექანიზმების შემუშავება, ასევე რისკებისა და მათი ლიმიტების დაცვის ზედამხედველობა. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემები რეგულარულად გადაიხედება, რათა მასში აისახოს საბაზრო პირობებში და ჯგუფის საქმიანობაში მოხდენილი ცვლილებები. ჯგუფი, თავისი ტრენინგების, მართვის სტანდარტების და პროცედურების მეშვეობით, მიზნად ისახავს, შექმნას დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომელშიც თანამშრომლებს კარგად აქვთ გააზრებული თავიანთი ფუნქციები და პასუხისმგებლობა.

სამეთვალყურეო საბჭო ზედამხედველობას უწევს შესაბამისობას ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკასა და პროცედურებთან და ამოწმებს რისკის მართვის სისტემის ადეკვატურობას ჯგუფის წინაშე მდგარი რისკებისთვის.

სადაზღვევო საქმიანობის ხასიათის გათვალისწინებით, სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია რისკის მართვის ქმედითი ფუნქციის ჩამოყალიბება.

რისკის ეფექტური მართვის უზრუნველსაყოფად, „თიბისი დაზღვევამ“ შეიმუშავა და დანერგა რისკის მართვის საერთო სისტემა, რომელიც მოიცავს ყველა ტიპის რისკს, როგორიცაა ფინანსური რისკი, საოპერაციო რისკი, საინფორმაციო უსაფრთხოება, კიბერშეტევების რისკი და კანონშესაბამისობისა და საკანონმდებლო ცვლილებების რისკი.

რისკის მართვის ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტია რისკის დასაშვები დონის, იგივე რისკისადმი დაქვემდებარების (ე.წ. „რისკის აპეტიტის“) მართვა, რაც მოიცავს ფინანსური და არაფინანსური რისკის კოეფიციენტებს. რისკისადმი დაქვემდებარების (RAF „რისკის აპეტიტის ჩარჩოს“) მიზანია ისეთი მტკიცე საოპერაციო გარემოს შექმნა, სადაც „თიბისი დაზღვევის“ წინაშე მდგარი ყველა არსებითი რისკი და რისკიანი საქმიანობა, რომლებიც სცდება კომპანიის რისკის დასაშვები დონის ფარგლებს, გამოვლინდეს, აღირიცხოს და დროულად იმართოს. რისკისადმი დაქვემდებარება განსაზღვრავს რისკის იმ დონეს, რომლის ასაღებად კომპანია მზადაა, უკუგების მიღებისა და ღირებულების შექმნის მიზნით. იგი ასევე მკაფიოდ განმარტავს რისკის იმ ტიპებს, რომელთა თავიდან არიდებაც სასურველია. „რისკის აპეტიტის ჩარჩო“ ყოველწლიურად ახლდება, ბოლოს ის 2023 წლის ოქტომბერში განახლდა.

ინფორმაციისა და კიბერუსაფრთხოების საქმიანობა მოიცავს პოლიტიკის მუდმივად განახლებას და ისეთი ახალი ინსტრუმენტების დანერგვას, როგორიცაა DLP, ანტივირუსული პროგრამა, EDR, SIEM, NG ფაიერვოლი, და მოწყვლადობის სკანერი.

რისკის მართვა ასევე მოიცავს საოპერაციო რისკის მართვის მუდმივ საქმიანობას, როგორიცაა რისკის და კონტროლის თვითშეფასება (RCSA), ინციდენტების მართვა, მთავარი რისკების ინდიკატორები (KRI), მომწოდებლის რისკის შეფასება , თაღლითობის რისკის შეფასება და ა.შ.

„თიბისი დაზღვევა“ ახორციელებს იმ ფიზიკური და იურიდიული პირების პოტენციური ზარალების შეფასებას, რომლებიც დაზღვეულები არიან ჯანმრთელობის, სიცოცხლის, პირადი უბედური შემთხვევის, ასევე ქონების და სხვა უბედური შემთხვევების დაზღვევის ხელშეკრულებებით. „თიბისი დაზღვევა“ წინასწარ ვერ განსაზღვრავს ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ზარალის დადგომის დროსა და მოცულობას. ამასთან დაკავშირებული მთავარი რისკი ისაა, რომ ზარალის სიხშირე და მოცულობა შეიძლება მოსალოდნელზე მაღალი აღმოჩნდეს. სადაზღვევო შემთხვევებს მოულოდნელობა ახასიათებს და წლის განმავლობაში მათი რეალური სიხშირე და მოცულობა, შესაძლოა, სტატისტიკური მოდელებით მიღებული პროგნოზებისგან განსხვავდებოდეს. „თიბისი დაზღვევას“ ასევე აქვს საბაზრო რისკი თავისი სადაზღვევო და საინვესტიციო საქმიანობის გამო.

„თიბისი დაზღვევა“ ამ რისკებს მართავს ერთი მხრივ, სათანადო ანდერაიტინგით და, მეორე მხრივ, რისკის გადაცემის მეშვეობით გადაზღვევის გამოყენებით. „თიბისი დაზღვევა“ ყიდულობს გადაზღვევის პაკეტებს თავისი საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებისთვის: ავტო, სიცოცხლის, ქონების, ტვირთის, პასუხისმგებლობის და გარანტიის დაზღვევისთვის.

„თიბისი დაზღვევის“ ხელმძღვანელობა ყოველთვიურად გადახედავს საწარმოს საკრედიტო, ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკებს:

1. საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური გარიგების ერთი მხარე ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ან გადამზღვეველი კომპანია ვერ გადაიხდის ზარალის მის წილს. გადამზღვეველი კომპანიების შერჩევა მკაცრად ხდება მათი გადახდისუნარიანობის, საიმედოობისა და კრედიტუნარიანობის კრიტერიუმების საფუძველზე.

2. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფს გაუჭირდება ფულადი სახსრების მოზიდვა თავისი ვალდებულებების შესასრულებლად. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა. „თიბისი დაზღვევის“ ლიკვიდური აქტივები. გადახდისუნარიანობის და ლიკვიდურობის კოეფიციენტები[1] (157.7% და 150.2%, შესაბამისად) იმაზე მეტყველებს, რომ „თიბისი დაზღვევას“ შეუძლია ხანგრძლივ კრიზისს გაუძლოს. ამ პოზიციას კიდევ უფრო განამტკიცებს ის ფაქტი, რომ „თიბისი დაზღვევას“ არ აქვს სესხები ფინანსური დაწესებულებებიდან.

7. ჩვენი გუნდი

„თიბისი დაზღვევა“ ამაყობს იმით, რომ მასში რეგიონის საუკეთესო და ყველაზე მაღალი დონის პროფესიონალები არიან დასაქმებულები. 2023 წლის ბოლოსთვის ჩვენი თანამშრომლების რაოდენობა 5.8% -ით გაიზარდა და დასაქმებულთა რაოდენობამ 380-ს მიაღწია. მიგვაჩნია, რომ ჩვენს წარმატებაში თითოეული თანამშრომელი ჩვენი წარმატების ნაწილია, ამიტომ ყოველთვის ვცდილობთ ჩვენი თანამშრომლების შენარჩუნებას მათთვის კონკურენტული გასამრჯელოების პაკეტის, მუდმივი პროფესიული განვითარების მხარდაჭერისა და საუკეთესო სამუშაო გარემოს შეთავაზებით.

[1] გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდურობის კოეფიციენტები გამოთვლილია საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით

„თიბისი დაზღვევა“ თანასწორი შესაძლებლობების პრინციპის მატარებელი დამსაქმებელია და ჩვენ არ ვახდენთ ადამიანების დისკრიმინაციას მათი რასის, ეთნიკური წარმოშობის, აღმსარებლობის, სქესის, ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით. ჩვენ ვემხრობით სქესთა თანასწორობას და მხარდაჭერას ვუცხადებთ ჩვენთან დასაქმებულ ქალებს. გვეამაყება, რომ 2023 წლის ბოლოსთვის ჩვენი თანამშრომლების 63%-ს ქალები შეადგენდნენ.

2023 წელს თანამშრომლებს შორის ჩავატარეთ ჩართულობის გამოკითხვა (90.4%-იანი შედეგი), ხოლო მმართველი გუნდის წევრებისთვის – 360-გრადუსიანი შეფასება. აქტიური მონაწილეობა მივიღეთ წამყვანი უნივერსიტეტებისა და ადამიანური რესურსების საკონსულტაციო ორგანიზაციების მიერ მოწყობილ ვაკანსიათა გამოფენებზე, რათა ზრდის ყველაზე მაღალი პოტენციალის მქონე საუკეთესო კანდიდატები შეგვერჩია.

ყოველ წელს ვცდილობთ, „თიბისი ჯგუფის“ შესახებ უახლესი ინფორმაცია და მოვლენები დროულად გავაცნოთ ჩვენს გუნდს, ვინაიდან თანამშრომლებთან რეგულარული კომუნიკაცია ჩვენი კორპორაციული კულტურის განუყოფელი ნაწილია.

8. კორპორაციული მართვა

„თიბისი დაზღვევა“ არის ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ სეგმენტში განთავსებული საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“ შვილობილი კომპანია (შემდგომში, ერთობლივად „ჯგუფი“). ჯგუფი აკმაყოფილებს დიდი ბრიტანეთის კორპორაციული მართვის კოდექსით გათვალისწინებულ მართვის უმაღლეს სტანდარტებს.

„თიბისი დაზღვევის“ სამეთვალყურეო საბჭო (შემდგომში „საბჭო“) შედგება ოთხი წევრისგან, რომლებიც ერთობლივად არიან პასუხისმგებელნი კომპანიის გრძელვადიან წარმატებაზე და აქციონერებისთვის მდგრადი ღირებულების შექმნაზე, რასაც ახორციელებენ კომპანიის სტრატეგიის დასახვისა და მისი განხორციელების ზედამხედველობის გზით. სამეთვალყურეო საბჭო არის გადაწყვეტილების მიმღები ორგანო კომპანიისთვის მნიშვნელოვან ყველა საკითხზე. სამეთვალყურეო საბჭო განიხილავს და ამტკიცებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა კომპანიის სტრატეგია, გრძელვადიანი მიზნები, რისკის დასაშვები დონე, წლიური საოპერაციო და კაპიტალური დანახარჯების ბიუჯეტები, კომპანიის კაპიტალში ცვლილებები, აქციების გამოსყიდვის, შესყიდვის და/ან შერწყმის მსხვილი ოპერაციები, წლიური ანგარიშგება და ანგარიშები.

9. სამეთვალყურეო საბჭო

ვახტანგ ბუცხრიკიძე

თავმჯდომარე

ვახტანგ ბუცხრიკიძემ 1992 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი და კვალიფიკაცია აიმაღლა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში. ვახტანგ ბუცხრიკიძე „თიბისი ბანკს“ შეუერთდა 1993 წელს კრედიტების მართვის დეპარტამენტის უფროს მენეჯერად, ხოლო 1994 წელს მმართველი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს. 1996 წელს მმართველი საბჭოს თავმჯდომარე გახდა. 1998 წლიდან უჭირავს „თიბისი ბანკის“ გენერალური დირექტორის თანამდებობა და ხელმძღვანელობს თიბისი ბანკის რამდენიმე კომიტეტს. ვახტანგი არის საქართველოს ბანკების ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და საქართველოს ბიზნესასოციაციის ფინანსური კომიტეტის თავმჯდომარე. 2011 წლიდან ის არის საპარტნიორო ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 2016 წელს ვახტანგი შეუერთდა „ვიზას“ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ახლო აღმოსავლეთის და აფრიკის ბიზნესსაბჭოს. კარიერის დასაწყისში მუშაობდა უმცროს სპეციალისტად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში, ასევე საქართველოს ფინანსთა მინისტრის თანაშემწედ 1992-1993 წლებში. 2001 წელს ვახტანგი ჟურნალ „ჯორჯიან ტაიმსმა" დააჯილდოვა „წლის საუკეთესო ბიზნესმენის" წოდებით, 2011 წელს კი მან 2011 წლის საუკეთესო ბანკირის ჯილდო მიიღო GUAM-ისგან, დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციისგან. ვახტანგი ჟურნალმა EMEA Finance დაასახელა 2014 წლის საუკეთესო გენერალურ დირექტორად ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასა და დსთ-ში. 2001 წელს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი მიიღო მართვის ევროპულ სკოლაში, თბილისში. 2016 წლის ნოემბერში ვახტანგ ბუცხრიკიძე დაინიშნა „თიბისი დაზღვევის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ.

თორნიკე გოგიჩაიშვილი

საბჭოს წევრი

თორნიკე თიბისის გუნდს 2018 წელს ოპერაციების მართვის დირექტორად და გენერალური დირექტორის მოადგილედ შეუერთდა, ამ დროისთვის ფინანსური სერვისებისა და ოპერაციების მართვის სფეროში 20-წლიანი გამოცდილება ჰქონდა. თორნიკე გოგიჩაიშვილი თიბისი ბანკში 2020 წლის იანვარში საცალო საბანკო მომსახურების მიმართულების ხელმძღვანელად დაინიშნა. 2016 წლიდან, თიბისის გუნდში შემოერთებამდე, თორნიკე საქართველოს ბანკში გენერალური დირექტორის მოადგილედ და ოპერაციების მართვის დირექტორად მუშაობდა. 2010-2016 წლებში თორნიკე საქართველოს ბანკის ოპერაციების დეპარტამენტის დირექტორის პოზიციას იკავებდა. ის ასევე იყო საერთაშორისო ბანკინგის ხელმძღვანელი საქართველოს ბანკის ჯგუფში. 2008-2010 წლებში თორნიკეს ეკავა BG Bank Ukraine-ის (საქართველოს ბანკის შვილობილი კომპანია) ფინანსური დირექტორის თანამდებობა. 2006-2008 წლებში, თორნიკე სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ გენერალური დირექტორის პოზიციას იკავებდა. ის ასევე მუშაობდა UEDC PA consulting-ში ფინანსურ დირექტორად და 1998-2004 წლებში იკავებდა სხვადასხვა მენეჯერულ პოზიციას BCI Insurance Company-ში. თორნიკეს დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი და ფლობს კავკასიის ბიზნესის სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის საიდის ბიზნესის სკოლის (executive diploma) ხარისხს.

გიორგი თხელიძე

საბჭოს წევრი

გიორგი თხელიძე 2014 წელს შეუერთდა „თიბისი ბანკს“ ბარკლის საინვესტიციო ბანკიდან, სადაც ის 2011 წლის ივნისიდან იყო ევროპის, შუა აზიის და აფრიკის რეგიონის ფინანსური ინსტიტუტების ჯგუფის ვიცეპრეზიდენტი. უფრო ადრე კი, 2009 წლის სექტემბრიდან, იყო ბარკლის სასესხო დაფინანსების და რესტრუქტურიზაციის ჯგუფების ასოცირებული დირექტორი. ბარკლიში, ლონდონში თავისი კარიერის მანძილზე, მუშაობდა და წარმატებით განახორციელა არაერთი მიერთებისა და შერწყმის ოპერაცია, ასევე სასესხო და კაპიტალის ბაზრის ტრანზაქციები ევროპის ფინანსურ ინსტიტუტებთან. კარიერის დასაწყისში სხვადასხვა ხელმძღვანელი თანამდებობა ეკავა სადაზღვევო კომპანია „ალდაგში“ და ამ კომპანიის გენერალური დირექტორიც გახლდათ. 2009 წელს ლონდონის ბიზნესის სკოლაში მიიღო ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის (MBA) ხარისხი. ასევე

ფლობს ნოტინჰემის უნივერსიტეტის საერთაშორისო კომერციული სამართლის მაგისტრის ხარისხს (2002 წ.) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრის ხარისხს (2000 წ.).

ზეზვა ცისკარიშვილი

დამოუკიდებელი წევრი

ზეზვა თიბისი ჯგუფს 1994 წელს შემოუერთდა თიბისი ბანკის ანგარიშების მართვის მენეჯერის პოზიციაზე, შემდეგ იყო აქტივების მართვის დეპარტამენტის და საერთაშორისო საბანკო მომსახურების დეპარტამენტის ხელმძღვანელი. 1999 წელს უკვე გენერალური დირექტორის მოადგილის პოზიცია დაიკავა და ხელმძღვანელობდა საერთაშორისო საბანკო მომსახურებას, საერთაშორისო ფინანსურ დაწესებულებებთან ურთიერთობას, პროდუქტების განვითარებას, ხაზინას, მარკეტინგულ და საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებას და რეგიონული განვითარების პროექტებს.

2008 წელს მუშაობა საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანიაში (GRDC) გააგრძელა მუშაობა გენერალური დირექტორის მოადგილის პოზიციაზე, სადაც საერთაშორისო დაწესებულებებთან ურთიერთობას და პროდუქტების შექმნას ხელმძღვანელობდა. 2010 წელს კი, უკვე ამავე კომპანიის გენერალური დირექტორის პოზიცია დაიკავა. GRDC-ში 6-წლიანი მუშაობის შემდეგ, ზეზვა „მეტრა დეველოპმენტის“ გენერალური დირექტორი გახდა. 2016 წლიდან 2022 წლამდე კი საინვესტიციო კომპანია TS Holding-ის პროექტების მმართველი ვიცეპრეზიდენტი გახლდათ.

ზეზვამ მოიპოვა ეკონომიკური გეოგრაფიის ბაკალავრიატის ხარისხი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რის შემდეგაც წარმატებით გაიარა არაერთი ტრენინგი სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებაში, მათ შორის, Joint Vienna Institute-ში და University of California, Davis-ში. ასევე იყო კალიფორნიაში Silicon Valley Bank-ის ვიცეპრეზიდენტთან არსებული მრჩეველთა გუნდის წევრი.

10. მმართველი საბჭო

პაატა ღამბაძე

გენერალური დირექტორი

პაატა ღამბაძე „თიბისი ბანკს“ 1994 წელს შეუერთდა გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე და 1996 წელს დაინიშნა მმართველი საბჭოს წევრად. 2005 წელს დაინიშნა საკრედიტო დეპარტამენტის ხელმძღვანელად. 1998 წლიდან უჭირავს გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის თანამდებობა. 2014 წლიდან არის „თიბისი ლიზინგის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 2016 წლიდან ლექციებს კითხულობს თავისუფალ უნივერსიტეტში, საქართველოში. 2017 წელს დაინიშნა „თიბისი დაზღვევის“ გენერალურ დირექტორად და, პარალელურად, უკავია გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის თანამდებობა „თიბისი ბანკში“. 2000-2004 წლებში იყო საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო ჰოლდინგის გენერალური დირექტორი. კარიერის ადრეულ პერიოდში, 1992-1994 წლებში, იყო სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის თანაშემწე. დამატებით, 1994-2004 წლებში ლექციებს კითხულობდა მართვის ევროპულ სკოლაში, თბილისში. 1992 წელს დამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში აიმაღლა კვალიფიკაცია.

დავით კილურაძე

გენერალური დირექტორის მოადგილე

დავით კილურაძემ 2002 წელს დაამთავრა მართვის ევროპული სკოლა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხით. 2002 წლიდან 2006 წლამდე სხვადასხვა თანამდებობა ეკავა სადაზღვევო კომპანია „ჯიპაი ჰოლდინგში“, მათ შორის იყო ანაზღაურების დეპარტამენტისა და პროდუქტების განვითარებისა და ანდერაიტინგის განყოფილების უფროსი. „თიბისი ბანკს“ 2006 წელს შეუერთდა და ხუთ წელზე მეტი დაყო სახაზინო და ფინანსური მომსახურების დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე. 2012 წლიდან 2015 წლამდე იყო „თიბისი კრედიტის“ გენერალური დირექტორი ბაქოში, აზერბაიჯანში. 2015 წლიდან 2016 წლამდე ეკავა „თიბისი ფეის“ გენერალური დირექტორის თანამდებობა. 2016 წლიდან გახდა „თიბისი დაზღვევის“ გენერალური დირექტორის მოადგილე. დავითმა სლოვენიაში დაამთავრა IEDC – ბლედის მართვის სკოლა ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის წოდებით (2006 წ.).

ნიკოლაი კობზევი

საოპერაციო დირექტორი

ნიკოლაი კობზევმა დაამთავრა თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების ფაკულტეტი ბაკალავრის ხარისხით. 2003-2012 წლებში მუშაობდა სადაზღვევო კომპანია „ჯიპაიაი ჰოლდინგში“, სადაც სამი წლის განმავლობაში ეკავა საინფორმაციო ტექნოლოგიების დირექტორის თანამდებობა. 2013 წელს დაამთავრა ოქსფორდის უნივერსიტეტის საიდის ბიზნესის სკოლა მაგისტრის ხარისხით. 2013 წლიდან 2016 წლამდე მონაწილეობდა „ელი ლილი ენდ კომპანის“ ლიდერების განვითარების პროგრამაში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრებისთვის აშშ-ში და შემდეგ იმუშავა რუსეთში „ბოსტონ კონსალტინგში“. 2016 წლიდან არის „თიბისი დაზღვევის“ საოპერაციო დირექტორი.

სერგო საყვარელიძე

ჯანმრთელობის დაზღვევის მიმართულების დირექტორი

სერგო საყვარელიძე ფლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორის ხარისხს. ის ასევე არის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სერტიფიკატების მფლობელი და გავლილი აქვს მმართველობის პროგრამა უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელებისთვის. სერგო ფლობს საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის ზოგადი მენეჯმენტის სერტიფიკატს. 2006 წელს სერგო შეუერთდა სადაზღვევო კომპანია „ჯიპაიაი ჰოლდინგს“ და 2008 წლამდე სხვადასხვა პოზიცია ეკავა. 2008 წლიდან „სადაზღვევო კომპანია ალდაგში“ სამედიცინო შემთხვევების ექსპერტიზისა და მონიტორინგის სამსახურს ხელმძღვანელობდა, 2010 წლიდან კი გახლდათ ჯანმრთელობის ზარალების მართვის განყოფილების უფროსი. 2014-2017 წლებში სერგოს ეკავა ზარალების დარეგულირების დეპარტამენტის დირექტორის პოზიცია, ხოლო 2017 წელს გახდა „სადაზღვევო კომპანია იმედი L-ის“ გენერალური დირექტორის მოადგილე ზარალებისა და პირველადი ჯანდაცვის მიმართულებით. 2020-2021 წლებში სერგო ასევე იკავებდა თბილისის გულის ცენტრის გენერალური დირექტორის პოზიციას. 2022 წლის დასაწყისში სერგო შემოუერთდა „თიბისი დაზღვევას“ ჯანმრთელობის დაზღვევის მიმართულების დირექტორის პოზიციაზე.

ნიკოლოზ საყვარელიძე

ფინანსური დირექტორი

ნიკოლოზი შეუერთდა „თიბისი დაზღვევას“ და დაიკავა ფინანსური დირექტორის თანამდებობა 2023 წლის აპრილში. ის მართავს ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების, ბიუჯეტირების, მონაცემთა დამუშავების მეცნიერების და ანალიტიკურ პროცესებს.

ნიკოლოზი იყო საწარმოს რესურსების დაგეგმვისა და სისტემური აპლიკაციებისა და პროდუქტების გუნდის ხელმძღვანელი შპს კავკასუს ონლაინში 2011-2013 წლებში. 2013-2015 წლებში ეკავა ფინანსური აკონტროლებდა დაახლოებით 100 მილიონი ლარის ბიუჯეტს და მართავდა კომპანიის ლიკვიდურობას და გადახდისუნარიანობას. 2012-2020 წლებში მუშაობდა Marine Resources Exploration Internation BV-ში რეგიონალურ დირექტორად. „თიბისი დაზღვევაში“ გადასვლამდე, 2015 წლიდან იკავებდა შპს „გალერია თბილისის“ ფინანსური დირექტორის, ხოლო 2017 წლიდან შპს „რია-რიას“ დირექტორის თანამდებობებს.

2009 წელს, ნიკოლოზმა გრინელის კოლეჯის ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხი მიიღო. მან წარმატებით ჩააბარა დიპლომირებულ ფინანსურ ანალიტიკოსთა (CFA) I და II დონის გამოცდები.

პაატა ღამაძე

გენერალური დირექტორი

ნიკოლოზ საყვარელიძე

ფინანსური დირექტორი

ნიკოლოზ საყვარელიძე

ფინანსური დირექტორი

ნიკოლოზი შეუერთდა „თიბისი დაზღვევას“ და დაიკავა ფინანსური დირექტორის თანამდებობა 2023 წლის აპრილში. ის მართავს ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების, ბიუჯეტირების, მონაცემთა დამუშავების მეცნიერების და ანალიტიკურ პროცესებს.

ნიკოლოზი იყო საწარმოს რესურსების დაგეგმვისა და სისტემური აპლიკაციებისა და პროდუქტების გუნდის ხელმძღვანელი შპს კავკასუს ონლაინში 2011-2013 წლებში. 2013-2015 წლებში ეკავა ფინანსური განყოფილების უფროსის თანამდებობა შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში“, სადაც აკონტროლებდა დაახლოებით 100 მილიონი ლარის ბიუჯეტს და მართავდა კომპანიის ლიკვიდურობას და გადახდისუნარიანობას. 2012-2020 წლებში მუშაობდა Marine Resources Exploration Internation BV-ში რეგიონალურ დირექტორად. „თიბისი დაზღვევაში“ გადასვლამდე, 2015 წლიდან იკავებდა შპს „გალერია თბილისის“ ფინანსური დირექტორის, ხოლო 2017 წლიდან შპს „რია-რიას“ დირექტორის თანამდებობებს.

2009 წელს, ნიკოლოზმა გრინელის კოლეჯის ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხი მიიღო. მან წარმატებით ჩააბარა დიპლომირებულ ფინანსურ ანალიტიკოსთა (CFA) I და II დონის გამოცდები.

პაატა ღამაძე

გენერალური დირექტორი

ნიკოლოზ საყვარელიძე

ფინანსური დირექტორი

სს თიბისი დაზღვევა

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მომზადებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2023 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება 3
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება 4
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება 5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება 7
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ინდივიდუალური ანგარიშგება 8

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1	ჯგუფი და მისი საქმიანობა	9
2	ჯგუფის საოპერაციო გარემო	10
3	მომზადების საფუძველი	10
4	შეფასებებისა და განსჯის გამოყენება	11
5	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13
6	საბანკო დეპოზიტები	13
7	საინვესტიციო აქტივები	14
8	დაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები (აქტივები)	16
9	გადაზღვევის ხელშეკრულებების აქტივები (ვალდებულებები)	18
10	სხვა აქტივები	20
11	ინვესტიცია შვილობილ საწარმოში	21
12	არამატერიალური აქტივები	21
13	აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები	23
14	ძირითადი საშუალებები	25
15	საკუთარი კაპიტალი	27
16	აქციებზე დაფუძნებული გადახდის ვალდებულებები	28
17	სხვა ვალდებულებები	29
18	სადაზღვევო მომსახურების შედეგები	30
19	წმინდა სადაზღვევო ფინანსური შემოსავალი (ხარჯები)	30
20	ინვესტიცია და სხვა შემოსავალი	31
21	ხარჯები მათი შინაარსის მიხედვით	33
22	სხვა ხარჯები	35
23	მოგების გადასახადის ხარჯი	36
24	ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა	37
25	კაპიტალის მართვა	37
26	სადაზღვევო რისკის მართვა	38
27	სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა	45
28	პირობითი ვალდებულებები	65
29	დაკავშირებული მხარეები	65
30	ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ	70
31	ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება	81
32	საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები	84
33	შემდგომი მოვლენები	85

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „თიბისი დაზღვევის“ აქციონერსა და ხელმძღვანელობას

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს „თიბისი დაზღვევის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში, ერთობლივად, - „ჯგუფი“) კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე ჯგუფისა და კომპანიის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფასს“) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

აუდიტის საგანი

ჯგუფისა და კომპანიის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგს:

- კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, რომელიც შედგება არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციისგან და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო; ს/კ 405220611
საქართველო, თბილისი 0171, მ. ალექსიძის ქ. #12, ბიზნეს ცენტრი King David, მე-7 სართული;
ტელ: +995 (32) 250 80 50, www.pwc.com/ge

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან და კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების) (IESBA კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას)

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ გავეცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, მმართველობის ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება, გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები მათ მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადებულია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას;
- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს;

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო

სტანდარტებისა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის და კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის და კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან, თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის და კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის და კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის და კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი და კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოების ფინანსური ინფორმაციის ან ჯგუფის საქმიანობის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თაობაზე. ჩვენ პასუხისმგებლები ვართ ჯგუფის აუდიტის წარმართვის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებლები მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე ვართ.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ლევან კანკავა (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-592839)

2024 წლის 15 აპრილი
თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება

		კონსოლიდირებული			ინდივიდუალური		
ათასი ლარი	შენიშვნა	31-დეკ-23	31-დეკ-22 გადაანგარიშებული	01-იან-22 გადაანგარიშებული	31-დეკ-23	31-დეკ-22 გადაანგარიშებული	01-იან-22 გადაანგარიშებული
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	12,248	15,390	14,751	12,092	15,330	14,663
სადანაზღაურო დეპოზიტები	6	65,900	63,970	46,726	65,900	63,970	46,726
საინვესტიციო აქტივები	7	13,339	4,919	2,891	13,339	4,919	2,891
წარმოებული ფინანსური აქტივები	27	-	1,012	470	-	1,012	470
დაზღვევის ხელშეკრულებების აქტივები	8	18	48	304	18	48	304
გადაზღვევის ხელშეკრულებების აქტივები	9	24,062	10,248	9,852	24,062	10,248	9,852
გადავადებული საგადასახადო აქტივი		-	122	52	-	122	52
სხვა აქტივები	10	1,877	1,351	1,902	1,803	1,322	1,837
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში	11	-	-	-	6,242	5,776	4,426
არამატერიალური აქტივები	12	6,767	5,635	4,268	5,061	4,090	3,072
აქტივების გამოყენების უფლება	13	3,806	1,315	1,268	3,619	1,293	1,203
ძირითადი საშუალებები	14	1,239	1,192	1,471	1,227	1,163	1,423
სულ აქტივები		129,256	105,202	83,955	133,363	109,293	86,919
საქციო კაპიტალი	15	7,482	7,482	7,482	7,482	7,482	7,482
გაუნაწილებელი მოგება		42,124	32,417	25,035	47,537	37,611	29,152
სხვა რეზერვები		1,300	1,300	1,300	220	220	220
სულ კაპიტალი		50,906	41,199	33,817	55,239	45,313	36,854
დაზღვევის ხელშეკრულებების ვალდებულებები	8	45,720	44,879	35,242	45,720	44,879	35,242
გადაზღვევის ხელშეკრულებების ვალდებულებები	9	10,260	3,852	3,593	10,260	3,852	3,593
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება		1,582	1,018	237	1,582	1,018	236
საიჯარო ვალდებულებები	13	3,851	1,339	1,470	3,661	1,318	1,414
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ვალდებულებები	16	9,060	6,129	4,133	9,060	6,129	4,133
ფინანსური ვალდებულებები		4,310	3,853	2,186	4,289	3,851	2,176
სხვა ვალდებულებები	17	3,567	2,933	3,277	3,552	2,933	3,271
სულ ვალდებულებები		78,350	64,003	50,138	78,124	63,980	50,065
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		129,256	105,202	83,955	133,363	109,293	86,919

გამოსაცემად დამტკიცებული და ხელმოწერილია სამეთვალყურეო საბჭოს სახელით 2024 წლის 15 აპრილს.

პაატა ღამაძე
გენერალური დირექტორი

ნიკოლოზ საყვარელიძე
ფინანსური დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება

		კონსოლიდირებული			ინდივიდუალური		
ათასი ლარი	შენიშვნა	31-დეკ-23	31-დეკ-22 გადაანგარიშებული	01-იან-22 გადაანგარიშებული	31-დეკ-23	31-დეკ-22 გადაანგარიშებული	01-იან-22 გადაანგარიშებული
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	12,248	15,390	14,751	12,092	15,330	14,663
სანაკო დეპოზიტები	6	65,900	63,970	46,726	65,900	63,970	46,726
საინვესტიციო აქტივები	7	13,339	4,919	2,891	13,339	4,919	2,891
წარმოებული ფინანსური აქტივები	27	-	1,012	470	-	1,012	470
დაზღვევის ხელშეკრულებების აქტივები	8	18	48	304	18	48	304
გადაზღვევის ხელშეკრულებების აქტივები	9	24,062	10,248	9,852	24,062	10,248	9,852
გადავადებული საგადასახადო აქტივი		-	122	52	-	122	52
სხვა აქტივები	10	1,877	1,351	1,902	1,803	1,322	1,837
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში	11	-	-	-	6,242	5,776	4,426
არამატერიალური აქტივები	12	6,767	5,635	4,268	5,061	4,090	3,072
აქტივების გამოყენების უფლება	13	3,806	1,315	1,268	3,619	1,293	1,203
ძირითადი საშუალებები	14	1,239	1,192	1,471	1,227	1,163	1,423
სულ აქტივები		129,256	105,202	83,955	133,363	109,293	86,919
საქციო კაპიტალი	15	7,482	7,482	7,482	7,482	7,482	7,482
გაუნაწილებელი მოგება		42,124	32,417	25,035	47,537	37,611	29,152
სხვა რეზერვები		1,300	1,300	1,300	220	220	220
სულ კაპიტალი		50,906	41,199	33,817	55,239	45,313	36,854
დაზღვევის ხელშეკრულებების ვალდებულებები	8	45,720	44,879	35,242	45,720	44,879	35,242
გადაზღვევის ხელშეკრულებების ვალდებულებები	9	10,260	3,852	3,593	10,260	3,852	3,593
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება		1,582	1,018	237	1,582	1,018	236
საიჯარო ვალდებულებები	13	3,851	1,339	1,470	3,661	1,318	1,414
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ვალდებულებები	16	9,060	6,129	4,133	9,060	6,129	4,133
ფინანსური ვალდებულებები		4,310	3,853	2,186	4,289	3,851	2,176
სხვა ვალდებულებები	17	3,567	2,933	3,277	3,552	2,933	3,271
სულ ვალდებულებები		78,350	64,003	50,138	78,124	63,980	50,065
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		129,256	105,202	83,955	133,363	109,293	86,919

გამოსაცემად დამტკიცებული და ხელმოწერილია სამეთვალყურეო საბჭოს სახელით 2024 წლის 15 აპრილს.

პაატა ღამაძე
გენერალური დირექტორი

ნიკოლოზ საყვარელიძე
ფინანსური დირექტორი

სს თიბისი დაზღვევა

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება

		კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	შენიშვნა	2023	2022 გადაანგარიშებული	2023	2022 გადაანგარიშებული
ათასი ლარი					
ამონაგები სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან		160,743	134,197	160,743	134,197
სადაზღვევო მომსახურების ხარჯები		(128,945)	(103,725)	(128,945)	(103,725)
წმინდა ხარჯები გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან		(2,094)	(5,920)	(2,094)	(5,920)
სადაზღვევო მომსახურების შედეგი	18	29,704	24,552	29,704	24,552
ფინანსური შემოსავალი გამოცემული სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან	19	276	1,484	276	1,484
ფინანსური შემოსავალის გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან	19	345	(500)	345	(500)
		276	1,484	276	1,484
წმინდა სადაზღვევო ფინანსური შემოსავალი	19	621	984	621	984
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გამოთვლილი საპროცენტო შემოსავალი	20	9,592	7,331	9,592	7,329
ცვლილებები მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში	20	189	(265)	189	(265)
სხვა შემოსავალი	20	255	356	93	268
შვილობილ საწარმოებში ინვესტიციების გაუფასურება		-	-	(655)	-
წმინდა ინვესტიცია და სხვა შემოსავალი		10,036	7,422	9,219	7,332
წმინდა სადაზღვევო და საინვესტიციო შედეგი		40,361	32,958	39,544	32,868
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	21	(11,632)	(9,084)	(11,148)	(8,501)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	21	(2,681)	(3,581)	(2,349)	(3,183)
ცვეთა და ამორტიზაცია	12/13/14	(1,215)	(994)	(1,001)	(808)
ფინანსური ხარჯები	13	(93)	(82)	(90)	(78)
სავალუტო შემოსულობა, ნეტო		609	1,976	612	1,972
სხვა ხარჯები	22	-	(346)	-	(346)
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		25,349	20,847	25,568	21,924
მოგების გადასახადის ხარჯი	23	(4,629)	(3,439)	(4,629)	(3,439)
წლის მოგება		20,720	17,408	20,939	18,485
სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
სულ, წლის სრული შემოსავალი		20,720	17,408	20,939	18,485

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 9-85, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ათასი ლარი	შენიშვნა	კონსოლიდირებული 2023	2022 გადაანგარიშებული	ინდივიდუალური 2023	2022 გადაანგარიშებული
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან					
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		25,349	20,847	26,223	21,924
შესწორებები:					
ცვეთა და ამორტიზაცია	12/13/14	3,145	2,653	2,931	2,467
ფინანსური ხარჯები	13	93	82	90	78
საპროცენტო შემოსავალი	20	(9,592)	(7,331)	(9,592)	(7,329)
ფინანსური აქტივების წმინდა გაუფასურება		(189)	265	(189)	265
უცხოური ვალუტის საკურსო სხვაობა		(609)	(1,976)	(605)	(1,972)
ფინანსური შემოსავალი გამოცემული სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან		(276)	(1,484)	(276)	(1,484)
ფინანსური შემოსავალი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან		(345)	500	(345)	500
სხვა ხარჯები		-	17	-	17
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		**17,576**	**13,573**	**18,237**	**14,466**
გადახდილი მოგების გადასახადი		(3,944)	(2,728)	(3,944)	(2,728)
მიმდინარე ანგარიშებზე მიღებული პროცენტი	20	1,906	1,268	1,906	1,266
ბანკში განთავსებულ თანხებზე მიღებული პროცენტი	20	3,793	5,343	3,793	5,343
საინვესტიციო აქტივებზე მიღებული პროცენტი	20	1,132	923	1,132	923
საიჯარო ვალდებულებების გადაფარვა (პროცენტი)		(93)	(82)	(90)	(78)
ცვლილებები:					
გადაზღვევის ხელშეკრულებების აქტივები და ვალდებულებები	9	(6,767)	1,115	(6,767)	1,115
დაზღვევის ხელშეკრულებების აქტივები და ვალდებულებები	8	871	9,890	871	9,890
ცვლილებები წარმოებულ ფორვარდულ ხელშეკრულებებში		1,012	1,674	1,012	1,674
სხვა აქტივები	10	(526)	554	(484)	517
ფინანსური ვალდებულებები		457	1,711	422	1,726
სხვა ვალდებულებები	17	636	(346)	636	(346)
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ვალდებულებები	16	2,931	1,996	2,931	1,996
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		**18,984**	**34,891**	**19,655**	**35,764**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან					
ძირითადი საშუალებების შეძენა		(786)	(429)	(786)	(430)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები		270	142	270	142
არამატერიალური აქტივების შეძენა		(2,977)	(2,673)	(2,660)	(2,204)
შვილობილ საწარმოში ინვესტიციის კაპიტალ შენატანი		-	-	(1,121)	(1,350)
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეძენა- ძირითადი თანხა		(12,280)	(2,830)	(12,280)	(2,830)
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გასვლა - ძირითადი თანხა		4,024	-	4,024	-

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	კონსოლიდირებული 2023	კონსოლიდირებული 2022 გადაანგარიშებული	ინდივიდუალური 2023	ინდივიდუალური 2022 გადაანგარიშებული
განკში განთავსებული თანხების დამატებები - ძირითადი თანხა		14,200	26,235	14,200	26,235
განკში განთავსებული თანხების გასვლა - ძირითადი თანხა		(12,980)	(43,707)	(12,980)	(43,707)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(10,529)**	**(23,262)**	**(11,333)**	**(24,144)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან					
საიჯარო ვალდებულების დაფარვა - ძირითადი თანხა	13	(800)	(842)	(768)	(809)
კომპანიის აქციონერებისთვის გადახდილი დივიდენდები	15 (გ)	(11,013)	(10,026)	(11,013)	(10,026)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(11,813)**	**(10,868)**	**(11,781)**	**(10,835)**
ზრდა (შემცირება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		**(3,358)**	**761**	**(3,459)**	**785**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს	5	15,390	14,751	15,330	14,663
სავალუტო კურსის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		216	(122)	221	(118)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს		**12,248**	**15,390**	**12,092**	**15,330**

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	სხვა რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფასს 9-სა და ფასს 17-ის მიღებამდე		**7,482**	**1,300**	**25,037**	**33,819**
ფასს 9-ს მიღების ეფექტი	31	-	-	188	188
ფასს 17-ს მიღების ეფექტი	31	-	-	(190)	(190)
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფასს 9-სა და ფასს 17-ის მიღების შემდეგ		**7,482**	**1,300**	**25,035**	**33,817**
წლის მოგება		-	-	17,408	17,408
წლის სრული შემოსავალი, სულ		**-**	**-**	**17,408**	**17,408**
აქციონერებისთვის გადახდილი დივიდენდები	15 (b)	-	-	(10,026)	(10,026)
გადაანგარიშებული ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით		**7,482**	**1,300**	**32,417**	**41,199**
გადაანგარიშებული ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		7,482	1,300	32,417	41,199
წლის მოგება		-	-	20,720	20,720
წლის სრული შემოსავალი, სულ		**-**	**-**	**20,720**	**20,720**
აქციონერებისთვის გადახდილი დივიდენდები	15 (ბ)	-	-	(11,013)	(11,013)
გადაანგარიშებული ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით		**7,482**	**1,300**	**42,124**	**50,906**

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 9-85, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	საქციო კაპიტალი	სხვა რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფასს 9-სა და ფასს 17-ის მიღებამდე		7,482	220	29,154	36,856
ფასს 9-ს მიღების ეფექტი	31	-	-	188	188
ფასს 17-ს მიღების ეფექტი	31	-	-	(190)	(190)
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფასს 9-სა და ფასს 17-ის მიღებამდე		**7,482**	**220**	**29,152**	**36,854**
წლის მოგება		-	-	18,485	18,485
წლის სრული შემოსავალი, სულ		**-**	**-**	**18,485**	**18,485**
აქციონერებისთვის გადახდილი დივიდენდები	15 (ბ)	-	-	(10,026)	(10,026)
გადაანგარიშებული ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით		**7,482**	**220**	**37,611**	**45,313**
გადაანგარიშებული ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		7,482	220	37,611	45,313
წლის მოგება		-	-	20,939	20,939
წლის სრული შემოსავალი, სულ		**-**	**-**	**20,939**	**20,939**
აქციონერებისთვის გადახდილი დივიდენდები	15 (ბ)	-	-	(11,013)	(11,013)
გადაანგარიშებული ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით		**7,482**	**220**	**47,537**	**55,239**

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 9-85, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

1 ჯგუფი და მისი საქმიანობა

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს სს „თიბისი დაზღვევის" (შემდგომში „კომპანია") და მისი შვილობილი საწარმოს (ერთობლივად „ჯგუფი") ფინანსურ ანგარიშგებებს.

სს „თიბისი დაზღვევა" არის „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის განმარტების თანახმად 2014 წლის 8 მაისს დაფუძნებული სააქციო საზოგადოება, რომელიც საქმიანობას ეწევა საქართველოში. კომპანიას აქვს საქართველოში სიცოცხლის და არა-სიცოცხლის დაზღვევის მომსახურების გაწევის ლიცენზია, რომელიც გაცემულია საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2014 წლის 14 ივლისს და 2016 წლის 1 დეკემბერს, შესაბამისად. სს „თიბისი დაზღვევის" სადაზღვევო მომსახურება მოიცავს ქონების და უბედური შემთხვევების, ჯანმრთელობის, სიცოცხლის დაზღვევას და სხვა პროდუქტებს. კომპანიის მარეგისტრირებელი ორგანოა სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო". კომპანიის იურიდიული და ფიზიკური მისამართია: ალ. ყაზბეგის გამზირი #24ბ, III სართული, თბილისი, საქართველო. კომპანიის სარეგისტრაციო ნომერია 405042804.

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის უშუალო და საბოლოო მშობელი საწარმო, ასევე საბოლოო მაკონტროლებელი მხარე იყო საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფი", რომელიც ჯგუფის აქციების 100.00%-ს ფლობდა (2022 წ.: 100.00%). საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფი" არის ინგლისსა და უელსში დაფუძნებული საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და რეგისტრირებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე. საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის" რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: ელდერ ჰაუსი, წმ. ჯორჯის ბიზნეს პარკი. ბრუკლანდსის ქუჩა 207, ვეიბრიჯი, სურეის საგრაფო, KT13 0TS. საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ჯგუფის" სარეგისტრაციო ნომერია 10029943.

კომპანია ერთპიროვნულად ფლობს ერთ შვილობილ საწარმოს - შპს „რედმედს". შპს „რედმედი" არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს ტერიტორიაზე 2019 წლის 21 ივნისს დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „თიბისი დაზღვევამ" შპს „რედმედის" კაპიტალში 6,897 ათასი ლარის ფულადი შენატანი განახორციელა. შვილობილი საწარმოს ძირითადი საქმიანობა არის ელექტრონული ჯანდაცვის მომსახურება.

საქართველოს ეროვნული ვალუტა ქართული ლარია (₾), რაც არის წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტა. კომპანიის სამუშაო ვალუტაც ქართული ლარია. ლარში წარმოდგენილი ყოველგვარი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2 ჯგუფის საოპერაციო გარემო

ჯგუფი საქმიანობას საქართველოში ეწევა. შესაბამისად, ჯგუფზე გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ბაზრები, რომლებსაც გააჩნიათ განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. იურიდიული, საგადასახადო და ნორმატიული სტრუქტურა თანდათან ვითარდება, მაგრამ ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას და ხშირ ცვლილებას, რაც, სხვა იურიდიული და ფინანსური ხასიათის დაბრკოლებებთან ერთად, კიდევ უფრო ზრდის გამოწვევებს იმ საწარმოებისთვის, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ. კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნესგარემოს გავლენის შეფასებას ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალში ბიზნესგარემო შესაძლოა ხელმძღვანელობის შეფასებისგან განსხვავდებოდეს.

ჯგუფი ექვემდებარება კლიმატის ცვლილების რისკებს. ამასთან დაკავშირებით, ჯგუფის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა გლობალური ინფორმირებულობა და საზრუნავი კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე და ჯგუფის საქმიანობასა და ბიზნეს გეგმებზე სამომავლო ზემოქმედების პროგნოზირება რთულია. ხელმძღვანელობა აგრძელებს მონიტორინგს ამ სფეროში განვითარებულ მოვლენებზე და საჭიროებისამებრ უპასუხებს მათ ჯგუფის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად, ასევე მიიღებს ყველა სამთავრობო ინსტრუქციას, თუ და როდესაც ისინი გაცემული იქნება იმ ბაზრებზე, სადაც ჯგუფი საქმიანობს.

3 მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) მიხედვით, რომელიც მოდიფიცირებულია სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარებით, ასევე სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით არსებული ფინანსური აქტივების გადაფასებით, ასევე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების თანახმად. წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისთვის გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. სააღრიცხვო პოლიტიკაში 2023 წლის 1 იანვარს ამოქმედებული ცვლილებების გარდა, ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენებოდა ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. იხილეთ შენიშვნა 32.

4 შეფასებებისა და განსჯის გამოყენება

ფასს-თან შესაბამისი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობის მიერ განსჯის, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენს საღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებასა და ანგარიშგებულ აქტივებზე, ვალდებულებებზე, შემოსავალსა და ხარჯებზე. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან.

(ა) ვალდებულების საუკეთესო შეფასება (BEL)

სადაზღვევო აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებისას გამოყენებული დაშვებები გამიზნულია ვალდებულების საუკეთესო შეფასებაში (BEL) შედეგად ასახვისათვის, რაც საკმარისია სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი ნებისმიერი ვალდებულების დასაფარად, იმდენად, რამდენადაც ამის სარწმუნოდ პროგნოზირება არის შესაძლებელი.

ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებისთვის ჯგუფი აფასებს საუკეთესო შეფასების ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება დაუფარავი მოთხოვნებისგან, იმ უახლესი ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც ჯგუფს აქვს მოთხოვნის მოცულობასთან დაკავშირებით. შეფასებები და განსჯა მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა სარწმუნოდ პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. ამის გარდა, ჯგუფი აფასებს საბოლოო ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულებებთან და რომლებიც საანგარიშგებო თარიღისთვის ჯერ კიდევ არ არის ანგარიშგებული. ვალდებულება გამოითვლება სტანდარტული აქტუარული მეთოდებით, კერძოდ, ჯაჭვის კიბის მეთოდით სიცოცხლის დაზღვევის შემთხვევაში და მოსალოდნელი ზარალის კოეფიციენტის მეთოდით - ჯანმრთელობის დაზღვევის შემთხვევაში. ჯაჭვის კიბის მეთოდის მთავარი საფუძველი არის დაშვება, რომ ისტორიული ზარალის ცვალებადობა მიანიშნებს სამომავლო ზარალის ცვალებადობაზე. მოსალოდნელი ზარალის კოეფიციენტი არის საბოლოო ზარალის გამომუშავებულ პრემიებთან თანაფარდობის კოეფიციენტი. საბოლოო ზარალის გამოთვლა შესაძლებელია გამომუშავებული პრემიის გამრავლებით მოსალოდნელი ზარალის კოეფიციენტზე. მთლიანი რეზერვი გამოითვლება, საბოლოო ზარალიდან ანაზღაურებული ზარალის გამოკლებით.

სიცოცხლის დაზღვევის შემთხვევაში, მგრძნობელობის ანალიზის მიხედვით, 5%-იანი ზრდა ჯაჭვის კიბის ცვალებადობის ფაქტორებში განაპირობებდა საუკეთესო შეფასების ვალდებულების ზრდას 319 ათასი ლარით, შესაბამისად, 5%-იანი კლება ცვალებადობის ფაქტორებში 319 ათასი ლარით შეამცირებდა ვალდებულების საუკეთესო შეფასებას.

ჯანმრთელობის დაზღვევა მოკლევადიანი პროდუქტია და დადგომის შემდეგ მოთხოვნის გაცხადება სულ რაღაც ორი თვის განმავლობაში უნდა მოხდეს. ჯანმრთელობის დაზღვევის შემთხვევაში, საუკეთესო შეფასების ვალდებულების გამოსათვლელად ხელმძღვანელობა იყენებს შემდგომი პერიოდის ფაქტობრივ მოთხოვნებს, რომლებიც გაცხადებულია ფინანსური ანგარიშგების თარიღამდე. დანარჩენი პერიოდისთვის პროფესიული განსჯა გამოიყენება. მოთხოვნის დადგომის თარიღიდან ორი თვის გადაჭარბებით ზარალის გაცხადება შესაძლებელია მხოლოდ რამდენიმე სამედიცინო დაწესებულებაში მიღებული სამედიცინო მომსახურების შემთხვევაში. ვინაიდან წარსულში ასეთი მოთხოვნები არ იყო არსებითი, არ გამოყენებულა აქტუარული მეთოდი და ამის ნაცვლად გამოყენებული იქნა პროფესიული განსჯა.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ რეზერვის ეს დონე საკმარისია და დამატებითი რეზერვის შექმნა არ დასჭირდება.

4 შეფასებისა და განსჯის გამოყენება (გაგრძელება)

(ბ) რისკის კორექტირება არაფინანსური რისკისთვის (BEL)

დაკავშირებული სფერო, სადაც დაშვებები გამოიყენება არის რისკის კორექტირების გაანგარიშება არაფინანსური რისკისთვის. საკმარისი და სარწმუნო საკუთარი სტატისტიკის მქონე ხელშეკრულებების ჯგუფებისთვის გამოიყენება სტოქასტური შეფასების უზუსტობის გამოთვლის მეთოდი. ჯგუფი თავის გამოთვლებში იყენებს 75%-იან ნდობის ინტერვალს. მთავარი დაშვება, რომელიც საფუძვლად უდევს ამ მეთოდს, არის ის, რომ ნიმუში საკმარისად კარგად ასახავს იმ პოპულაციას, რის საფუძველზეც ის იქნა შედგენილი, რომ მისი ხელახალი შერჩევა საშუალებას იძლევა შეფასდეს, თუ როგორ შეიცვლება ნიმუშის სტატისტიკა.

მგრძნობელობის ანალიზი აჩვენებს, რომ ნდობის ინტერვალის 5%-იანი ზრდა გაზრდის არაფინანსური რისკისთვის რისკის კორექტირების მოცულობას 201 ათასი ლარით. ნდობის ინტერვალის 5%-იანი შემცირება შეამცირებს რისკის კორექტირების მოცულობას 169 ათასი ლარით. რისკის კორექტირების გაანგარიშების მეთოდოლოგიის დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 30 (დ) (viii).

შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების გადასინჯვები აღიარებულია იმ პერიოდში, როდესაც შეფასებები გადაიხედება და ნებისმიერ მომავალ პერიოდებში, რომლებზეც ის გავლენას მოახდენს.

(გ) პრემიის განაწილების მიდგომა

ხელმძღვანელობა იყენებს PAA (პრემიის განაწილების) მიდგომას საკრედიტო სიცოცხლის დაზღვევის პორტფელისთვის, რომელიც ეფუძნება შემდეგ გადაწყვეტილებას:

საკრედიტო სიცოცხლის დაზღვევის პოლისები წარმოადგენს 1 თვიან ხელშეკრულებებს, რომლებიც ავტომატურად განახლდება სესხის სრულად დაფარვამდე. პრემიის თანხა წარმოადგენს ფიქსირებული ჩილს სესხის დაუფარავ თანხაში.

საქართველოს სამოქალაქო კანონის თანახმად, სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება მზღვეველის მიერ შეიძლება ნებისმიერ დროს შეწყდეს/არ განახლდეს, რაიმე კონკრეტული მიზეზისა და დაზღვეულისთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე, თუ მზღვეველის მიერ, შესაბამისი სადაზღვევო პოლისით ნაკისრი ვალდებულებები სრულად არის შესრულებული და ხელშეკრულებისთვის წინასწარი გადახდა არ არის გათვალისწინებული.

ვინაიდან სადაზღვევო გადახდები ხორციელდება სესხის გადახდებთან ერთად, პრაქტიკაში, ამ ურთიერთობაში არ არის გათვალისწინებული დამზღვევისგან წინასწარი გადახდის შესაძლებლობა და მზღვეველს არ აქვს ვალდებულება გააგრძელოს მომსახურება 1 თვის შემდეგ.

აქედან გამომდინარე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ საკრედიტო სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებების დაფარვის პერიოდი არის ერთი წელი, ან ნაკლები და საწარმომ შეიძლება გაამარტივოს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფის შეფასება პრემიის განაწილების მიდგომის გამოყენებით.

ხელმძღვანელობას არ გამოუყენებია რაიმე სახის კრიტიკული განსჯა, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც მოიცავს შეფასების გაკეთებას ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წინამდებარე კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე.

5 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოადგენს ქართულ ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებს. ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების საკრედიტო რეიტინგები იყო შემდეგი:

	კონსოლიდირებული			ინდივიდუალური		
ათასი ლარი	**2023**	**2022**	**2021**	**2023**	**2022**	**2021**
BB	12,221	15,348	14,733	12,065	15,287	14,645
BB-	3	16	-	4	16	-
B+	10	13	5	10	13	5
რეიტინგის გარეშე	14	13	13	13	14	13
სულ	**12,248**	**15,390**	**14,751**	**12,092**	**15,330**	**14,663**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება სს თიბისი ბანკში განთავსებული 12,191 ათასი ლარისგან (2022 წელი: 11,100 ათასი ლარი).

6 საბანკო დეპოზიტები

	კონსოლიდირებული			ინდივიდუალური		
ათასი ლარი	**2023**	**2022**	**2021**	**2023**	**2022**	**2021**
სს თიბისი ბანკი	29,534	26,595	17,557	29,534	26,595	17,557
სს საქართველოს ბანკი	15,594	20,389	12,952	15,594	20,389	12,952
სს ლიბერთი ბანკი	11,066	9,892	10,692	11,066	9,892	10,692
სს ტერა ბანკი	5,154	7,514	2,317	5,154	7,514	2,317
სს ბაზის ბანკი	4,790	-	-	4,790	-	-
სს ვითიბი ბანკი	-	-	3,386	-	-	3,386
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(238)	(420)	(178)	(238)	(420)	(178)
სულ საბანკო დეპოზიტები	**65,900**	**63,970**	**46,726**	**65,900**	**63,970**	**46,726**

სს თიბისიში განთავსებული დეპოზიტის მთლიანი თანხიდან 8,115 ათასი ლარი მიეკუთვნება საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ დადგენილ მინიმალურ კაპიტალის მოთხოვნებს.

საბანკო დეპოზიტების ნაშთები კლასიფიცირდება როგორც გაუფასურების 1ლ დონეზე მყოფი. საბანკო დეპოზიტები წარმოდგენილია ქართულ კომერციულ ბანკებში განთავსებებით, გააჩნიათ ორ წელზე ნაკლები ვადა და გამოიმუშავებენ წლიურ პროცენტს 12.40%-დან 14.50%-მდე. დაკავშირებულ მხარესთან (სს თიბისი ბანკი) განთავსებული საბანკო დეპოზიტები გამოიმუშავებს წლიურ საპროცენტო განაკვეთს 12.40%-დან 13.75%-მდე.

ბანკებში განთავსებული თანხების საკრედიტო რეიტინგები იყო შემდეგი:

	კონსოლიდირებული			ინდივიდუალური		
ათასი ლარი	**2023**	**2022**	**2021**	**2023**	**2022**	**2021**
BB	29,534	26,595	17,557	29,534	26,595	17,557
BB-	20,384	20,389	16,338	20,384	20,389	16,338
B+	16,220	17,406	13,009	16,220	17,406	13,009
სულ	**66,138**	**64,390**	**46,904**	**66,138**	**64,390**	**46,904**

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საბანკო დეპოზიტების მთლიანი ნაშთიდან 48,986 ათასი ლარი იყო ერთ წელზე ნაკლები ვადით, ხოლო დანარჩენ ნაშთს ერთ წელზე მეტი და ორ წელზე ნაკლები ვადა ჰქონდა.

7 საინვესტიციო აქტივები

ათასი ლარი	კონსოლიდირებული	ინდივიდუალური
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2,891	2,891
შესყიდვები	2,830	2,830
საპროცენტო შემოსავლის დარიცხვა	382	382
მიღებული პროცენტი	(923)	(923)
ობლიგაციის პრემიის ამორტიზაცია	(21)	(21)
გაუფასურების შემოსულობა (ზარალი)	(23)	(23)
სავალუტო შემოსულობა (ზარალი)	(217)	(217)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,919	4,919
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	4,919	4,919
შესყიდვები	12,280	12,280
გასვლები	(4,024)	(4,024)
საპროცენტო შემოსავლის დარიცხვა	945	945
მიღებული პროცენტი	(1,132)	(1,132)
ობლიგაციის პრემიის ამორტიზაცია	(21)	(21)
გაუფასურების შემოსულობა (ზარალი)	7	7
სავალუტო შემოსულობა (ზარალი)	365	365
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**13,339**	**13,339**

საინვესტიციო აქტივები შედგება შემდეგი კორპორაციული და სამთავრობო ობლიგაციებისგან, ყველა მათგანი ასახულია ამორტიზირებული ღირებულებით

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ემიტენტი	**ვადა**	**რეიტინგი**	**2023**	**2022**
აშშ ხაზინა	14 მარტი2024	AA+ (Fitch რეიტინგები)	4,385	-
სს თიბისი ბანკი	19 ივნისი 2024	BB (Fitch რეიტინგები)	2,151	-
სს თიბისი ბანკი	03 ოქტომბერი 2024	BB (Fitch რეიტინგები)	1,166	1,200
შპს თეგეტა მოტორსი	16 დეკემბერი 2025	BB- (Scope რეიტინგები)	1,004	1,005
სს ნიკორა	28 ნოემბერი 2025	BB- (Scope რეიტინგები)	1,003	1,003
შპს თეგეტა მოტორსი	28 აპრილი 2025	BB- (Scope რეიტინგები)	935	-
შპს ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი	16 ოქტომბერი2025	რეიტინგის გარეშე	822	-
აშშ ხაზინა	11 აპრილი 2024	AA+ (Fitch რეიტინგები)	1,487	-
სს ნიკორა	12 ნოემბერი 2024	BB- (Scope რეიტინგები)	413	411
სს საქართველოს კაპიტალი	09 მარტი 2024	BB- (S&P რეიტინგები)	-	832
სს ქართული ლუდის კომპანია	21 დეკემბერი2023	BB- (Scope რეიტინგები)	-	502
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი			(27)	(34)
სულ საინვესტიციო აქტივები			**13,339**	**4,919**

საინვესტიციო აქტივები კლასიფიცირებულია 1 ეტაპზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილებების შესახებ დეტალები მოცემულია ცხრილში ქვემოთ:

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	2023			2022		
	საბანკო დეპოზიტები	საინვესტიციო აქტივები	**სულ**	საბანკო დეპოზიტები	საინვესტიციო აქტივები	**სულ**
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 1 იანვრის მდგომარეობით	(420)	(34)	**(454)**	(178)	(12)	**(190)**
ახლად წარმოქმნილი ან შეძენილი	(119)	(12)	**(131)**	(366)	(25)	**(391)**
პერიოდის განმავლობაში აღიარება შეწყვეტილი	116	1	**117**	(94)	(1)	**(95)**
ცვლილებები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის დაშვებებში	185	18	**203**	218	4	**222**
სულ, პერიოდის მოძრაობა	**182**	**7**	**189**	**(242)**	**(22)**	**(264)**
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 31 დეკემბრის მდგომარეობით	(238)	(27)	**(265)**	(420)	(34)	**(454)**

8 დაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები (აქტივები)

2023	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ვალდებულება დამდგარი ზარალისთვის		ვალდებულება დარჩენილი დაფარვისთვის	სულ
	PVFCF*	რისკის კორექტირება		
დაზღვევის ხელშეკრულების აქტივები 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	(48)	(48)
დაზღვევის ხელშეკრულების ვალდებულებები 1 იანვრის მდგომარეობით	18,607	652	25,620	44,879
წმინდა დაზღვევის ხელშეკრულების ვალდებულებები 1 იანვრის მდგომარეობით	**18,607**	**652**	**25,572**	**44,831**
ამონაგები დაზღვევის ხელშეკრულებებიდან	-	-	(160,743)	(160,743)
სადაზღვევო ხარჯები:	101,059	972	26,914	128,945
დამდგარი ზარალები	89,259	5,482	-	94,741
შეძენის ხარჯები	-	-	26,914	26,914
წარსულ მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები	(2,553)	(4,782)	-	(7,335)
სამომავლო მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები	449	272	-	721
სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები	13,904	-	-	13,904
დაზღვევის მომსახურების შედეგი (გადაზღვევის გამოკლებით)	**101,059**	**972**	**(133,829)**	**(31,798)**
დაზღვევის ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)	-	-	276	276
ფულადი ნაკადები :	**(93,017)**	**-**	**125,410**	**32,393**
მიღებული პრემია	-	-	159,152	159,152
ანაზღაურებული ზარალები	(79,113)	-	(6)	(79,119)
სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები	(13,904)	-	-	(13,904)
გადახდილი აკვიზიციური ფულადი ნაკადები	-	-	(33,736)	(33,736)
რეკლასიფიკაცია აქტივებში	-	-	30	30
წმინდა დაზღვევის ხელშეკრულების ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით	**26,649**	**1,624**	**17,429**	**45,702**
დაზღვევის ხელშეკრულების აქტივები 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	(18)	(18)
დაზღვევის ხელშეკრულების ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით	26,649	1,624	17,447	45,720

8 დაზღვევის ხელშეკრულებების ვალდებულებები (აქტივები) (გაგრძელება)

2022	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური			
	ვალდებულება დამდგარი ზარალებისთვის		ვალდებულება დარჩენილი დაფარვისთვის	სულ
	PVFCF*	რისკის კორექტირება		
დაზღვევის ხელშეკრულების აქტივები 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	(304)	(304)
დაზღვევის ხელშეკრულების ვალდებულებები 1 იანვრის მდგომარეობით	13,452	521	21,269	35,242
წმინდა დაზღვევის ხელშეკრულების ვალდებულებები 1 იანვრის მდგომარეობით	**13,452**	**521**	**20,965**	**34,938**
ამონაგები დაზღვევის ხელშეკრულებებიდან	-	-	(134,197)	(134,197)
სადაზღვევო ხარჯები:	79,534	131	24,060	103,725
დამდგარი ზარალები	66,327	2,022	-	68,349
შეძენის ხარჯები	-	-	24,060	24,060
წარსულ მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები	(798)	(1,718)	-	(2,516)
სამომავლო მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები	2,630	(173)	-	2,457
სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები	11,375	-	-	11,375
დაზღვევის მომსახურების შედეგი	**79,534**	**131**	**(110,137)**	**(30,472)**
გადაზღვევის ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)	-	-	(1,484)	(1,484)
ფულადი ნაკადები :	**(74,379)**	**-**	**116,228**	**41,849**
მიღებული პრემია	-	-	136,684	136,684
გადახდილი მოთხოვნები	(63,004)	-	-	(63,004)
სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი გადახდილი ხარჯები	(11,375)	-	-	(11,375)
გადახდილი აკვიზიციური ფულადი ნაკადები	-	-	(20,456)	(20,456)
რეკლასიფიკაცია აქტივებში			256	256
წმინდა დაზღვევის ხელშეკრულების ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით	**18,607**	**652**	**25,572**	**44,831**
დაზღვევის ხელშეკრულების აქტივები 31 დეკემბრის მდგომარეობით			(48)	(48)
დაზღვევის ხელშეკრულების ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით	18,607	652	25,620	44,879

*PVFCF –სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება

9 გადაზღვევის ხელშეკრულებების აქტივები (ვალდებულებები)

2023	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური			
	ვალდებულება დამდგარი ზარალებისთვის		ვალდებულება დარჩენილი დაფარვისთვის	სულ
	PVFCF*	რისკის კორექტირება		
გადაზღვევის ხელშეკრულების აქტივები 1 იანვრის მდგომარეობით	9,849	276	123	10,248
გადაზღვევის ხელშეკრულების ვალდებულებები 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	(3,852)	(3,852)
წმინდა გადაზღვევის ხელშეკრულების ვალდებულებები 1 იანვრის მდგომარეობით	**9,849**	**276**	**(3,729)**	**6,396**
გადაზღვევის პრემიის განაწილება	-	-	(22,668)	(22,668)
გადამზღვევლებისგან ანაზღაურებადი თანხები	19,243	590	741	20,574
დამდგარი ზარალები	19,243	590	-	19,833
შეძენის ხარჯები	-	-	741	741
გადაზღვევის მომსახურების შედეგი	**19,243**	**590**	**(21,927)**	**(2,094)**
გადაზღვევის ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)	-	-	345	345
ფულადი ნაკადები:	(6,506)	-	15,661	9,155
გადახდილი პრემია	-	-	15,808	15,808
ანაზღაურებული მოთხოვნები და ხარჯები	(6,506)	-	-	(6,506)
მიღებული საკომისიო	-	-	(147)	(147)
რეკლასიფიკაცია აქტივებში (ვალდებულებებში)	-	-	487	487
წმინდა გადაზღვევის ხელშეკრულების აქტივები 31 დეკემბრის მდგომარეობით	**22,586**	**866**	**(9,650)**	**13,802**
დაზღვევის ხელშეკრულების აქტივები 31 დეკემბრის მდგომარეობით	22,586	866	610	24,062
დაზღვევის ხელშეკრულების ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	(10,260)	(10,260)

9 გადაზღვევის ხელშეკრულებების აქტივები (ვალდებულებები) (გაგრძელება)

2022

	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური			
	ვალდებულება დამდგარი ზარალებისთვის		ვალდებულება დარჩენილი დაფარვისთვის	სულ
	PVFCF*	რისკის კორექტირება		
გადაზღვევის ხელშეკრულების აქტივები 1 იანვრის მდგომარეობით	8,944	319	589	9,852
გადაზღვევის ხელშეკრულების ვალდებულებები 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	(3,593)	(3,593)
წმინდა გადაზღვევის ხელშეკრულების აქტივები 1 იანვრის მდგომარეობით	**8,944**	**319**	**(3,004)**	**6,259**
გადაზღვევის პრემიის განაწილება	-	-	(16,661)	(16,661)
გადამზღვევლებისგან ანაზღაურებადი თანხები:	10,237	(43)	547	10,741
დამდგარი ზარალები	10,237	(43)	-	10,194
შეძენის ხარჯები	-	-	547	547
გადაზღვევის მომსახურების შედეგი	**10,237**	**(43)**	**(16,114)**	**(5,920)**
გადაზღვევის ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)	-	-	(500)	(500)
ფულადი ნაკადები:	(9,332)	-	15,889	6,557
გადახდილი პრემია	-	-	16,443	16,443
ანაზღაურებული მოთხოვნები და ხარჯები	(9,332)	-	-	(9,332)
მიღებული საკომისიო	-	-	(554)	(554)
რეკლასიფიკაცია აქტივებში (ვალდებულებებში)	-	-	(466)	(466)
წმინდა დაზღვევის ხელშეკრულების ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით	**9,849**	**276**	**(3,729)**	**6,396**
დაზღვევის ხელშეკრულების აქტივები 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,849	276	123	10,248
დაზღვევის ხელშეკრულების ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	(3,852)	(3,852)

*PVFCF – სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება

** ჯგუფი გადამზღვეველის ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკს აფასებს საკრედიტო რეიტინგის ცვლილების საფუძველზე. 2023 და 2022 წლებში ადგილი არ ჰქონია გადამზღვეველის საკრედიტო რეიტინგის გაუარესებას. ამიტომ ჯგუფს არ განუცდია გადამზღვეველის ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკის ცვლილების ეფექტი.

9 გადაზღვევის ხელშეკრულებების აქტივები (ვალდებულებები) (გაგრძელება)

	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური 2023			2022		
	სიცოცხლის დაზღვევასთან დაკავშირებული	ქონების და უბედური შემთხვევების	სულ	სიცოცხლის დაზღვევასთან დაკავშირებული	ქონების და უბედური შემთხვევების	სულ
სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივები	-	(18)	(18)	-	(48)	(48)
სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებები	22,243	23,477	45,720	22,508	22,371	44,879
წმინდა სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებები	**22,243**	**23,459**	**45,702**	**22,508**	**22,323**	**44,831**
გადაზღვევის ხელშეკრულების აქტივები	15,052	9,010	24,062	4,504	5,744	10,248
გადაზღვევის ხელშეკრულების ვალდებულებები	(5,317)	(4,943)	(10,260)	(1,585)	(2,267)	(3,852)
წინდა გადაზღვევის ხელშეკრულების აქტივები	**9,735**	**4,067**	**13,802**	**2,919**	**3,477**	**6,396**

10 სხვა აქტივები

	კონსოლიდირებული			ინდივიდუალური		
ათასი ლარი	**2023**	**2022**	**2021**	**2023**	**2022**	**2021**
გადახდილი ავანსები	385	182	671	359	184	664
სუბროგაციის გზით გადაცემული აქტივები	312	191	250	312	191	250
შეზღუდული ფულადი სახსრები	216	741	671	216	741	671
სხვა მოთხოვნები	927	204	231	880	174	174
მარაგები	37	33	79	36	32	78
სულ, სხვა აქტივები	**1,877**	**1,351**	**1,902**	**1,803**	**1,322**	**1,837**

11 ინვესტიცია შვილობილ საწარმოში

ათასი ლარი	ინდივიდუალური 2023	2022
საბალანსო ღირებულება 1 იანვრის მდგომარეობით	**5,776**	**4,426**
კაპიტალის შენატანი	1,121	1,350
შვილობილ საწარმოში ინვესტიციის გაუფასურება	(655)	-
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით	**6,242**	**5,776**

12 არამატერიალური აქტივები

კონსოლიდირებული

ათასი ლარი	ჯგუფს შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივები კომპიუტერული და სხვა პროგრამული უზრუნველყოფა	სხვა არამატერიალური აქტივები ლიცენზიები	კომპიუტერული და სხვა პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
ღირებულება:				
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	4,312	121	1,652	6,085
დამატებები	2,074	128	470	2,672
გასვლები	(17)	-	-	(17)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**6,369**	**249**	**2,122**	**8,740**
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	6,369	249	2,122	8,740
დამატებები	2,157	324	496	2,977
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**8,526**	**573**	**2,618**	**11,717**
დაგროვილი ამორტიზაცია:				
ნაშთი 2022 წლის იანვრის მდგომარეობით	912	105	800	1,817
წლის დარიცხვა	827	87	374	1,288
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,739**	**192**	**1,174**	**3,105**
ნაშთი 2023 წლის იანვრის მდგომარეობით	1,739	192	1,174	3,105
წლის დარიცხვა	1,181	203	461	1,845
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,920**	**395**	**1,635**	**4,950**
წმინდა საღრიცხვო ღირებულება				
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**4,630**	**57**	**948**	**5,635**
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**5,606**	**178**	**983**	**6,767**

12 არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

ინდივიდუალური

ათასი ლარი	ჯგუფს შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივები	სხვა არამატერიალური აქტივები		
	კომპიუტერული და სხვა პროგრამული უზრუნველყოფა	ლიცენზიები	კომპიუტერული და სხვა პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
ღირებულება:				
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2,884	85	1,829	4,798
დამატებები	1,604	128	471	2,203
გასვლები	(17)	-	-	(17)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**4,471**	**213**	**2,300**	**6,984**
ნაშთი 2023 წლის 1იანვრის მდგომარეობით	4,471	213	2,300	6,984
დამატებები	1,845	324	491.0	2,660
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**6,316**	**537**	**2,791**	**9,644**
დაგროვილი ამორტიზაცია:				
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	712	69	945	1,726
წლის დარიცხვა	708	87	373	1,168
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,420	156	1,318	2,894
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,420	156	1,318	2,894
წლის დარიცხვა	1,027	203	459	1,689
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,447**	**359**	**1,777**	**4,583**
წმინდა საღრიცხვო ღირებულება				
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,051**	**57**	**982**	**4,090**
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,869**	**178**	**1,014**	**5,061**

13 აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

ჯგუფი იჯარით მხოლოდ ოფისებს იღებს. ქირავნობის ხელშეკრულებები როგორც წესი, ფორმდება ფიქსირებული ვადით 6-დან 60 თვემდე.

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	ოფისები	სულ	ოფისები	სულ
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**1,084**	**1,084**	**1,068**	**1,068**
დამატებები	896	896	811	811
ცვეთის ხარჯი	(712)	(712)	(676)	(676)
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,268**	**1,268**	**1,203**	**1,203**
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**1,268**	**1,268**	**1,203**	**1,203**
დამატებები	877	877	841	841
გასვლები	(31)	(31)	-	-
ცვეთის ხარჯი	(799)	(799)	(751)	(751)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,315**	**1,315**	**1,293**	**1,293**
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**1,315**	**1,315**	**1,293**	**1,293**
მოდიფიკაციები	3,323	3,323	3,117	3,117
ცვეთის ხარჯი	(832)	(832)	(791)	(791)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,806**	**3,806**	**3,619**	**3,619**

13 აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულებების შეჯერება

ათასი ლარი	კონსოლიდირებული 2023 წელი	2022 წელი	2021 წელი	ინდივიდუალური 2023 წელი	2022 წელი	2021 წელი
საიჯარო ვალდებულებები 1 იანვრის მდგომარეობით	**1,339**	**1,470**	**1,449**	**1,318**	**1,414**	**1,437**
ფულადი ნაკადები	**(874)**	**(924)**	**(966)**	**(841)**	**(889)**	**(920)**
ძირითადი თანხის დაფარვა	(781)	(842)	(854)	(751)	(811)	(811)
პროცენტის გადახდები	(93)	(82)	(112)	(90)	(78)	(109)
არაფულადი ცვლილებები	**3,386**	**793**	**987**	**3,184**	**793**	**897**
პროცენტის დარიცხვა	93	82	112	90	78	109
მოდიფიკაციები	3,323	846	897	3,117	841	812
სავალუტო კორექტირებები	(30)	(135)	(22)	(23)	(126)	(24)
საიჯარო ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,851**	**1,339**	**1,470**	**3,661**	**1,318**	**1,414**

ჯგუფმა საიჯარო ვალდებულებები შემდეგნაირად აღიარა:

ათასი ლარი	კონსოლიდირებული 2023 წელი	2022 წელი	2021 წელი	ინდივიდუალური 2023 წელი	2022 წელი	2021 წელი
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	617	730	853	587	711	812
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	3,234	609	617	3,074	607	602
სულ საიჯარო ვალდებულებები	**3,851**	**1,339**	**1,470**	**3,661**	**1,318**	**1,414**

2023 წელს დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარასთან დაკავშირებული ხარჯები (შესულია საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში) შეადგენს 133 ათას ლარს (2022: 106 ათასი ლარი).

14 ძირითადი საშუალებები

კონსოლიდირებული

ათასი ლარი	ავეჯი და კომპიუტერული მოწყობილობები	ავტომობილები	საოჯახო გაუმჯობესებები	სულ
ღირებულება:				
ნაშთი 2022 წ. 1იანვრის მდგომარეობით	1,489	419	1,377	3,285
დამატებები	300	91	38	429
გასვლები	(68)	(151)	-	(219)
ნაშთი 2022 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,721**	**359**	**1,415**	**3,495**
ნაშთი 2022 წ. 1 იანვრის მდგომარეობით	1,721	359	1,415	3,495
დამატებები	661	83	41	785
გასვლები	(222)	(83)	-	(305)
ნაშთი 2023 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,160**	**359**	**1,456**	**3,975**
დაგროვილი ცვეთა:				
ნაშთი 2022 წ. 1 იანვრის მდგომარეობით	853	50	911	1,814
წლის ხარჯი	283	43	240	566
გასვლები	(53)	(24)	-	(77)
ნაშთი 2022 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,083**	**69**	**1,151**	**2,303**
ნაშთი 2023 წ. 1 იანვრის მდგომარეობით	1,083	69	1,151	2,303
წლის ხარჯი	290	35	143	468
გასვლები	-	(35)	-	(35)
ნაშთი 2023 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,373**	**69**	**1,294**	**2,736**
წმინდა საბალანსო ღირებულება				
2022 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	**638**	**290**	**264**	**1,192**
2023 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	**787**	**290**	**162**	**1,239**

14 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ინდივიდუალური

ათასი ლარი	ავეჯი და კომპიუტერული მოწყობილობები	ავტომობილები	საოფისო გაუმჯობესებები	სულ
ღირებულება:				
ნაშთი 2022 წ. 1იანვრის მდგომარეობით	1,401	419	1,377	3,197
დამატებები	300	91	38	429
გასვლები	(63)	(151)	-	(214)
ნაშთი 2022 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,638**	**359**	**1,415**	**3,412**
ნაშთი 2023 წ. 1იანვრის მდგომარეობით	1,638	359	1,415	3,412
დამატებები	661	83	36	780
გასვლები	(222)	(83)	-	(305)
ნაშთი 2023 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,077**	**359**	**1,451**	**3,887**
დაგროვილი ცვეთა:				
ნაშთი 2022 წ. 1 იანვრის მდგომარეობით	813	50	911	1,774
წლის ხარჯი	265	43	240	548
გასვლები	(49)	(24)	-	(73)
ნაშთი 2022 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,029**	**69**	**1,151**	**2,249**
ნაშთი 2023 წ. 1 იანვრის მდგომარეობით	1,029	69	1,151	2,249
წლის ხარჯი	272	35	139	446
გასვლები	-	(35)	-	(35)
ნაშთი 2023 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,301**	**69**	**1,290**	**2,660**
წმინდა საღრიცხვო ღირებულება				
2022 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	**609**	**290**	**264**	**1,163**
2023 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	**776**	**290**	**161**	**1,227**

15 საკუთარი კაპიტალი

(ა) სააქციო კაპიტალი

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ჰქონდა ავტორიზებული კაპიტალი 15,000 ათასი ლარის ოდენობით (2022 წ.: 15,000 ათასი ლარი). 1 ლარის ნომინალური ღირებულების მქონე 7,481,870 აქცია იყო გამოშვებული და სრულად გადახდილი 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.
ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს დროდადრო გამოცხადებული დივიდენდების მიღებისა და ჯგუფის კრებებზე თითო აქციაზე ერთი ხმის უფლება აქვთ.

(ბ) დივიდენდები

როგორც საქართველოს კანონმდებლობა მოითხოვს, ჯგუფის განაწილებადი რეზერვები არ აღემატება გაუნაწილებელი მოგების ნაშთს, რომელიც აღრიცხულია ჯგუფის ფასს-ების მიხედვით მომზადებულ სავალდებულო კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური		
ათასი ლარი	**2023**	**2022**	**2021**
გადასახდელი დივიდენდები 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-
წლის განმავლობაში გამოცხადებული დივიდენდები	11,013	10,026	7,003
წლის განმავლობაში გადახდილი დივიდენდები	(11,013)	(10,026)	(7,003)
გადასახდელი დივიდენდები 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-
წლის განმავლობაში ერთ აქციაზე გამოცხადებული დივიდენდები (ლარი)	**1.47**	**1.34**	**0.94**

(გ) სხვა რეზერვები

2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1,300 ათასი ლარის სხვა რეზერვები მოიცავს საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისთვის შვილობილი საწარმოების მიყიდვის აკუმულირებულ შედეგს. სხვა რეზერვებში 2023 და 2022 წლებში მოძრაობა არ დაფიქსირებულა.

ათასი ლარი	კონსოლიდირებული	ინდივიდუალური
გაუნაწილებელი მოგება მიღებამდე, 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**32,419**	**37,613**
ფასს 9-ის მიღება	**(190)**	**(190)**
ფასს 17-ის მიღება	**188**	**188**
ცვლილება მთლიან ვალდებულებაში წარმოქმნილი ზარალებისთვის (რისკის კორექტირება)	(520)	(520)
ცვლილება გადამზღვევის აქტივებში წარმოქმნილი ზარალებისთვის (რისკის კორექტირება)	319	319
ცვლილებები მთლიან აქტივებში/ვალდებულებებში დარჩენილი დაფარვისთვის (სავალუტო შემოსულობა/ზარალი)	386	386
ცვლილებები გადამზღვევის აქტივებში/ვალდებულებებში დარჩენილი დაფარვისთვის (სავალუტო შემოსულობა/ზარალი)	3	3
სულ, მიღების გავლენა	**(2)**	**(2)**
გაუნაწილებელი მოგება მიღების შემდეგ, 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**32,417**	**37,611**

16 აქციებზე დაფუძნებული გადახდის ვალდებულებები

2021 წელს სს „თიბისი დაზღვევამ“ დაამტკიცა კომპენსაციის სქემა უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისთვის, რომლის მიხედვით, კომპანია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელებს ყოველწლიურად, საქმიანობის შედეგებისა და მომსახურების პირობების საფუძველზე, ხუთწლიანი ვადით (2019-2023) გადასცემს პირობით აქციებს, რომლებიც გარდაიქმნება მშობელი საწარმოს (საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“) ფაქტობრივ აქციებად. პირობით აქციებზე არ გაიცემა დივიდენდები და მათი გასხვისება ან დაგირავება შეზღუდულია, ასევე ასეთი ტიპის აქციები არ მოიცავს ხმის მიცემის უფლებას.

ეფექტურობის ინდივიდუალური მაჩვენებლები დგინდება ინდივიდუალურად და გამოიყენება თითოეული დასაქმებულისთვის გადაცემული აქციების ოდენობის გამოსათვლელად. მომსახურების პირობები ითვალისწინებს უწყვეტ დასაქმებას მანამ, სანამ სქემის მონაწილეებისთვის უფლების ეტაპობრივი გადაცემა დასრულდება. ამ საკომპენსაციო სქემით, უფლების გადაცემის პერიოდი აქციების ყოველი წლის გადაცემისთვის გრძელდება 2024 წლის მარტამდე.

პირობითი აქციების რეალურ აქციებად გარდაქმნას ახდენს სს „თიბისი დაზღვევა“ და სს „თიბისი ბანკის ჯგუფი“ ფასს-ის მიხედვით ფაქტობრივ შედეგებზე დაყრდნობით, დაუყოვნებლივ, გარდაქმნის თარიღამდე და წინასწარ განსაზღვრული ფორმულით.

აქციების გადაცემა და ასევე შესაბამისი საშემოსავლო გადასახადი აღირიცხება, როგორც აქციებზე დაფუძნებული გადახდა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით ფასს 2-ის მიხედვით. ხარჯი მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში აისახება უფლების ეტაპობრივი გადაცემის მეთოდით უფლების გადაცემის პერიოდის განმავლობაში, რომელიც, ყოველ წელს გადაცემული აქციებისთვის, გრძელდება 2024 წლის მარტამდე; ხოლო ვალდებულება აღირიცხება საბუღალტრო ჩანაწერის მეორე მხარეს. ვალდებულების გადაფასება ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ვალდებულების დაფარვამდე. თუ გადაცემული აქციების ოდენობა დამოკიდებულია გარკვეული შედეგის მიღწევის და მომსახურების პირობების შესრულებაზე, ხელმძღვანელობა გადაცემული აქციების სავარაუდო ღირებულებას გადახედავს ხუთი წლის განმავლობაში პროგნოზირებული მიღწევებისა და მეხუთე წლის ფინანსური მაჩვენებლების საფუძველზე და შესაბამისად დააკორექტირებს ვალდებულებას.

შესრულების მთავარი მაჩვენებლები, რომლებიც ხელმძვანელობამ უნდა დააკმაყოფილოს, მოიცავს:

- მთლიან მოზიდულ სადაზღვევო პრემიას 2023 წლისათვის
- 2023 წლის წმინდა მოგებას
- 2023 საანგარიშგებო ღირებულებას- კომპანიის წმინდა აქტივებს 2023 წლისთვის, რასაც ემატება 2023 წლამდე განაწილებული დივიდენდები

16 აქციებზე დაფუძნებული გადახდის ვალდებულებები (გაგრძელება)

ათასი ლარი	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური 31-დეკ-2023	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
ვალდებულება პერიოდის დასაწყისში	**(6,129)**	**(4,133)**	**(2,615)**
წინა წლის გაცემების გადაფასება	(499)	(91)	97
აქციების მიმდინარე წლის გადაცემა	(1,652)	(1,514)	(1,378)
დღევანდელი ღირებულების დისკონტის შემობრუნება	(780)	(391)	(237)
თანამშრომლებზე გაწეულ დანახარჯად აღიარებული მთლიანი ხარჯი პერიოდის განმავლობაში	(2,931)	(1,996)	(1,518)
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ვალდებულება პერიოდის ბოლოს	**(9,060)**	**(6,129)**	**(4,133)**

გადაცემული ვალდებულების ფაქტორივი ღირებულება 2023 წლის ბოლოს იყო ნულის ტოლი (2022: ნული).

17 სხვა ვალდებულებები

ათასი ლარი	კონსოლიდირებული			ინდივიდუალური		
	2023	2022	2021	2023	2022	2021
მიღებული ავანსები	823	805	1,532	823	805	1,532
დასაქმებულთა კომპენსაციის დანარიცხები	2,501	2,064	1,702	2,486	2,064	1,702
სხვა ვალდებულებები	243	64	43	243	64	37
სხვა ვალდებულებები, სულ	**3,567**	**2,933**	**3,277**	**3,552**	**2,933**	**3,271**

18 სადაზღვევო მომსახურების შედეგები

2023 ათასი ლარი	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური სიცოცხლის და ჯანდაცვასთან დაკავშირებული	ქონების და უბედური შემთხვევების	სულ
ამონაგები დაზღვევის ხელშეკრულებებიდან	79,844	80,899	160,743
დაზღვევის ხარჯები :	(57,723)	(71,222)	(128,945)
დამდგარი ზარალები	(40,612)	(54,131)	(94,743)
შეძენის ხარჯი	(15,863)	(11,051)	(26,914)
წარსულ მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები	970	1,135	2,105
სამომავლო მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები	2,436	2,075	4,511
სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები	(4,654)	(9,250)	(13,904)
წმინდა შემოსავალი (ხარჯები)გადაზღვევის გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	3,091	(5,185)	(2,094)
დაზღვევის მომსახურების შედეგი	25,212	4,492	29,704

2022 ათასი ლარი	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური სიცოცხლის და ჯანდაცვასთან დაკავშირებული	ქონების და უბედური შემთხვევების	სულ
ამონაგები დაზღვევის ხელშეკრულებებიდან	64,194	70,003	134,197
დაზღვევის ხარჯები :	(47,082)	(56,643)	(103,725)
დამდგარი ზარალები	(27,336)	(41,013)	(68,349)
შეძენის ხარჯი	(14,273)	(9,787)	(24,060)
წარსულ მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები	(2,392)	559	(1,833)
სამომავლო მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები	654	1,238	1,892
სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები	(3,735)	(7,640)	(11,375)
წმინდა შემოსავალი (ხარჯები)გადაზღვევის გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	560	(6,480)	(5,920)
დაზღვევის მომსახურების შედეგი	17,672	6,880	24,552

19 წმინდა სადაზღვევო ფინანსური შემოსავალი (ხარჯები)

ფინანსური შემოსავალი გაცემული სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან და ფინანსური შემოსავალი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან შედგება მხოლოდ სავალუტო შემოსულობებისგან და ზარალისგან, რომლებიც დაკავშირებულია, შესაბამისად, გაცემულ სადაზღვევო და გადაზღვევის ხელშეკრულებებთან.

20 ინვესტიცია და სხვა შემოსავალი

2023

ათასი ლარი	საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით	ცვლილება მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში	წმინდა ინვესტიცია და სხვა შემოსავალი
			კონსოლიდირებული
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,906	-	1,906
სადეპოზიტო სერთიფიკატი	6,762	182	6,944
სახელმწიფო ობლიგაციები	183	-	183
სხვა სავალო ფასიანი ქაღალდები	741	7	748
სხვა შემოსავალი			255
სულ ინვესტიცია და სხვა შემოსავალი	**9,592**	**189**	**10,036**

2022

ათასი ლარი	საპროცენტო შემოსავალი	ფინანსური აქტივების აღდგენა (გაუფასურება)	წმინდა ინვესტიცია და სხვა შემოსავალი
			კონსოლიდირებული
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,266	-	1,266
სადეპოზიტო სერთიფიკატი	5,626	(242)	5,384
სხვა სავალო ფასიანი ქაღალდები	361	(23)	338
სხვა საპროცენტო შემოსავალი	78	-	78
სხვა შემოსავალი			356
სულ ინვესტიცია და სხვა შემოსავალი	**7,331**	**(265)**	**7,422**

20 ინვესტიცია და სხვა შემოსავალი (გაგრძელება)

2023

ათასი ლარი	საპროცენტო შემოსავალი	ფინანსური აქტივების აღდგენა (გაუფასურება)	ინდივიდუალური წმინდა ინვესტიცია და სხვა შემოსავალი
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,906	-	1,906
სადეპოზიტო სერთიფიკატი	6,762	182	6,944
სახელმწიფო ობლიგაციები	183	-	183
სხვა სავალო ფასიანი ქაღალდები	741	7	748
სხვა შემოსავალი			93
შვილობილ საწარმოში ინვესტიციის გაუფასურება			(655)
სულ ინვესტიცია და სხვა შემოსავალი	**9,592**	**189**	**9,219**

2022

ათასი ლარი	საპროცენტო შემოსავალი	ფინანსური აქტივების აღდგენა (გაუფასურება)	ინდივიდუალური წმინდა ინვესტიცია და სხვა შემოსავალი
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,266	-	1,266
სადეპოზიტო სერთიფიკატი	5,626	(242)	5,384
სხვა სავალო ფასიანი ქაღალდები	361	(23)	338
სხვა საპროცენტო შემოსავალი	76	-	76
სხვა შემოსვალი			268
სულ ინვესტიცია და სხვა შემოსავალი	**7,329**	**(265)**	**7,332**

21 ხარჯები მათი შინაარსის მიხედვით

კონსოლიდირებული

	2023			2022		
ათასი ლარი	პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები	სხვა საოპერაციო ხარჯები	სულ	პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები	სხვა საოპერაციო ხარჯები	სულ
ხელფასები	(4,773)	(5,166)	(9,939)	(3,915)	(4,401)	(8,316)
ხელმძღვანელების ბონუსები	-	(4,423)	(4,423)	-	(3,552)	(3,552)
სხვა ბონუსები	(1,828)	(1,029)	(2,857)	(1,435)	(693)	(2,128)
დაზღვევა და სხვა სარგებელი	(278)	(786)	(1,064)	(254)	(101)	(355)
სავალდებულო საპენსიო შენატანები	(192)	(228)	(420)	(148)	(337)	(485)
სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	**(7,071)**	**(11,632)**	**(18,703)**	**(5,752)**	**(9,084)**	**(14,836)**
მარკეტინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა	(1,570)	(142)	(1,712)	(1,375)	(232)	(1,607)
მეთვალყურეობის საფასური	(1,627)	-	(1,627)	(1,365)	-	(1,365)
პროგრამული უზრუნველყოფა და ტექნიკური მხარდაჭერა	(86)	(842)	(928)	(84)	(1,005)	(1,089)
პროფესიონალური მომსახურების საფასური	-	(756)	(756)	-	(630)	(630)
საბანკო მომსახურების საფასური და სხვა საკომისიოები	(364)	(32)	(396)	(285)	(28)	(313)
საფოსტო, სატელეკომუნიკაციო და კომუნალური ხარჯი	-	(393)	(393)	-	(356)	(356)
საოფისე შესყიდვები	(249)	(140)	(389)	(231)	(135)	(366)
ოფისის ქირა	(184)	(107)	(291)	(168)	(102)	(270)
BMTPL ხელმძღვანელობის საფასური *	(283)	-	(283)	(205)	-	(205)
გადასახადი (მოგების გადასახადის გარდა)	-	(214)	(214)	-	(205)	(205)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(540)	(55)	(595)	(251)	(888)	(1,139)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**(4,903)**	**(2,681)**	**(7,584)**	**(3,964)**	**(3,581)**	**(7,545)**
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,930)	(1,215)	(3,145)	(1,659)	(994)	(2,653)
სულ საოპერაციო ხარჯები	**(13,904)**	**(15,528)**	**(29,432)**	**(11,375)**	**(13,659)**	**(25,034)**

21 ხარჯები მათი შინაარსის მიხედვით (გაგრძელება)

ინდივიდუალური

	2023			2022		
ათასი ლარი	პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები	სხვა საოპერაციო ხარჯები	სულ	პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები	სხვა საოპერაციო ხარჯები	სულ
ხელფასები	(4,773)	(4,725)	(9,498)	(3,915)	(3,873)	(7,788)
ხელმძღვანელების ბონუსები	-	(4,423)	(4,423)	-	(3,553)	(3,553)
სხვა ბონუსები	(1,828)	(1,014)	(2,842)	(1,435)	(693)	(2,128)
დაზღვევა და სხვა სარგებელი	(278)	(775)	(1,053)	(254)	(65)	(319)
სავალდებულო საპენსიო შენატანები	(192)	(211)	(403)	(148)	(317)	(465)
სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	**(7,071)**	**(11,148)**	**(18,219)**	**(5,752)**	**(8,501)**	**(14,253)**
მარკეტინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა	(1,570)	(9)	(1,579)	(1,375)	(21)	(1,396)
მეთვალყურეობის საფასური	(1,627)	-	(1,627)	(1,365)	-	(1,365)
პროგრამული უზრუნველყოფა და ტექნიკური მხარდაჭერა	(86)	(744)	(830)	(84)	(931)	(1,015)
პროფესიონალური მომსახურების საფასური	-	(731)	(731)	-	(627)	(627)
საბანკო მომსახურების საფასური და სხვა საკომისიოები	(364)	(32)	(396)	(285)	(28)	(313)
საფოსტო, სატელეკომუნიკაციო და კომუნალური ხარჯი	-	(381)	(381)	-	(347)	(347)
საოფისე შესყიდვები	(249)	(135)	(384)	(231)	(131)	(362)
ოფისის ქირა	(184)	(100)	(284)	(168)	(96)	(264)
BMTPL ხელმძღვანელობის საფასური *	(283)	-	(283)	(205)	-	(205)
გადასახადი (მოგების გადასახადის გარდა)	-	(214)	(214)	-	(205)	(205)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(540)	(3)	(543)	(251)	(797)	(1,048)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**(4,903)**	**(2,349)**	**(7,252)**	**(3,964)**	**(3,183)**	**(7,147)**
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,930)	(1,001)	(2,931)	(1,659)	(808)	(2,467)
სულ საოპერაციო ხარჯები	**(13,904)**	**(14,498)**	**(28,402)**	**(11,375)**	**(12,492)**	**(23,867)**

21 ხარჯები მათი შინაარსის მიხედვით (გაგრძელება)

• 2018 წელს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სავალდებულო დაზღვევის ცენტრი“ (შემდგომში „ცენტრი“) დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ცენტრის მიზანი იყო სადაზღვევო სისტემაში მონაწილე მზღვეველების მიერ მესამე პირის წინაშე ავტომფლობელის პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის (BMTPL) მართვა. მზღვეველები ყოველთვიურ მართვის ღირებულებას უხდიან ცენტრს, რომლის მთავარი ფუნქცია-მოვალეობები არის კლიენტების უწყვეტი მომსახურება, სადაზღვევო პოლისების რეალიზაცია და ზარალების რეგულირება.

ზემოაღნიშნული პროფესიული მომსახურების ღირებულება მოიცავს 213 ათას ლარს (2021 წ.: 172 ათასი ლარი) - აუდიტორის/აუდიტორული კომპანიის მიერ აუდიტორულ და სხვა მომსახურებაში გადახდილ საფასურს , „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის განმარტების შესაბამისად.

22 სხვა ხარჯები

2022 წელს ჯგუფმა დაიწყო ფასს 17-ის დანერგვის პროექტი. შესაბამისი 346 ათასი ლარის ოდენობის ხარჯი ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია, როგორც სხვა ხარჯი.

23 მოგების გადასახადის ხარჯი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს შემდეგს:

ათასი ლარი	კონსოლიდირებული 2023	კონსოლიდირებული 2022	ინდივიდუალური 2023	ინდივიდუალური 2022
მიმდინარე გადასახადი	4,507	3,509	4,507	3,509
გადავადებული გადასახადის ხარჯი/(კრედიტი)	122	(70)	122	(70)
წლის მოგების გადასახადის ხარჯი	**4,629**	**3,439**	**4,629**	**3,439**

ჯგუფი 2023 წელს იბეგრებოდა მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით (2022: 15%). ქვემოთ მოცემულია მოსალოდნელი და ფაქტობრივად დარიცხული გადასახადების შეჯერება:

ათასი ლარი	კონსოლიდირებული 2023	კონსოლიდირებული 2022	ინდივიდუალური 2023	ინდივიდუალური 2022
მოგება დაბეგვრამდე	**25,349**	**20,847**	**25,568**	**21,924**
თეორიული გადასახადის დარიცხვა სავალდებულო განაკვეთით	3,802	3,127	3,835	3,289
- გადასახადისგან განთავისუფლებული შემოსავლის ეფექტი	(31)	(79)	(31)	(79)
- გამოუქვითავი ხარჯების ეფექტი	703	299	703	299
- აქციებზე დაფუძნებული გადახდის კომპენსაცია	*440*	*299*	440	299
*- ფასს 9 და ფასს 17**	*210*	-	210	-
- სხვა გამოუქვითავი ხარჯები	*53*	-	53	-
- შვილობილი საწარმოს ეფექტი**	33	162	-	-
წლის მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი	**4,507**	**3,509**	**4,507**	**3,509**

* საქართველოს საგადასახადო კოდექსი მზღვეველებს ავალდებულებს სადაზღვევო ოპერაციების აღრიცხვას მარეგულირებელი სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური (ISSSG) კვლავ იყენებს ფასს 4-ს მარეგულირებელი ანგარიშგების მიზნებისთვის.

** კომპანიის შვილობილი საწარმო იყენებს ესტონურ საგადასახადო კოდექსს.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (ე.წ. მოგების გადასახადის ესტონური მოდელი), რომელსაც, ძირითადად, დაბეგვრის მომენტი დასაბეგრი მოგების მიღებიდან გადააქვს მოგების განაწილებაზე. 2018 წლის 28 დეკემბერს კანონი ისევ შეიცვალა და 2023 წლის 1 იანვარი დაადგინა კანონის ძალაში შესვლის თარიღად ფინანსური შეიცვალა და 2023 წლის 1 იანვარი დაადგინა კანონის ძალაში შესვლის თარიღად ფინანსური დაწესებულებებისთვის (ბანკები, სადაზღვევო კომპანიები და სხვა). 2022 წლის დეკემბერში ძალაში შესვლის თარიღმა ისევ გადაიწია 2024 წლის 1 იანვრამდე.

ახალი საგადასახადო სისტემის ზემოთ აღწერილი ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში დარეგისტრირებულ ფინანსურ დაწესებულებებს არ ექნებათ სხვაობები აქტივების საგადასახადო ბაზებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის 2024 წლის 1 იანვრიდან. შესაბამისად, ამ თარიღიდან არ წარმოიქმნება მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. შესაბამისად, ნებისმიერი გადავადებული საგადასახადო აქტივის ნაშთი ჩამოიწერა ჯგუფის ბალანსიდან.

24 ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

2023 წლისა და 2022 წლის მდგომარეობით, არ დაფიქსირებულა ისეთი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც ექვემდებარებოდა ურთიერთგადაფარვის, ურთიერთჩათვლის და მსგავს შეთანხმებებს.

25 კაპიტალის მართვა

(ა) კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომა

კაპიტალის მართვის მთავარი მიზანია, კაპიტალი ყოველთვის ჯგუფის რისკის პროფილის შესაბამის დონეზე შენარჩუნდეს და გაკონტროლდეს. ჯგუფის კაპიტალის მართვის ამოცანებია:

- საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნებთან შესაბამისობა;
- მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება საქმიანობის გაფართოების მხარდასაჭერად და პოლისის მფლობელებისთვის, მარეგულირებელი ორგანოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების დაკმაყოფილება;
- სადაზღვევო ვალდებულებების დასაფარად მიღებული აქტივების შემადგენლობისა და სტრუქტურის შენარჩუნება დაფარვის დროისთვის და მარეგულირებელი ორგანოების მოთხოვნების გადაჭარბებით შესრულება; და
- ჯგუფის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით პოლისის მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ჯგუფის ინტერესში კაპიტალის ადეკვატური რესურსების მუდმივი შენარჩუნება და მინიმალური მარეგულირებელი კაპიტალის მოთხოვნების დაკმაყოფილებაა. ჯგუფის მიერ გამოყენებული კაპიტალის ძირითადი წყარო ფინანსდება აქციების გამოშვებით. კაპიტალის ძლიერი ბაზის შენარჩუნებას ჯგუფისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რათა მას საშუალება ჰქონდეს ზრდის მომგებიანი შესაძლებლობებით ისარგებლოს და დიდი ზარალის დადგომის შედეგებისგან მაქსიმალურად დაიცვას თავი.

კაპიტალის მონიტორინგისა და მართვის პროცესის ფარგლებში ჯგუფმა დანერგა აქტივების შემადგენლობისა და სტრუქტურის კონტროლის მექანიზმები, რაც ჯგუფს საშუალებას აძლევს წამყვან ქართულ ბანკებში მუდმივად მინიმალური ფულადი სახსრები ჰქონდეს განთავსებული.

საქართველოს დაზღვევის სექტორს არეგულირებს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს სადაზღვევო კომპანიებისთვის დაწესებული აქვს მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები. ამ მოთხოვნების მიზანია გადახდისუნარიანობის საკმარისი მარჟების უზრუნველყოფა.

(ბ) მარეგულირებელი მოთხოვნები

2016 წლის 16 სექტემბერს ISSSG-მ გამოსცა №15 და №16 დირექტივები გადახდისუნარიანობის მარეგულირებელი მარჟის და მარეგულირებელი კაპიტალის განსაზღვრის შესახებ, შესაბამისად. კანონები ასევე აწესებს მოთხოვნებს მარეგულირებელი კაპიტალის მინიმალური ნიშნულის შენარჩუნებაზე გადახდისუნარიანობის მარეგულირებელი მარჟის მიმართ.

25 კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დირექტივის თანახმად, სადაზღვევო კომპანია უნდა აკმაყოფილებდეს კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნას პერიოდის განმავლობაში და ყოველთვის უნდა ინარჩუნებდეს ამ თანხის მთლიან ოდენობას ან ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების, ან საბანკო ნაშთების სახით. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის №27 დირექტივის მიხედვით, კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა 7,200 ათას ლარამდე გაიზარდა.

სს თიბისი დაზღვევა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაწესებული კაპიტალის მოთხოვნებთან შესაბამისობაში იყო 2023 და 2022 წლის განმავლობაში

მარეგულირებელი კაპიტალი ფასს-ის კაპიტალის საფუძველზე განისაზღვრება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, რაც კორექტირებულია, მაგალითად, ინვესტიციებისთვის შვილობილ თუ მეკავშირე საწარმოებში, არაუზრუნველყოფილი სესხებისა და ნასესხები სახსრებითვის და ა.შ. როგორც ეს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის №16 დირექტივით არის დადგენილი.

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღისთვის ჯგუფი სრულად აკმაყოფილებს მარეგულირებელი კაპიტალის დონეს, კერძოდ, შეადგენს გადახდისუნარიანობის ნორმატიული მარჟის 100%-ს.

26 სადაზღვევო რისკის მართვა

(ა) რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა სადაზღვევო რისკის შესამცირებლად

ჯგუფის ძირითადი სადაზღვევო საქმიანობა თავის თავზე იღებს ზარალის რისკს ფიზიკური ან იურიდიული პირებისგან, რომლებიც პირდაპირ ექვემდებარებიან ამ რისკს. ასეთი რისკები ძირითადად უკავშირდება სიცოცხლეს, ავტომობილებს და სხვა სეგმენტებს ჯანდაცვის გარდა, მაგალითად, ქონების, ვალდებულების, ტვირთის, მოგზაურობის და სხვა საფრთხეებისგან დაზღვევას, რომლებიც შეიძლება სადაზღვევო შემთხვევის შედეგად წარმოიშვას. ჯგუფი წინასწარ ვერ საზღვრავს სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მოთხოვნის დადგომის დროსა და მოცულობას. ამასთან დაკავშირებული მთავარი რისკი ისაა, რომ მოთხოვნის სიხშირე და მოცულობა შეიძლება მოსალოდნელზე მეტი აღმოჩნდეს.

სადაზღვევო შემთხვევებს მოულოდნელობა ახასიათებს და წლის განმავლობაში მათი რეალური სიხშირე და მოცულობა, შესაძლოა, სტატისტიკური მოდელებით მიღებული პროგნოზებისგან განსხვავდებოდეს.

ჯგუფს ასევე აქვს საბაზრო რისკი თავისი სადაზღვევო და საინვესტიციო საქმიანობის გამო. ჯგუფი თავის სადაზღვევო რისკს მართავს რისკების კონცენტრაციების გადაზღვევის, ანდერაიტინგის ლიმიტების, ოპერაციების დამტკიცების პროცედურებისა და პრობლემების მყისიერი მონიტორინგის მეშვეობით.

(i) ანდერაიტინგის სტრატეგია

ჯგუფის ანდერაიტინგის სტრატეგიის მიზანია დივერსიფიკაციის უზრუნველყოფა, რათა ჯგუფის პორტფელს ყოველთვის ახასიათებდეს სხვადასხვა კლასის ერთმანეთთან დაუკავშირებელი რისკები და რისკის თითოეული კლასი, თავის მხრივ, გადანაწილებული იყოს ბევრ პოლისზე. ხელმძღვანელობის აზრით, ეს მიდგომა ამცირებს რეალურად დამდგარი შედეგების ცვალებადობას. ანდერაიტინგის სტრატეგია მოცემულია ჯგუფის სადაზღვევო რისკის მართვის პოლიტიკაში. სტრატეგია ხორციელდება ანდერაიტინგის ინსტრუქციებით, რომლებშიც დაწვრილებით არის აღწერილი ანდერაიტინგის წესები პროდუქტის თითოეული ტიპისთვის. ინსტრუქციები მოიცავს კონცეფციებსა და პროცედურებს, თანმდევი რისკის აღწერას, პირობებს, უფლებებსა და მოვალეობებს,

26 სადაზღვევო რისკის მართვა (გაგრძელება)

დოკუმენტირების მოთხოვნებს, ხელშეკრულებების ნიმუშებს / პოლისების მაგალითებს, მოქმედი ტარიფების დასაბუთებას და ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება მოქმედ ტარიფებზე გავლენა იქონიოს. ტარიფის გამოთვლა ეყრდნობა ალბათობასა და ცვალებადობას.
ანდერაიტინგის ინსტრუქციების დაცვას მუდმივად აკონტროლებს გენერალური დირექტორის მოადგილე.

(ii) გადაზღვევის სტრატეგია

ჯგუფი გადააზღვევს იმ რისკების ნაწილს, რომლების ანდერრაიტინგსაც ის ახორციელებს, რათა გაკონტროლოს ზარალის ზემოქმედება და დაიცვას კაპიტალის რესურსები. ჯგუფი ყიდულობს სიცოცხლის, აგრო და ბიზნესის საგარანტიო ხაზების გადაზღვევის პროპორციული საფუძველის მქონე ხელშეკრულებებს, ხოლო ქონების, ტვირთისა და ვალდებულებების პორტფელებისთვის - ზარალის ექსცედენტის ხელშეკრულებებს. გარდა ამისა, ჯგუფი ყიდულობს არსავალდებულო გადაზღვევას ზემოაღნიშნულ პროდუქტებში არსებული ყველა რისკისთვის, რომლებიც ვერ ექცევა სავალდებულო დაზღვევის ლიმიტებში.

გადაცემული გადაზღვევა შეიცავს საკრედიტო რისკს და მსგავსი ანაზღაურებადი გადაზღვევის ანგარიშგებაში ასახვა ხდება ცნობილი გადახდისუუნარობისა და უიმედო ვალდებულებების გამოქვითვის შემდეგ. ჯგუფი მუდმივად აკონტროლებს გადამზღვეველთა ფინანსურ მდგომარეობას და პერიოდულად გადახედავს მის გადაზღვევის ხელშეკრულებებს.

ცხრილში ქვემოთ მოცემულია ჯგუფის გადაზღვევის ანაზღაურებადი ღირებულება საკრედიტო რეიტინგის კლასების მიხედვით:

	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	
ათასი ლარი	**2023**	**2022**
AA+ -დან AA- -მდე	2,928	1,955
A+ -დან to A- -მდე	3,632	995
B+ -დან to B- -მდე	1,378	647
რეიტინგის გარეშე, ქართული	2,525	928
რეიტინგის გარეშე, სხვა	61	21
სულ	**10,524**	**4,546**

(ბ) სადაზღვევო ხელშეკრულებების პირობები და დაზღვევით მოცული რისკის ხასიათი

სადაზღვევო ხელშეკრულებების პირობები, რომლებსაც არსებითი გავლენა აქვს სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე სამომავლო ფულადი ნაკადების მოცულობაზე, ვადებსა და განუსაზღვრელობაზე, განხილულია ქვემოთ. გარდა ამისა, შეფასებულია ჯგუფის ძირითადი პროდუქტები და მათთან დაკავშირებული რისკების მართვის გზები.

(i) ავტოდაზღვევა

პროდუქტის მახასიათებლები

ჯგუფს აქვს ორი ტიპის ავტოდაზღვევა, ავტომობილის სრული დაზღვევა („კასკო“) და მესამე პირის წინაშე ავტომფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევა. კასკო ხელშეკრულებების მიხედვით, წინაშე ავტომფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევა. კასკო ხელშეკრულებების მიხედვით, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს აუნაზღაურდებათ კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალების დაკარგვის ან დაზიანების შედეგად დამდგარი ზარალი; მესამე პირის წინაშე ავტომფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევა ითვალისწინებს ავტომობილის მფლობელის მიერ, სადაზღვევო პერიოდში, მსუბუქი ავტოტრანსპორტის მართვის შედეგად, მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ავტოდაზღვევა მოიცავს დაფარვას მოკლე ვადებში.

26 სადაზღვევო რისკის მართვა (გაგრძელება)

როგორც წესი, დაუყოვნებლივ ხდება იმ მოთხოვნების წამოყენება, რომლებიც ეხება პოლისის მფლობელისთვის ავტომანქანის ფიზიკური დაზიანების ან დაკარგვის ანაზღაურებას. უფრო დიდი დრო ესაჭიროება და უფრო რთული შესაფასებელია ის მოთხოვნები, რომლებიც ეხება სხეულის დაზიანების ხარჯების დაფარვას.

რისკის მართვა

ზოგადად, ავტოდაზღვევის ფარგლებში ზარალის მოთხოვნა იშვიათად და უმნიშვნელოდ გვიანდება, და მოთხოვნების რეგულირებაც დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. საერთოდ, ამ საქმიანობაში ზარალის ანაზღაურების ვალდებულებების პროგნოზს ზომიერი რისკი ახასიათებს. ჯგუფი აკონტროლებს და რეაგირებს რემონტის, მკურნალობის ხარჯების ტენდენციებსა და ქურდობისა თუ უბედური შემთხვევების სიხშირეზე.

სადაზღვევო მოთხოვნების სიხშირეზე გავლენას ახდენს უამინდობა. ამასთან, ზარალის მოცულობა ზამთრის თვეებში იზრდება. ავტოდაზღვევის ყველა ტიპისთვის რისკების შეფასება ხდება ჯგუფის გამოცდილებაზე დაყრდნობით.

(ii) ქონების დაზღვევა

პროდუქტის მახასიათებლები

ჯგუფი მომხმარებლებს სთავაზობს ქონების დაზღვევას. ქონების დაზღვევა მოიცავს კორპორაციულ და საცალო პაკეტებს. ქონების დაზღვევა პოლისის მფლობელს უნაზღაურებს კუთვნილი მატერიალური ქონების განადგურების ან დაზიანების შედეგად მიღებულ ზარალს გარკვეული ლიმიტების ან გადაჭარბების ფარგლების დაცვით.

შენობების ან შენობების შიგთავსის დაზიანების შემთხვევები, რომლებიც წარმოშობს ზარალის ანაზღაურების მოთხოვნებს, მოულოდნელი ხასიათისაა (მაგ. ხანძარი ან ძარცვა) და მიზეზის დადგენა ადვილია. შესაბამისად, ზარალის განსაზღვრა მალევე ხდება და ის დაყოვნების გარეშე ანაზღაურდება. შესაბამისად, ქონების დაზღვევის მიმართულებას ახასიათებს ზარალის ანაზღაურების მოთხოვნების დაუყოვნებლივ წარმოდგენა და დაკმაყოფილება.

რისკის მართვა

ამ პროდუქტთან დაკავშირებული ძირითადი რისკებია ანდერაიტინგის, კონკურენტუნარიანობის გაუარესებისა და სადაზღვევო მოთხოვნების დაკმაყოფილების რისკები (სტიქიური უბედურებების ცვალებადი სიხშირის ჩათვლით). ჯგუფს ასევე აქვს სადაზღვევო ანაზღაურების მომთხოვნთა მხრიდან ზარალის გაზვიადების და არაკეთილსინდისიერი ქმედებების რისკი.

ანდერაიტინგის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი არ დააკისრებს სათანადო სადაზღვევო პრემიებს მის მიერ სხვადასხვა ქონების დაზღვევისთვის. ბევრი კომერციული ქონების დაზღვევა მოიცავს ადგილმდებარეობის, საქმიანობის ტიპისა და უსაფრთხოების დანერგილი ზომების უნიკალურ ერთობლიობას. ასეთი პოლისების რისკის თანაზომიერი პრემიის გამოთვლა სუბიექტური და, შესაბამისად, რისკიანი იქნება.

ეს რისკები, ძირითადად, იმართება ფასწარმოქმნის და გადაზღვევის პროცესებით. ჯგუფი მიმართავს ანდერაიტინგის მკაცრ კრიტერიუმებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ზარალის რისკი მისთვის მისაღები იყოს. ჯგუფი თავის ქონების რისკებს გადააზღვევს ზარალის ექსცედენტის, თანხის ექსცედენტის, სტიქიური უბედურებების გადაზღვევის ხელშეკრულებებით.

26 **სადაზღვევო რისკის მართვა (გაგრძელება)**

(iii) სიცოცხლის დაზღვევა

პროდუქტის მახასიათებლები

ჯგუფი ახდენს სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებების ანდერაიტინგს, რომელთა მიხედვითაც სადაზღვევო შემთხვევას წარმოადგენს მოსარგებლის გარდაცვალება ან მუდმივი ქმედუუნაროობა და პოლისის მფლობელი აზღვევს ფინანსური დაწესებულების წინაშე დარჩენილ დავალიანებას წინასწარ განსაზღვრული თანხით.

რისკის მართვა

ჯგუფის ანდერაიტინგის სტრატეგია მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ რისკები კარგად იყოს დივერსიფიცირებული საქმიანობის სფეროებისა და გეოგრაფიული არეალების მიხედვით. ჯგუფს ასევე უფლება აქვს, უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე თაღლითური მოთხოვნის აღმოჩენის შემთხვევაში. ჯგუფი გადაზღვევის ხელშეკრულებებს იყენებს სიცოცხლის დაზღვევის ყველა რისკისთვის და რისკის მოცულობა დაყვანილი აქვს მთლიანი ზარალის 10%-მდე. ამ პროდუქტთან დაკავშირებული ერთ-ერთი უმთავრესი რისკია უბედური შემთხვევის თარიღსა და ზარალის გაცხადების თარიღს შორის ინტერვალის არსებობა. ამ რისკის გამო, სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებისთვის დამდგარი ზარალის დამატებითი რეზერვი იქმნება, რომელიც გამოითვლება ჯაჭვის კიბის სტატისტიკური მეთოდებით.

(iv) ჯანმრთელობის დაზღვევა

პროდუქტის მახასიათებლები

ჯანმრთელობის დაზღვევის წილი ჯგუფის მთლიან სადაზღვევო ბიზნესში 16%-დან 19%-მდე გაიზარდა 2022 წელს სულ მოზიდული პრემიის სახით. ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულებები ბენეფიციარებს უხდის სადაზღვევო ანაზღაურებას სამედიცინო მკურნალობისა და ჰოსპიტალური მომსახურების ხარჯებისთვის. პორტფელი მთლიანად შედგება კოლექტიური კორპორაციული ხელშეკრულებებისგან.

რისკის მართვა

ჯანმრთელობის დაზღვევის საგანი ძირითადად არის სამედიცინო მკურნალობის აუცილებლობის საფრთხე. ჯგუფი ამის რისკებს მართავს კოლექტიური კორპორაციული ხელშეკრულებების მოზიდვით და ფასწარმოქმნის პოლიტიკით ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით. გარდა ამისა, ჯგუფი იყენებს თავისი პარტნიორი სამედიცინო დაწესებულებების და აფთიაქების მომსახურებას წინასწარ შეთანხმებული ფასებით.

(გ) დაზღვევის რისკის კონცენტრაცია

ჯგუფის სადაზღვევო რისკის უმთავრეს ასპექტს წარმოადგენს სადაზღვევო რისკის კონცენტრაციის დონე, რომელიც მაღალია მაშინ, როდესაც გარკვეულმა შემთხვევამ ან შემთხვევებმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ ჯგუფის ვალდებულებებზე. ასეთი კონცენტრაცია შეიძლება გამოიწვიოს ერთმა სადაზღვევო ხელშეკრულებამ ან რისკის საერთო მახასიათებლების მქონე რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებულმა ხელშეკრულებამ და უკავშირდება ისეთ გარემოებებს, რომლებიც მნიშვნელოვან ვალდებულებებს წარმოქმნის. სადაზღვევო რისკის კონცენტრაციის მნიშვნელოვანი ასპექტი არის ის, რომ იგი შეიძლება წარმოიქმნას სხვადასხვა ინდივიდუალურ კლასებში ან ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ტრანშებში რისკების კონცენტრაციის შედეგად.

26 სადაზღვევო რისკის მართვა (გაგრძელება)

რისკის კონცენტრაცია შეიძლება მოხდეს როგორც სერიოზული დანაკარგების მომტანი იშვიათი შემთხვევების დროს, როგორიცაა, მაგალითად სტიქიური უბედურებები, ისე სიტუაციებში, როცა ანდერაიტინგი გარკვეული ჯგუფის სასარგებლოდ, მაგალითად, გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში, ხდება.

ბიზნესის მნიშვნელოვანი მიმართულებებისთვის ჯგუფი მართავს რისკების კონცენტრაციას შიდა დამტკიცებული რისკისადმი დაქვემდებარების ფარგლების მიხედვით. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჯამებს შესაბამის რისკების მაჩვენებლებს საანგარიშგებო თარიღისთვის:

	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური		
ბიზნესის სფერო	**2023**	**2022**	**გამოთვლის მეთოდი**
ავტოდაზღვევა	10.8%	4.2%	ავტომობილების, რომლების სადაზღვევო თანხა აღემატება 100,000 აშშ დოლარს, კონცენტრაცია საერთო პორტფელში
ქონების დაზღვევა	8.6%	7.1%	ქონების დაზღვევის პორეტფელში ჰესების პორტფელის წილი
აგროდაზღვევა	60.0%	48.7%	სავადებული გადაზღვევის ხელშეკრულებების მიხედვით სადაზღვევო თანხის კონცენტრაცია ერთ რეგიონზე
პირადი რისკების დაზღვევა	70.9%	60.1%	საერთო პორტფელში ისეთი საკრედიტო სიცოცხლის დაზღვევის პოლისების კონცენტრაცია, რომლის სადაზღვევო თანხა აღემატება 25,000 აშშ დოლარს
ობლიგაციების დაზღვევა	12.6%	18.9%	საერთო პორტფელში გარანტიების კონცენტრაცია, რომლების სადაზღვევო თანხა აღემატება 50,000 აშშ დოლარს
ჯანმრთელობის დაზღვევა	15.2%	14.0%	საერთო პორტფელში ერთ მომხმარებელზე დაზღვეული პირების (ორგანიზაციები, ან დაკავშირებული ორგანიზაციების ჯგუფი) წილი.

ჯგუფი ამ რისკებს ორმაგი მეთოდით მართავს. ერთი მხრივ, რისკები იმართება სათანადო ანდერაიტინგით. ანდერაიტერებს არ აქვთ რისკების დაზღვევის უფლება, თუ მოსალოდნელი მოგება არ შეესაბამება აღებულ რისკს. მეორე მხრივ, რისკი იმართება გადაზღვევის მეშვეობით. ჯგუფი ყიდულობს გადაზღვევის პაკეტებს თავისი სხვადასხვა კლასის ავტო, სიცოცხლის და ქონების დაზღვევისთვის. ჯგუფი მუდმივად აფასებს გადაზღვევის პროგრამასთან დაკავშირებულ ხარჯებსა და სარგებელს.

(დ) ზარალის რეგულირება

ინფორმაცია ზარალის რეგულირების შესახებ წარმოდგენილია ჯგუფისთვის დამახასიათებელი სადაზღვევო რისკის საილუსტრაციოდ. ცხრილში სადაზღვევო შემთხვევების დადგომის წლების მიხედვით გადახდილი ზარალი შედარებულია ამ ზარალისთვის შექმნილ რეზერვებთან. პროგნოზირებული მაჩვენებელი იზრდება ან მცირდება, როდესაც გადაიხდება ზარალი და მეტი ინფორმაცია ხდება ცნობილი გადაუხდელი ზარალის სიხშირესა და სიმძიმეზე. ცხრილის ქვედა ნაწილში წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული მთლიანი დამდგარი ზარალის ვალდებულების და პროგნოზირებული კუმულაციური ზარალის შეჯერება. მართალია, ცხრილში მოცემული ინფორმაცია ეხება წინა წლებში ასანაზღაურებელი ზარალის შესახებ გაკეთებული პროგნოზების მართებულობას, ამ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მკითხველები სიფრთხილით უნდა მოეკიდნენ წარსულის ზედმეტობის ან დეფიციტის ამჟამინდელი გადაუხდელი ზარალის ნაშთებზე ექსტრაპოლაციას. ჯგუფს მიაჩნია, რომ 2023 წლის ბოლოსთვის აუნაზღაურებელი მთლიანი ზარალების პროგნოზი ადეკვატურია.

26 სადაზღვევო რისკის მართვა (გაგრძელება)

კუმულაციური მთლიანი ზარალის შეფასება

ათასი ლარი	2018	2019	2020	2021	2022	2023	Total
ზარალის დადგომის წელი	49,050	32,549	39,583	51,648	125,423	94,225	-
ერთი წლის შემდეგ	20,552	31,981	39,625	60,461	68,255	-	-
ორი წლის შემდეგ	20,611	32,097	41,697	52,201	-	-	-
სამი წლის შემდეგ	20,593	32,330	39,384	-	-	-	-
ოთხი წლის შემდეგ	20,640	32,078	-	-	-	-	-
ხუთი წლის შემდეგ	20,599	-	-	-	-	-	-
გადახდილი კუმულაციური მთლიანი ზარალი	(20,574)	(31,640)	(38,509)	(51,015)	(65,564)	(72,796)	(280,098)
კუმულაციური მთლიანი ზარალის ვალდებულებები– ზარალის დადგომის წლები 2018-დან 2023-მდე	**25**	**438**	**875**	**1,186**	**2,691**	**21,429**	**26,644**
კუმულაციური მთლიანი ზარალის ვალდებულებები – ზარალის დადგომის წინა წლები							5
დისკონტირების ეფექტი							-
არაფინანსური რისკისთვის რისკის კორექტირების ეფექტი							1,624
მთლიანი დამდგარი ზარალის ვალდებულება გაფორმებული ხელშეკრულებებისთვის							**28,273**

26 სადაზღვევო რისკის მართვა (გაგრძელება)

კუმულაციური წმინდა ზარალის შეფასება

ათასი ლარი	2018	2019	2020	2021	2022	2023	სულ
ზარალის დადგომის წელი	7,453	16,242	29,948	42,082	59,452	65,066	-
ერთი წლის შემდეგ	5,815	15,901	29,307	42,806	13,103	-	-
ორი წლის შემდეგ	5,818	15,970	29,324	37,034	-	-	-
სამი წლის შემდეგ	5,817	16,296	28,951	-	-	-	-
ოთხი წლის შემდეგ	5,864	16,240	-	-	-	-	-
ხუთი წლის შემდეგ	5,825	-	-	-	-	-	-
გადახდილი კუმულაციური წმინდა ზარალი	(5,803)	(15,822)	(28,228)	(36,297)	(12,686)	(63,323)	(162,159)
წმინდა კუმულაციური ზარალის ვალდებულებები – ზარალის დადგომის წლები 2018-დან 2023-მდე	**22**	**418**	**723**	**737**	**417**	**1,743**	**4,060**
კუმულაციური წმინდა ზარალის ვალდებულებები – ზარალის დადგომის წინა წლები							4
დისკონტირების ეფექტი							-
არაფინანსური რისკისთვის რისკის კორექტირების ეფექტი							757
მთლიანი დამდგარი ზარალის ვალდებულება გაფორმებული ხელშეკრულებებისთვის							**4,821**

26 სადაზღვევო რისკის მართვა (გაგრძელება)

(ე) გადაზღვევის რისკი

ჯგუფი სადაზღვევო რისკს გადააზღვევს, რათა შეამციროს ანდერაიტინგის ზარალის მოცულობა სხვადასხვა ხელშეკრულების ფარგლებში, რომლებიც მოიცავს ინდივიდუალურ და პორტფელურ რისკებს. გადაზღვევა ხორციელდება პროპორციული და არაპროპორციული გადაზღვევის ხელშეკრულებებით (კვოტის/ზარალის ექსცედენტის საფუძველზე), ხოლო შენარჩუნებული რისკის ლიმიტები მერყეობს პროდუქტების ტიპების მიხედვით. ეს გადაზღვევის ხელშეკრულებები გადაანაწილებს რისკს და მინიმუმამდე დაჰყავს ზარალის ეფექტი. თითოეული შენარჩუნებული რისკის ოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აფასებს ჯგუფი ამ კონკრეტულ რისკს. ყველა მნიშვნელოვანი რისკი საქმიანობის ყველა მიმართულებით იმართება არასავალდებულო დაფარვით, თანხმდება, რომ აანაზღაუროს გადაცემული თანხა ზარალის გადახდის შემთხვევაში. თუმცა, ჯგუფს მნიშვნელოვანი შენარჩუნების გარეშე. გადაზღვევის ხელშეკრულებების პირობებით, გადამზღვეველი რჩება ვალდებულება თავისი პოლისის მფლობელის მიმართ ამ გადაცემულ გადაზღვევასთან დაკავშირებით, თუ გადამზღვეველი ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. გადამზღვევლის შერჩევისას ჯგუფი ითვალისწინებს მის კრედიტუნარიანობას.

27 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკა და ზოგიერთი განმარტებითი შენიშვნა საჭიროებს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის. სამართლიანი ღირებულებები განისაზღვრა განმარტებით შენიშვნებში დამატებითი თვალსაჩინოებისთვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას ჯგუფი, რამდენადაც ეს შესაძლებელია, იყენებს ბაზრის ემპირიულ მონაცემებს.

სამართლიანი ღირებულების კატეგორიზაცია ხდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონეზე, შეფასების მეთოდებში ამოსავალი მონაცემების გამოყენების მიხედვით:

- *დონე 1:* ანალოგიური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული ფასები (არაკორექტირებული) მოქმედ ბაზარზე;
- *დონე 2:* აქტივის ან ვალდებულების პირველ დონეში შესული კოტირებული ფასების გარდა სხვა პირდაპირი (ანუ ფასების სახით) ან არაპირდაპირი (ანუ ფასებიდან მიღებული) ემპირიული მონაცემები;
- *დონე 3:* აქტივის ან ვალდებულების ამოსავალი მონაცემები, რომლებიც არ ეყრდნობა ემპირიულ მონაცემებს (არაემპირიული მონაცემები).
- თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების კატეგორიზაცია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონეზე შესაძლებელია, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასების კატეგორიზაცია მთლიანად ხდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეზე, რომელზეც მთლიანი შეფასებისთვის მნიშვნელოვანი ყველაზე დაბალი დონის მონაცემი იქნა გამოყენებული.

27 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(i) აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, თუმცა მათი სამართლიანი ღირებულება მოცემულია განმარტებით შენიშვნებში:

	კონსოლიდირებული								
	31-დეკემბერი-2023			31-დეკემბერი-2022			31-დეკემბერი-2021		
ათასი ლარი	დონე 1	დონე 2	სულ	დონე 1	დონე 2	სულ	დონე 1	დონე 2	Total
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	12,248	**12,248**	-	15,390	**15,390**	-	14,751	**14,751**
საბანკო დეპოზიტები	-	65,900	**65,900**	-	63,970	**63,970**	-	46,726	**46,726**
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები ამორტიზირებული ღირებულებით	14,300	-	**14,300**	4,919	-	**4,919**	2,891	-	**2,891**
სულ აქტივები	**14,300**	**78,148**	**92,448**	**4,919**	**79,360**	**84,279**	**2,891**	**61,477**	**64,368**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	3,851	**3,851**	-	3,853	**3,853**	-	2,186	**2,186**
სულ ვალდებულებები	**-**	**3,851**	**3,851**	**-**	**3,853**	**3,853**	**-**	**2,186**	**2,186**

	ინდივიდუალური								
	31-დეკემბერი-2023			31-დეკემბერი-2022			31-დეკემბერი-2021		
ათასი ლარი	დონე 1	დონე 2	სულ	დონე 1	დონე 2	სულ	დონე 1	დონე 2	Total
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	12,092	**12,092**	-	15,330	**15,330**	-	14,663	**14,663**
სადეპოზიტო სერტიფიკატები	-	65,900	**65,900**	-	63,970	**63,970**	-	46,726	**46,726**
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები ამორტიზირებული ღირებულებით	14,300	-	**14,300**	4,919	-	**4,919**	2,891	-	**2,891**
სულ აქტივები	**14,300**	**77,992**	**92,292**	**4,919**	**79,300**	**84,219**	**2,891**	**61,389**	**64,280**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	3,849	3,849	-	3,851	**3,851**	-	2,176	**2,176**
სულ ვალდებულებები	**-**	**3,849**	**3,849**	**-**	**3,851**	**3,851**	**-**	**2,176**	**2,176**

27 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(ii) სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასება:

	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური								
	31-დეკემბერი-2023			31-დეკემბერი-2022			31-დეკემბერი-2021		
ათასი ლარი	დონე 1	დონე 2	სულ	დონე 1	დონე 2	სულ	დონე 1	დონე 2	სულ
წარმოებული ფინანსური აქტივები	-	-	-	-	1,012	1,012	-	470	470
სულ აქტივები	-	-	-	-	1,012	1,012	-	470	470

სამართლიანი ღირებულების იერარქიის მეორე დონეში სამართლიანი ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდის გამოყენებით. ცვალებადი კურსის ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე, შეფასდა, როგორც მათი საბალანსო ღირებულების ტოლი. არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება შეფასდა მომავალში მოსალოდნელი საპროგნოზო ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირებულია მსგავსი საკრედიტო რისკებისა და დარჩენილი დაფარვის ვადების მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის დადგენილი საპროცენტო განაკვეთებით.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას, ვინაიდან ზემოაღნიშნული ინსტრუმენტების უმრავლესობა მოკლევადიანია. დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების საპროცენტო განაკვეთები მიბმულია საქართველოს ეროვნული ბანკის განაკვეთებზე და ამიტომ მათი საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

(ბ) ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიის მიხედვით

ჯგუფმა ადრე გამოიყენა ფასს 4-ით განსაზღვრული ფასს 9-ისგან დროებითი გათავისუფლება. ფასს 17-ის მიღება ასევე მოითხოვს, რომ ჯგუფმა, 2023 წლის 1 იანვრიდან გამოიყენოს ფასს 9. ჯგუფმა ნებისმიერი სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტების წინა საბალანსო ღირებულებასა და ფასს 9-ის თავდაპირველი გამოყენების შემდეგ არსებულ საბალანსო ღირებულებას შორის აღიარა საწყის გაუნაწილებელ მოგებაში (ან კაპიტალის სხვა კომპონენტში, შესაბამისად). გადასვლის დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 31.

(i) კლასიფიკაცია-ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფის ყველა ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, რადგან ისინი აკმაყოფილებენ ორივე შემდეგ პირობას:

- ის იმართება ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად; და

–მისი სახელშეკრულებო პირობები განაპირობებს განსაზღვრულ თარიღებს ფულადი ნაკადების მიმართ, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს.

27 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(ii) ბიზნეს მოდელის შეფასება

ბიზნეს მოდელის შეფასებისას გათვალისწინებული ინფორმაცია მოიცავს:

– პორტფელის გაცხადებულ პოლიტიკას და მიზნებს და ამ პოლიტიკის პრაქტიკაში ფუნქციონირებას, მათ შორის, არის თუ არა ხელმძღვანელობის სტრატეგია ფოკუსირებული სახელშეკრულებო საპროცენტო შემოსავლის მიღებაზე, კონკრეტული საპროცენტო განაკვეთის პროფილის შენარჩუნებაზე, ფინანსური აქტივების ხანგრძლივობის შესაბამისობაზე ნებისმიერი დაკავშირებული ვალდებულებების, მოსალოდნელი ფულადი სახსრების გადინების, ან აქტივების გაყიდვის მეშვეობით ფულადი სახსრების რეალიზების ხანგრძლივობასთან.

– თუ როგორ ფასდება პორტფელის შესრულება და ეცნობება ჯგუფის ხელმძღვანელობას.

– რისკები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნეს მოდელის შედეგიანობაზე (და ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც იმართება ამ ბიზნეს მოდელის ფარგლებში) და თუ როგორ ხდება ამ რისკების მართვა;

– როგორ ხდება ბიზნესში მენეჯერების კომპენსირება (მაგ. კომპენსაციის საფუძველი მართული აქტივების სამართლიანი ღირებულებაა თუ ამოღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები); და

– წინა პერიოდებში გაყიდვების სიხშირე, მოცულობა და დრო, ასეთი გაყიდვების მიზეზები და გაყიდვების საქმიანობის სამომავლო მოლოდინები. თუმცა, ინფორმაცია გაყიდვების საქმიანობის შესახებ არ განიხილება ცალკე, არამედ როგორც საერთო შეფასების ნაწილი იმისა, თუ როგორ მიიღწევა ჯგუფის მიერ ფინანსური აქტივების მართვის მიზნები და როგორ ხდება ფულადი ნაკადების რეალიზება.

(iii) იმის შეფასება, წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას (SPPI)

იმის შეფასებისას წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდას (SPPI), ჯგუფი ითვალისწინებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს მოიცავს შეფასებას, შეიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობებს, რომელსაც შეუძლია შეცვალოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დრო ან მოცულობა ისე, რომ ვერ დაკმაყოფილოს მოცემული პირობა. ამ შეფასების გაკეთებისას ჯგუფი ითვალისწინებს:

– პირობით მოვლენებს, რომლებიც შეცვლიდნენ ფულადი ნაკადების ოდნობას, ან დროს;

–ავანსად გადახდებისა და განვრცობის მახასიათებლებს;

–პირობებს, რომლებიც ზღუდავს ჯგუფის მოთხოვნას აღნიშნული აქტივებიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე; და

– მახასიათებლებს, რომლებიც ცვლის ფულის დროითი ღირებულების გათვალისწინებას (მაგ. საპროცენტო განაკვეთების პერიოდული ცვლილება).

(iii) ფინანსური აქტივების და შემოსულობებისა და ზარალის შემდგომი შეფასება

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები ფასდება ამორტიზირებული ღირებულებებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე. საპროცენტო შემოსავალი, სავალუტო შემოსულობები და ზარალი და გაუფასურება, აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

27 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(iv) გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს ზარალის ანარიცხებს ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის.

განსაზღვრულია, რომ ჯგუფის ფინანსურ აქტივებს საკრედიტო რისკისადმი დაქვემდებარების დონე დაბალი აქვს საანგარიშგებო თარიღისთვის. მაშასადამე, შესაბამისი ზარალის ანარიცხები შეფასდება 12-თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით. ეს ფინანსური ინსტრუმენტები, მოხსენებულია, როგორც "პირველი ეტაპის საფინანსო ინსტრუმენტები ". 12-თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც გამოწვეულია ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული დეფოლტის მოვლენებით, რომლების დადგომა შესაძლებელია ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მოხდეს.

(v) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება და ზარალის ანარიცხების წარდგენა

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ჯგუფი აფასებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების კრედიტით გაუფასურებას. ფინანსური აქტივი მაშინ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული, როდესაც ადგილი ჰქონდა ერთ ან მეტ მოვლენას, რომელსაც აქვს საზიანო გავლენა ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე.

მტკიცებულება, რომ ფინანსური აქტივი საკრედიტო რისკით არის გაუფასურებული, მოიცავს შემდეგ ემპირიულ მონაცემებს:

–მოვალის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეების შესახებ;

–ხელშეკრულების დარღვევას, როგორიცაა დეფოლტი ან ვადაგადაცილებული მოვლენა;

– ჯგუფისთვის გადასახდელი თანხის რესტრუქტურიზაციას ისეთი პირობებით, რომლებსაც ჯგუფი სხვაგვარად არ განიხილავდა;

–მოვალის გაკოტრებას ან სხვა სახის ფინანსურ რეორგანიზაციას, რომელიც დასაშვები ხდება; ან

–ფასიანი ქაღალდების მოქმედი ბაზრის ფინანსური სირთულეების გამო გაქრობას.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის ზარალის ანარიცხები გამოიქვითება აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან.

(vi) ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა და ხელშეკრულების მოდიფიკაცია

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები იწურება, ან გადასცემს უფლებებს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებაზე გარიგებაში, რომელშიც ფინანსური აქტივის საკუთრების არსებითად ყველა რისკი და სარგებელი გადაცემულია, ან რომელშიც ჯგუფი არც გადასცემს და არც ინარჩუნებს საკუთრების არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს და ის არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, სხვაობა აღიარების შეწყვეტის თარიღით არსებულ საბალანსო ღირებულებასა და მიღებულ ანაზღაურებას შორის (რაც მოიცავს მოპოვებულ ახალ აქტივს ნებისმიერი ახალი ნაკისრი ვალდებულების გამოკლებით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

27 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფს გააჩნია შემდეგი რისკები ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი

ეს შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას ჯგუფის თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი რისკისადმი დაქვემდებარების, ჯგუფის მიზნების, პოლიტიკისა და რისკის შეფასებისა და მართვის პროცესების შესახებ. შემდგომი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოადგენილია წინამდებარე კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

სამეთვალყურეო საბჭო, ჯგუფის ხელმძღვანელობასთან ერთად, პასუხისმგებელია ჯგუფის რისკის მართვის სისტემის დანერგვასა და ზედამხედველობაზე, ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკის შემუშავებასა და მონიტორინგზე და აქციონერების წინაშე თავისი საქმიანობის რეგულარულ ანგარიშგებაზე.
ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკა შეიქმნა იმისთვის, რომ მოხდეს ჯგუფის წინაშე მდგარი რისკების გამოვლენა და გაანალიზება, რისკის სათანადო ლიმიტების დაწესება და კონტროლის მექანიზმების შემუშავება, ასევე რისკებისა და მათი ლიმიტების დაცვის ზედამხედველობა. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემები რეგულარულად გადაიხედება, რომ მასში აისახოს საბაზრო პირობები და ჯგუფის საქმიანობა. ჯგუფი, თავისი ტრენინგებით, მართვის სტანდარტებით და პროცედურებით, მიზნად ისახავს, შექმნას დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომელშიც თანამშრომლებს კარგად აქვთ გააზრებული თავიანთი ფუნქციები და მოვალეობები.

სამეთვალყურეო საბჭო ზედამხედველობას უწევს ჯგუფის ხელმძღვანელობის შესაბამისობას ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკასა და პროცედურებთან და ამოწმებს რისკის მართვის სისტემის ადეკვატურობას ჯგუფის წინაშე მდგარი რისკებისთვის. (ii) საკრედიტო რისკი საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს ფინანსურ ზარალს მიაყენებს. ჯგუფის საკრედიტო რისკის მონიტორინგი მუდმივად ხდება.

(ii) *საკრედიტო რისკი*

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს ფინანსურ ზარალს მიაყენებს. ჯგუფის საკრედიტო რისკის მონიტორინგი მუდმივად ხდება.
ჯგუფის საკრედიტო რისკის მონიტორინგი მუდმივად ხორციელდება.

ჯგუფი გარკვეულ რისკებს გადააზღვევს გადამზღვეველ კომპანიებში. გადამზღვეველი კომპანიების შერჩევა ეყრდნობა, ძირითადად, კონტრაჰენტის გადახდისუნარიანობასთან, საიმედოობასთან და კრედიტუნარიანობასთან დაკავშირებულ კრიტერიუმებს.

ჯგუფის საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა ასახულია ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებაში: გაცემული ფინანსური გარანტიების შემთხვევაში, საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა წარმოადგენს ნაკისრი ვალდებულების თანხას.

27 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(iii) საკრედიტო რისკის მოცულობა

საკრედიტო რისკის მოცულობა ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვადასხვა კომპონენტისთვის.

	კონსოლიდირებული			ინდივიდუალური		
ათასი ლარი	31 დეკ 2023	31 დეკ 2022	31 დეკ 2021	31 დეკ 2023	31 დეკ 2022	31 დეკ 2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12,248	15,390	14,751	12,092	15,330	14,663
საბანკო დეპოზიტები	65,900	63,970	46,726	65,900	63,970	46,726
საინვესტიციო აქტივები	13,339	4,919	2,891	13,339	4,919	2,891
წარმოებული ფინანსური აქტივები	-	1,012	470	-	1,012	470
დაზღვევის სახელშეკრულებო აქტივები	18	48	304	18	48	304
გადაზღვევის სახელშეკრულებო აქტივები	24,062	10,248	9,852	24,062	10,248	9,852
სხვა აქტივები	1,143	945	902	1,096	915	845
სულ საკრედიტო რისკის მოცულობა	116,710	96,532	75,896	116,507	96,442	75,751

ჯგუფი არ ექვემდებარება მნიშვნელოვან საკრედიტო რისკს მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოიქმნება პირდაპირი სადაზღვევო ოპერაციებიდან, რადგან პოლისი უქმდება და LRC შესაბამისად მცირდება, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ პოლისის მფლობელს არ სურს, ან არ შეუძლია გააგრძელოს პოლისით გათვალისწინებული პრემიის გადახდა.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ სადაზღვევო პოლისების გაუფასურების მიზეზია 30 დღიანი ვადაგადაცილება.

(დ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფს გაუჭირდება ფულადი სახსრების მოზიდვა თავისი ვალდებულებების შესასრულებლად. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა ერთმანეთს არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის თუ საპროცენტო განაკვეთის შესაბამისობაში მოყვანა და/ან შეუსაბამობის კონტროლი უმნიშვნელოვანესია ფინანსური ინსტიტუტების მართვისთვის, ჯგუფის ჩათვლით. სრული შესაბამისობა ფინანსური დაწესებულებებისთვის უჩვეულოა, რადგან ბიზნესსაქმიანობა ხშირად წინასწარ განუსაზღვრელი ვადის და სხვადასხვა ტიპისაა. შეუსაბამო პოზიცია პოტენციურად ზრდის მომგებიანობას, მაგრამ ასევე შეუძლია გაზარდოს ზარალის რისკი.

ჯგუფი ლიკვიდურობას მართავს იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობა ნებისმიერ დროს, რათა დროულად დაფაროს ყველა ფულადი ვალდებულება. ჯგუფის ლიკვიდურობის პოზიციებს ხელმძღვანელობა თვეში ერთხელ ამოწმებს

ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის, 2022 წლის 31 დეკემბრის და ასევე 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

27 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

კონსოლიდირებული

ათასი ლარი	1 წლამდე	1-2 წელი	2-3 წელი	3-4 წელი	4+ წელი	სულ
31-დეკ-23						
აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12,248	-	-	-	-	**12,248**
საბანკო დეპოზიტები	57,522	8,378	-	-	-	**65,900**
საინვესტიციო აქტივები	9,664	3,675	-	-	-	**13,339**
წარმოებული ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-	**-**
დაზღვევის სახელშეკრულებო აქტივები	18	-	-	-	-	**18**
გადაზღვევის სახელშეკრულებო აქტივები	23,817	202	5	-	38	**24,062**
სხვა ფინანსური აქტივები	1,047	96	-	-	-	**1,143**
სულ ფინანსური აქტივები	**104,316**	**12,351**	**5**	**-**	**38**	**116,710**
ვალდებულებები						
დაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები	44,474	919	253	-	74	**45,720**
გადაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები	10,259	1	-	-	-	**10,260**
საიჯარო ვალდებულება	617	695	739	866	934	**3,851**
ფინანსური ვალდებულებები	3,951	359	-	-	-	**4,310**
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	1,582	-	-	-	-	**1,582**
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ვალდებულება	9,060	-	-	-	-	**9,060**
სხვა ვალდებულებები	2,515	229	-	-	-	**2,744**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**72,458**	**2,203**	**992**	**866**	**1,008**	**77,527**
წმინდა ვადიანობის სხვაობა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**31,858**	**10,148**	**(987)**	**(866)**	**(970)**	**39,183**

27 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

კონსოლიდირებული

ათასი ლარი	1 წლამდე	1-2 წელი	2-3 წელი	3-4 წელი	4+ წელი	სულ
31-დეკ-22						
აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	15,390	-	-	-	-	**15,390**
საბანკო დეპოზიტები	17,168	44,800	2,002	-	-	**63,970**
საინვესტიციო აქტივები	642	2,304	1,973	-	-	**4,919**
წარმოებული ფინანსური აქტივები	1,012	-	-	-	-	**1,012**
დაზღვევის სახელშეკრულებო აქტივები	48	-	-	-	-	**48**
გადაზღვევის სახელშეკრულებო აქტივები	10,161	82	5	-	-	**10,248**
სხვა ფინანსური აქტივები	867	78	-	-	-	**945**
სულ ფინანსური აქტივები	**45,288**	**47,264**	**3,980**	**-**	**-**	**96,532**
ვალდებულებები						
დაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები	43,373	1,411	6	-	89	**44,879**
გადაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები	3,824	26	2	-	-	**3,852**
საიჯარო ვალდებულება	730	609	-	-	-	**1,339**
ფინანსური ვალდებულებები	3,853	-	-	-	-	**3,853**
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	1,018	-	-	-	-	**1,018**
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ვალდებულება	-	6,129	-	-	-	**6,129**
სხვა ვალდებულებები	2,130	194	-	-	-	**2,324**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**54,928**	**8,369**	**8**	**-**	**89**	**63,394**
წმინდა ვადიანობის სხვაობა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(9,640)**	**38,895**	**3,972**	**-**	**(89)**	**33,138**

27 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

კონსოლიდირებული

ათასი ლარი	1 წლამდე	1-2 წელი	2-3 წელი	3-4 წელი	4+ წელი	სულ
31-დეკ-21						
აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14,751	-	-	-	-	**14,751**
საბანკო დეპოზიტები	29,215	14,307	3,204	-	-	**46,726**
საინვესტიციო აქტივები	693	498	1,700	-	-	**2,891**
წარმოებული ფინანსური აქტივები	470	-	-	-	-	**470**
დაზღვევის სახელშეკრულებო აქტივები	304	-	-	-	-	**304**
გადაზღვევის სახელშეკრულებო აქტივები	9,570	168	65	-	49	**9,852**
სხვა ფინანსური აქტივები	827	75	-	-	-	**902**
სულ ფინანსური აქტივები	**55,830**	**15,048**	**4,969**	**-**	**49**	**75,896**
ვალდებულებები						
დაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები	33,846	558	298	4	536	**35,242**
გადაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები	3,582	1	10	-	-	**3,593**
საოჯარო ვალდებულება	853	617	-	-	-	**1,470**
ფინანსური ვალდებულებები	2,186	-	-	-	-	**2,186**
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	237	-	-	-	-	**237**
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ვალდებულება	-	4,133	-	-	-	**4,133**
სხვა ვალდებულებები	1,648	149	-	-	-	**1,797**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**42,352**	**5,458**	**308**	**4**	**536**	**48,658**
წმინდა ვადიანობის სხვაობა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**13,478**	**9,590**	**4,661**	**(4)**	**(487)**	**27,238**

27 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

ინდივიდუალური

ათასი ლარი	1 წლამდე	1-2 წელი	2-3 წელი	3-4 წელი	4+ წელი	სულ
31-დეკ-23						
აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12,092	-	-	-	-	**12,092**
საბანკო დეპოზიტები	57,522	8,378	-	-	-	**65,900**
საინვესტიციო აქტივები	9,664	3,675	-	-	-	**13,339**
წარმოებული ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-	**-**
დაზღვევის სახელშეკრულებო აქტივები	18	-	-	-	-	**18**
გადაზღვევის სახელშეკრულებო აქტივები	23,817	202	5	-	38	**24,062**
სხვა ფინანსური აქტივები	1,004	92	-	-	-	**1,096**
სულ ფინანსური აქტივები	**104,117**	**12,347**	**5**	**-**	**38**	**116,507**
ვალდებულებები						
დაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები	44,474	919	253	-	74	**45,720**
გადაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები	10,259	1	-	-	-	**10,260**
საიჯარო ვალდებულება	587	661	702	823	888	**3,661**
ფინანსური ვალდებულებები	3,932	357	-	-	-	**4,289**
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	1,582	-	-	-	-	**1,582**
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ვალდებულება	9,060	-	-	-	-	**9,060**
სხვა ვალდებულებები	2,501	228	-	-	-	**2,729**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**72,395**	**2,166**	**955**	**823**	**962**	**77,301**
წმინდა ვადიანობის სხვაობა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**31,722**	**10,181**	**(950)**	**(823)**	**(924)**	**39,206**

27 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

ინდივიდუალური

ათასი ლარი	1 წლამდე	1-2 წელი	2-3 წელი	3-4 წელი	4+ წელი	სულ
31-დეკ-22						
აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	15,330	-	-	-	-	**15,330**
საბანკო დეპოზიტები	17,168	44,800	2,002	-	-	**63,970**
საინვესტიციო აქტივები	642	2,304	1,973	-	-	**4,919**
წარმოებული ფინანსური აქტივები	1,012	-	-	-	-	**1,012**
დაზღვევის სახელშეკრულებო აქტივები	48	-	-	-	-	**48**
გადაზღვევის სახელშეკრულებო აქტივები	10,161	82	5	-	-	**10,248**
სხვა ფინანსური აქტივები	840	75	-	-	-	**915**
სულ ფინანსური აქტივები	**45,201**	**47,261**	**3,980**	**-**	**-**	**96,442**
ვალდებულებები						
დაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები	43,373	1,411	6	-	89	**44,879**
გადაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები	3,824	26	2	-	-	**3,852**
საიჯარო ვალდებულება	711	607	-	-	-	**1,318**
ფინანსური ვალდებულებები	3,851	-	-	-	-	**3,851**
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	1,018	-	-	-	-	**1,018**
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ვალდებულება	-	6,129	-	-	-	**6,129**
სხვა ვალდებულებები	2,130	194	-	-	-	**2,324**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**54,907**	**8,367**	**8**	**-**	**89**	**63,371**
წმინდა ვადიანობის სხვაობა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-9,706**	**38,894**	**3,972**	**-**	**-89**	**33,071**

27 საბართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

ინდივიდუალური

ათასი ლარი	1 წლამდე	1-2 წელი	2-3 წელი	3-4 წელი	4+ წელი	სულ
31-დეკ-21						
აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14,663	-	-	-	-	**14,663**
სანაკო დეპოზიტები	29,215	14,307	3,204	-	-	**46,726**
საინვესტიციო აქტივები	693	498	1,700	-	-	**2,891**
წარმოებული ფინანსური აქტივები	470	-	-	-	-	**470**
დაზღვევის სახელშეკრულებო აქტივები	304	-	-	-	-	**304**
გადაზღვევის სახელშეკრულებო აქტივები	9,570	168	65	-	49	**9,852**
სხვა ფინანსური აქტივები	775	70	-	-	-	**845**
სულ ფინანსური აქტივები	**55,690**	**15,043**	**4,969**	**-**	**49**	**75,751**
ვალდებულებები						
დაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები	33,846	558	298	4	536	**35,242**
გადაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები	3,582	1	10	-	-	**3,593**
საიჯარო ვალდებულება	812	602	-	-	-	**1,414**
ფინანსური ვალდებულებები	2,176	-	-	-	-	**2,176**
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	236	-	-	-	-	**236**
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ვალდებულება	-	4,133	-	-	-	**4,133**
სხვა ვალდებულებები	1,641	150	-	-	-	**1,791**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**42,293**	**5,444**	**308**	**4**	**536**	**48,585**
წმინდა ვადიანობის სხვაობა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**13,397**	**9,599**	**4,661**	**(4)**	**(487)**	**27,166**

(ე) ვადიანობის პროფილი

ჯგუფი ვადიანობის ანალიზს იყენებს თავისი ლიკვიდურობის რისკის სამართავად. ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების უმეტესობა, ხელშეკრულებების მიხედვით, საანგარიშგებო თარიღიდან ერთ წელიწადში უნდა დაიფაროს, გარდა ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მთლიანი ვალდებულებისა. ხელმძღვანელობის შეფასებით, სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების გამო ფულადი ნაკადების გადინების ვადა ერთ წელს არ აღემატება.

27 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(ვ) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. ჯგუფის საბაზრო რისკის მოცულობის შემცირების მიზნით, აქტივების განაწილებისა და პორტფელის ლიმიტის სტრუქტურების მონიტორინგისთვის დანერგილია შესაბამისი პოლიტიკა და პროცედურები.

(ზ) სავალუტო რისკი

ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები გამოხატულია ერთზე მეტ ვალუტაში. თუ ერთ ვალუტაში გამოხატული აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთს არ ემთხვევა, მაშინ ჯგუფს აქვს ღია სავალუტო პოზიცია და მასზე შეიძლება არასახარბიელოდ იმოქმედოს სავალუტო კურსების ცვლილებებმა.
ხელმძღვანელობა ვალდებულია, მუდმივად მოახდინოს სავალუტო კურსების ცვალებადობისა და სავალუტო ბაზრების მონიტორინგი. ჯგუფის მიზანია, დახუროს სავალუტო პოზიციები და უზრუნველყოს ღია სავალუტო პოზიციის მუდმივად ლიმიტებში მოქცევა.
ჯგუფს სავალუტო რისკი, ძირითადად, ექმნება აშშ დოლარში და ევროში გამოხატული სადაზღვევო მოთხოვნების და ვალდებულებების გამო. ჯგუფის სავალუტო რისკები ასეთია:

27 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

კონსოლიდირებული

ათასი ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 31-დეკ-2023	ევროში დენომინირებული 31-დეკ-2023	ლარში დენომინირებული 31-დეკ-2023	აშშ დოლარში დენომინირებული 31-დეკ-2022	ევროში დენომინირებული 31-დეკ-2022	ლარში დენომინირებული 31-დეკ-2022	აშშ დოლარში დენომინირებული 31-დეკ-2021	ევროში დენომინირებული 31-დეკ-2021	ლარში დენომინირებული 31-დეკ-2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,374	9	10,865	336	381	14,673	1,038	356	13,357
საბანკო დეპოზიტები	-	-	65,900	-	-	63,970	-	-	46,726
საინვესტიციო აქტივები	10,877	935	1,527	2,028	-	2,891	1,357	-	1,534
დაზღვევის სახელშეკრულებო აქტივები	-	-	18	-	-	48	16	17	271
გადაზღვევის სახელშეკრულებო აქტივები	8,464	606	14,992	3,909	533	5,806	3,664	1,257	4,931
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	1,143	4	31	910	5	14	883
დაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები	(12,219)	(1,130)	(32,371)	(10,201)	(1,751)	(32,927)	(8,607)	(1,009)	(25,626)
გადაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები	(6,316)	(38)	(3,906)	(3,407)	(99)	(346)	(2,687)	(548)	(358)
საიჯარო ვალდებულებები	(3,667)	-	(184)	(1,325)	-	(14)	(1,413)	-	(57)
სხვა ფინანსური ვალდებულებები	(1,090)	12	(3,232)	(1,068)	(375)	(2,410)	(818)	(332)	(1,036)
რისკის წმინდა საბალანსო მოცულობა	**(2,577)**	**394**	**54,752**	**(9,724)**	**(1,280)**	**52,601**	**(7,445)**	**(245)**	**40,625**
წარმოებული ინსტრუმენტები	-	-	-	(9,997)	(1,442)	11,439	(11,140)	-	11,140
რისკის ნეტო ოდენობა	**(2,577)**	**394**	**54,752**	**(19,721)**	**(2,722)**	**64,040**	**(18,585)**	**(245)**	**51,765**

27 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

ინდივიდუალური

ათასი ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 31-დეკ-2023	ევროში დენომინირებული 31-დეკ-2023	ლარში დენომინირებული 31-დეკ-2023	აშშ დოლარში დენომინირებული 31-დეკ-2022	ევროში დენომინირებული 31-დეკ-2022	ლარში დენომინირებული 31-დეკ-2022	აშშ დოლარში დენომინირებული 31-დეკ-2021	ევროში დენომინირებული 31-დეკ-2021	ლარში დენომინირებული 31-დეკ-2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,374	9	10,709	336	381	14,613	1,038	356	13,269
საბანკო დეპოზიტები	-	-	65,900	-	-	63,970	-	-	46,726
საინვესტიციო აქტივები	10,877	935	1,527	2,028	-	2,891	1,357	-	1,534
დაზღვევის სახელშეკრულებო აქტივები	-	-	18	-	-	48	16	17	271
გადაზღვევის სახელშეკრულებო აქტივები	8,464	606	14,992	3,909	533	5,806	3,664	1,257	4,931
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	1,096	4	31	880	5	14	826
დაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები	(12,219)	(1,130)	(32,371)	(10,201)	(1,751)	(32,927)	(8,607)	(1,009)	(25,626)
გადაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები	(6,316)	(38)	(3,906)	(3,407)	(99)	(346)	(2,687)	(548)	(358)
საიჯარო ვალდებულებები	(3,667)	-	6	(1,325)	-	7	(1,413)	-	(1)
სხვა ფინანსური ვალდებულებები	(1,090)	12	(3,211)	(1,068)	(375)	(2,408)	(818)	(332)	(1,026)
რისკის წმინდა საბალანსო მოცულობა	**(2,577)**	**394**	**54,760**	**(9,724)**	**(1,280)**	**52,534**	**(7,445)**	**(245)**	**40,546**
წარმოებული ინსტრუმენტები	-	-	-	(9,997)	(1,442)	11,439	(11,140)	-	11,140
რისკის ნეტო ოდენობა	**(2,577)**	**394**	**54,760**	**(19,721)**	**(2,722)**	**63,973**	**(18,585)**	**(245)**	**51,686**

27 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

გამოყენებული იყო შემდეგი მნიშვნელოვანი სავალუტო კურსები:

ქართულ ლარში	საშუალო კურსი 2023	სპოტ კურსი საანგარიშგებო თარიღისთვის 31 დეკემბერი 2023
აშშ დოლარი	2.6279	2.6894
ევრო	2.8416	2.9753

ქართულ ლარში	საშუალო კურსი 2022	სპოტ კურსი საანგარიშგებო თარიღისთვის 31 დეკემბერი 2022
აშშ დოლარი	2.9156	2.7020
ევრო	3.0792	2.8844

ქართულ ლარში	საშუალო კურსი 2021	სპოტ კურსი საანგარიშგებო თარიღისთვის 31 დეკემბერი 2021
აშშ დოლარი	3.2209	3.0976
ევრო	3.8140	3.5040

მგრძნობელობის ანალიზი

გონივრულობის ფარგლებში, ლარის მოსალოდნელი გამყარება (გაუფასურება) 31 დეკემბრის მდგომარეობით აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებით, როგორც ქვემოთ არის აღნიშნული, შემდეგ გავლენას მოახდენდა უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და კაპიტალისა და წმინდა მოგებისა თუ ზარალის ოდენობაზე. ანალიზი ეფუძნება დაშვებას, რომ ყველა დანარჩენი ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი რჩება.

ათასი ლარი	გამყარება მოგება ან (ზარალი) და კაპიტალი	გაუფასურება მოგება ან (ზარალი) და კაპიტალი
31 დეკემბერი 2023		
აშშ დოლარი (20%-იანი ცვლილება)	438	(438)
ევრო (20%-იანი ცვლილება)	(67)	67
31 დეკემბერი 2022		
აშშ დოლარი (20%-იანი ცვლილება)	3,354	(3,354)
ევრო (20%-იანი ცვლილება)	463	(463)
31 დეკემბერი 2021		
აშშ დოლარი (20%-იანი ცვლილება)	3,098	(3,098)
ევრო (20%-იანი ცვლილება)	49	(49)

27 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(ი) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობა უარყოფითად იმოქმედებს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

ჯგუფს დაბალი რისკი აქვს მცოცავი განაკვეთის მქონე პროცენტიან ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. საპროცენტო განაკვეთის რისკის მქონე ფინანსური აქტივები წარმოდგენილია დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებით, რაც შეადგენს მთლიანი საკრედიტო რისკის მოცულობის მხოლოდ 2.1%-ს, შესაბამისად, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფს არ აქვს საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი რისკი.

27 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(ii) ფინანსური ინსტრუმენტები

მომდევნო ცხრილი გვაწვდის ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებების შესახებ ინფორმაციას:

კონსოლიდირებული

	31-დეკემბერი-2023			31-დეკემბერი2022			31-დეკემბერი-2021		
ათასი ლარი	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სხვაობა	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სხვაობა	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სხვაობა
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12,248	12,248	-	15,390	15,390	-	14,751	14,751	-
საბანკო დეპოზიტები	65,900	65,900	-	63,970	63,970	-	46,726	46,726	-
საინვესტიციო აქტივები	13,476	13,339	137	4,919	4,919	-	2,891	2,891	-
სხვა ფინანსური აქტივები	1,143	1,143	-	945	945	-	902	902	-
სულ აქტივები	**92,767**	**92,630**	**137**	**85,224**	**85,224**	**-**	65,270	65,270	**-**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	4,310	4,310	-	3,853	3,853	-	2,186	2,186	-
სულ ვალდებულებები	**4,310**	**4,310**	**-**	**3,853**	**3,853**	**-**	**2,186**	**2,186**	**-**
წარმოებული ფინანსური აქტივები	-	-	-	1,012	1,012	-	470	470	-
სულ აქტივები	**-**	**-**	**-**	**1,012**	**1,012**	**-**	**470**	**470**	**-**

27 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

ინდივიდუალური

	31-დეკემბერი-2023			31-დეკემბერი2022			31-დეკემბერი-2021		
ათასი ლარი	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სხვაობა	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სხვაობა	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სხვაობა
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12,092	12,092	-	15,330	15,330	-	14,663	14,663	-
საბანკო დეპოზიტები	65,900	65,900	-	63,970	63,970	-	46,726	46,726	-
საინვესტიციო აქტივები	13,476	13,339	137	4,919	4,919	-	2,891	2,891	-
სხვა ფინანსური აქტივები	1,096	1,096	-	915	915	-	845	845	-
სულ აქტივები	**92,564**	**92,427**	**137**	**85,134**	**85,134**	**-**	**65,125**	**65,125**	**-**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	4,289	4,289	-	3,851	3,851	-	2,176	2,176	-
სულ ვალდებულებები	**4,289**	**4,289**	**-**	**3,851**	**3,851**	**-**	**2,176**	**2,176**	**-**
წარმოებული ფინანსური აქტივები	-	-	-	1,012	1,012	-	470	470	-
სულ აქტივები	**-**	**-**	**-**	**1,012**	**1,012**	**-**	**470**	**470**	**-**

28 პირობითი ვალდებულებები

(ა) სასამართლო საქმის წარმოება

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ჯგუფი გამოდის ძირითადად ზარალთან ან სუბროგაციის გადახდებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების მხარედ. საანგარიშგებო თარიღისთვის არ მიმდინარეობს ისეთი მნიშვნელოვანი სასამართლო დავები, რომლებსაც შეიძლება არსებითი გავლენა ჰქონდეს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე.

(ბ) საგადასახადო პირობითი ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხანდახან ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს გაგებული. თუ იმ წლის ბოლოდან, რომელშიც საგადასახადო კანონმდებლობა დაირღვა, ოთხი წელია გასული, საგადასახადო ორგანოებს არ აქვთ უფლება დააკისრონ დამატებითი გადასახადები, ჯარიმა ან საურავი.

ამ გარემოებებმა შეიძლება დამატებითი საგადასახადო რისკები შექმნან საქართველოში, რაც შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანი იყოს ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. მაგრამ შესაბამისი ორგანოებს, შეიძლება, ხელმძღვანელობისგან განსხვავებული ინტერპრეტაცია ჰქონდეთ და თუ ისინი შეძლებენ თავიანთი მოსაზრების დამტკიცებას, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

29 დაკავშირებული მხარეები

(ა) მთავარი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება

.მთავარი ხელმძღვანელი პირები მოიცავს დირექტორებს (აღმასრულებელი)

	2023		2022	
ათასი ლარი	ხარჯი	დარიცხული ვალდებულება	ხარჯი	დარიცხული ვალდებულება
მოკლევადიანი სარგებელი				
ხელფასები და ბონუსები	2,963	813	2,925	1,283
აქციებზე დაფუძნებული კომპენსაცია				
აქციებზე დაფუძნებული კომპენსაცია ნაღდი ანგარიშსწორებით	2,931	9,060	1,996	6,129
სხვა სარგებელი				
სახელმწიფო პენსია და დაზღვევა	43	-	51	-
სულ მთავარი ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია	**5,937**	**9,873**	**4,972**	**7,412**

(ბ) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული დაუფარავი ნაშთები, აგრეთვე დაკავშირებული ხარჯები და შემოსავალი 2023 წლის 31 დეკემბერს და 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლების მდგომარეობით შემდეგია:

29 დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

კონსოლიდირებული

ათასი ლარი	2023				2022			
	მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები*	სხვა**	მთლიანის პროცენტული წილი	მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები*	სხვა**	მთლიანის პროცენტული წილი
აქტივები								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	12,191	-	100%	-	11,100	-	72%
საბანკო დეპოზიტები	-	29,534	-	45%	-	26,595	-	42%
საინვესტიციო აქტივები	-	3,317	-	23%	-	1,200	-	24%
წარმოებული ფინანსური აქტივები	-	-	-	0%	-	1,012	-	100%
სხვა აქტივები	-	3	-	0%	-	3	-	0%
სულ აქტივები	**-**	**45,045**	**-**	**35%**	**-**	**39,910**	**-**	**38%**
ვალდებულებები								
დაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები	-	9,508	39	21%	-	6,386	105	14%
საიჯარო ვალდებულებები	-	49	-	0%	-	69	-	0%
სულ ვალდებულებები	**-**	**9,557**	**39**	**12%**	**-**	**6,455**	**105**	**10%**
კაპიტალი								
გამოცხადებული/გადახდილი დივიდენდები	11,013	-	-	100%	10,026	-	-	100%
სულ კაპიტალი	**11,013**	**-**	**-**	**22%**	**10,026**	**-**	**-**	**24%**

29 დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

კონსოლიდირებული	2023			2022		
ათასი ლარი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები*	სხვა**	მთლიანის პროცენტული წილი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები*	სხვა**	მთლიანის პროცენტული წილი
მოგების ან ზარალის ანგარიშგება						
ამონაგები დაზღვევიდან	56,574	844	36%	50,049	909	38%
დაზღვევის მომსახურების ხარჯები	(20,976)	(510)	17%	(16,333)	(40)	16%
წმინდა ინვესტიცია და სხვა შემოსავალი	4,482	-	44%	3,481	-	47%
სავალუტო შემოსულობა/ზარალი	-	-	0%	541	-	27%
სულ	**40,080**	**334**		**37,738**	**869**	

29 დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

	2023					2022				
ათასი ლარი	მშობელი საწარმო	შვილობილი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო*	სხვა **	მთლიანის პროცენტული წილი	მშობელი საწარმო	შვილობილი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო*	სხვა **	მთლიანის პროცენტული წილი
აქტივები										
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	132	12,059	-	101%	-	51	11,049	-	72%
საბანკო დეპოზიტები	-	-	29,534	-	45%	-	-	26,595	-	42%
საინვესტიციო აქტივები	-	-	3,317	-	23%	-	-	1,200	-	24%
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში	-	6,242	-	-	100%	-	5,776	-	-	100%
წარმოებული ფინანსური აქტივები	-	-	-	-	0%	-	-	1,012	-	100%
სხვა აქტივები	-	-	-	-	0%	-	-	-	-	0%
სულ აქტივები	**-**	**6,374**	**44,910**	**-**	**38%**	**-**	**5,827**	**39,856**	**-**	**42%**
ვალდებულებები										
სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები	-	1	9,507	39	21%	-	-	6,386	105	14%
ფინანსური ვალდებულებები	-	-	-	-	0%	-	7	-	-	0%
საიჯარო ვალდებულებები	-	-	49	-	0%	-	-	69	-	0%
სულ ვალდებულებები	**-**	**1**	**9,556**	**39**	**12%**	**-**	**7**	**6,455**	**105**	**10%**
კაპიტალი										
გამოცხადებული/გადახდილი დივიდენდები	11,013	-	-	-	100%	10,026	-	-	-	100%
სულ კაპიტალი	**11,013**	**-**	**-**	**-**	**20%**	**10,026**	**-**	**-**	**-**	**22%**

29 დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

ინდივიდუალური	2023				2022			
ათასი ლარი	შვილობილი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო*	სხვა**	მთლიანის პროცენტული წილი	შვილობილი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო*	სხვა**	მთლიანის პროცენტული წილი
მოგების ან ზარალის ანგარიშგება								
ამონაგები								
დაზღვევიდან დაზღვევის მომსახურების	13	56,561	844	36%	18	50,031	909	38%
ხარჯები	(9)	(20,967)	(510)	17%	(17)	(16,316)	(40)	16%
წმინდა ინვესტიცია და სხვა შემოსავალი	-	4,482	-	45%	-	3,481	-	47%
სავალუტო შემოსულობა/ზარალი	-	-	-	0%	-	541	-	27%
სულ	**4**	**40,076**	**334**		**1**	**37,737**	**869**	

დაკავშირებულ მხარეებთან განთავსებულ საბანკო ანაბრებზე დარიცხული წლიური პროცენტი 12.40%-დან 13.75 %-მდეა.

*საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებში შედიან საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ჯგუფის“ შვილობილი საწარმოები.

** სხვა დაკავშირებული მხარეები, ძირითადად, მოიცავს საჯარო სააქციო საზოგადოება "თიბისი ბანკის ჯგუფის" მთავარ ხელმძღვანელ პირებს და საჯარო სააქციო საზოგადოება "თიბისი ბანკის ჯგუფის" წამყვან ხელმძღვანელობასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს.

30 ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ

(ა) კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

ფასს 10-ის შესაბამისად, ჯგუფის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილი საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებებს

(ბ) ინვესტიცია შვილობილ საწარმოში

ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში აღირიცხება თვითღირებულებით ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. შვილობილი საწარმოსგან მიღებული დივიდენდის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც განისაზღვრება დივიდენდის მიღების უფლება.

გასს 36-ის მოთხოვნების საფუძველზე განისაზღვრება, არის თუ არა საჭირო გაუფასურების ზარალის აღიარება შვილობილ საწარმოში კომპანიის ინვესტიციასთან მიმართებით. საჭიროების შემთხვევაში ინვესტიციის მთლიანი საბალანსო ღირებულება (გუდვილის ჩათვლით) მოწმდება გაუფასურებაზე როგორც ერთი აქტივი, გასს 36-ის „აქტივების გაუფასურება“ მიხედვით. ამისათვის ხდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების (გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უდიდესი) შედარება მის საბალანსო ღირებულებასთან. აღიარებული გაუფასურების ზარალი წარმოადგენს ინვესტიციის საბალანსო ღირებულების ნაწილს. გაუფასურების ზარალის შემობრუნების აღიარება ხდება გასს 36-ის მიხედვით იმდენად, რამდენადაც შემდგომში გაიზრდება ინვესტიციის ანაზღაურებადი ღირებულება.

(გ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაყვანა ჯგუფის სამუშაო ვალუტაში ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსებით.

საანგარიშგებო თარიღით უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ლარში გადაყვანა ხდება სამუშაო ვალუტის ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით. ფულად მუხლებზე საკურსო შემოსულობა ან ზარალი წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც კორექტირებულია ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში, და უცხოურ ვალუტაში ამორტიზებულ ღირებულებას შორის, რომელშიც კონვერტაცია ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული არაფულადი მუხლები, რომლებიც პირვანდელი ღირებულების საფუძველზეა შეფასებული, გადაანგარიშებულია ოპერაციის დღეს მოქმედი სავალუტო კურსის შესაბამისად. გადაანგარიშების შედეგად წარმოშობილი საკურსო სხვაობების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

არაფულადი მუხლები უცხოურ ვალუტაში, რომლებიც ფასდება პირვანდელი ღირებულებით, გადაანგარიშდება ოპერაციის დღეს მოქმედი სავალუტო კურსის გამოყენებით.

შედეგად წარმოშობილი საკურსო სხვაობების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

(დ) სადაზღვევო ხელშეკრულებები

(i) სადაზღვევო და გადაზღვევის ხელშეკრულებები-კლასიფიკაცია

ხელშეკრულებები, რომლებითაც ჯგუფი ექვემდებარება მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს, კლასიფიცირდება როგორც სადაზღვევო ხელშეკრულებები. ჯგუფის მიერ ფლობილი ხელშეკრულებები, რის მიხედვითაც იგი გადასცემს მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს, რომელიც დაკავშირებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებთან, კლასიფიცირებულია, როგორც გადაზღვევის ხელშეკრულებები. სადაზღვევო და გადაზღვევის ხელშეკრულებები ასევე უქვემდებარებს ჯგუფს ფინანსურ რისკს.

30 ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

ყველა სადაზღვევო ხელშეკრულება კლასიფიცირდება როგორც ხელშეკრულება პირდაპირი მონაწილეობის მახასიათებლების გარეშე.

(ii) სადაზღვევო ხელშეკრულებების აგრეგირება და აღიარება

შეფასების მიზნით სადაზღვევო ხელშეკრულებები დაყოფილია ჯგუფებად. სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფები განისაზღვრება სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელის იდენტიფიცირების მეშვეობით, რომელთაგან თითოეული მოიცავს მსგავს რისკებს დაქვემდებარებულ ხელშეკრულებებს და ერთად იმართება, აგრეთვე თითოეული პორტფელი იყოფა წლიურ კოჰორტებად (ანუ გამოშვების წლების მიხედვით), ხოლო ყოველი წლიური კოჰორტა თავის მხრივ იყოფა სამ ჯგუფად, ხელშეკრულებების მომგებიანობის საფუძველზე.

- ნებისმიერი ხელშეკრულებები, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წამგებიანია;
- ნებისმიერი ხელშეკრულებები, რომლებსაც თავდაპირველი აღიარებისას არ გააჩნიათ მნიშვნელოვანი ალბათობა შემდგომში გახდნენ წამგებიანი; და
- წლიურ კოჰორტაში დარჩენილი ნებისმიერი ხელშეკრულებები

- ჯგუფის მიერ გამოცემული სადაზღვევო ხელშეკრულება აღიარდება შემდგომი პერიოდებიდან, რომელიც დადგება ყველაზე ადრე:

- დაფარვის პერიოდის დასაწყისი (ანუ პერიოდი, რომლის განმავლობაში ჯგუფი გასწევს მომსახურებას, ხელშეკრულების ფარგლებში არსებულ ნებისმიერ პრემიებთან დაკავშირებით)
- როდესაც პოლისის მფლობელის მიერ პირველი გადახდის ვადა დადგება, ან თუ არ არსებობს მსგავსი სახელშეკრულებო გადახდის ვადა, მაშინ, როდესაც გადახდა პოლისის მფლობელისგან მიღებულია; და
- როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ ხელშეკრულება წამგებიანია.

როდესაც ხელშეკრულება აღიარდება, იგი დაემატება ხელშეკრულებების არსებულ ჯგუფს, ან, თუ ხელშეკრულება არ შეესაბამება არსებულ ჯგუფში ჩართვის კრიტერიუმებს, ის ქმნის ახალ ჯგუფს, რომელსაც ემატება მომავალი ხელშეკრულებები. ხელშეკრულებების ჯგუფები იქმნება თავდაპირველი აღიარებით და მათი შემადგენლობა არ გადაიხედება მას შემდეგ, რაც ჯგუფს დაემატება ყველა ხელშეკრულება.

(iii) დაზღვევის შეძენასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები

დაზღვევის შეძენასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები ნაწილდება სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფებზე სისტემატური და რაციონალური მეთოდის გამოყენებით და მიუკერძოებლად განიხილება ყველა გონივრული და დასაბუთებული ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია ზედმეტი ხარჯების გაწევისა და ძალისხმევის გარეშე.

თუ დაზღვევის შეძენასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები პირდაპირ მიეკუთვნება ხელშეკრულებების ჯგუფს, მაშინ ისინი ნაწილდება ამ ჯგუფზე. თუ დაზღვევის შეძენასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები პირდაპირ მიეკუთვნება პორტფელს, მაგრამ არა ხელშეკრულებების ჯგუფს, მაშინ ისინი ნაწილდება პორტფელის ჯგუფებზე სისტემატური და რაციონალური მეთოდის გამოყენებით.

დაზღვევის შეძენასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები წარმოიქმნება მათი გადახდისას, ან საჭიროა ვალდებულების აღიარება ფასს17-ის გარდა სხვა სტანდარტით.

30 ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

ყოველ საანგარიშგებო თარიღზე, ჯგუფი გადახედავს ჯგუფებისთვის გამოყოფილ თანხებს, რათა ასახოს ნებისმიერი ცვლილება დაშვებებში, რომლებიც გამოყენებული განაწილების მეთოდში განსაზღვრავს ამოსავალ მონაცემებს . ჯგუფისთვის გამოყოფილი თანხები არ გადაიხედება მას შემდეგ, რაც ჯგუფს დაემატება ყველა ხელშეკრულება.

(iv) ხელშეკრულებების ფარგლები

ხელშეკრულებების ჯგუფის შეფასება მოიცავს ყველა მომავალ ფულად ნაკადს ჯგუფში არსებული თითოეული ხელშეკრულების საზღვრებში, რაც განისაზღვრება შემდეგნაირად:

(v) სადაზღვევო ხელშეკრულებები

ფულადი ნაკადები ხელშეკრულების საზღვრებშია, თუ ისინი წარმოიქმნება საანგარიშგებო პერიოდში არსებული არსებითი უფლებებიდან და ვალდებულებებიდან, როდესაც ჯგუფს შეუძლია დაავალდებულოს პოლისის მფლობელი გადაიხადოს პრემიები, ან აქვს მომსახურების გაწევის არსებითი ვალდებულება.

მომსახურების გაწევის არსებითი ვალდებულება წყდება, როდესაც:

- ჯგუფს აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, გადააფასოს პოლისის მფლობელის კონკრეტული რისკები და შეუძლია დაადგინოს სარგებლის ფასი ან დონე, რომელიც სრულად ასახავს ამ ხელახლა შეფასებულ რისკებს; ან

- ჯგუფს აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა გადააფასოს პორტფელის რისკები, რომელიც შეიცავს პორტფელის რისკებს, ხოლო პრემიებისთვის ფასის განსაზღვრა გადაფასების თარიღამდე არ ითვალისწინებს რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია გადაფასების თარიღის შემდგომ პერიოდებთან.

(vi) გადაზღვევის ხელშეკრულებები

ფულადი ნაკადები ხელშეკრულების საზღვრებშია, თუ ისინი წარმოიქმნება საანგარიშგებო პერიოდში არსებული არსებითი უფლებებიდან და ვალდებულებებიდან, როდესაც ჯგუფი იძულებულია გადაუხადოს თანხები გადამზღვეველს, ან აქვს არსებითი უფლება მიიღოს მომსახურება გადამზღვევისაგან.

გადამზღვევისგან მომსახურების მიღების არსებითი უფლება წყდება, როდესაც გადამზღვევს:

- აქვს მასზე გადაცემული რისკების ხელახალი შეფასების პრაქტიკული უნარი და შეუძლია დაადგინოს ფასი ან სარგებლის დონე, რომელიც სრულად ასახავს ამ გადაფასებულ რისკებს; ან

- აქვს არსებითი უფლება შეწყვიტოს დაფარვა.

ხელშეკრულების საზღვრები ხელახლა ფასდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რათა მოიცვას გარემოებების ცვლილების გავლენა ჯგუფის არსებით უფლებებსა და ვალდებულებებზე და, შესაბამისად, შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში.

30 ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

(vii) შეფასება

ჯგუფი იყენებს პრემიის განაწილების (PAA) მიდგომას მისი მთლიანი პორტფელისთვის. ეს მიდგომა წარმოადგენს ვალდებულების შეფასების არჩევით გამარტივებას დარჩენილი დაფარვისთვის, მოკლევადიანი დაფარვის მქონე სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის. სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფი შესაფერისია პრემიის განაწილების მიდგომისთვის, თუ დაწყებისას: (ა) ჯგუფში თითოეულ ხელშეკრულებას აქვს დაფარვის პერიოდი (ანუ პერიოდი, როდესაც საწარმო უზრუნველყოფს სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებას) ერთი წლის ან ნაკლები დროის განმავლობაში; ან (ბ) ჯგუფისთვის, რომელიც იყენებს პრემიის განაწილების მიდგომას, დარჩენილი დაფარვისთვის არსებული ვალდებულების შეფასებამ, გონივრულად მოსალოდნელია წარმოქმნას შეფასება, რომელიც არსებითად არ განსხვავდება ზოგადი მოდელის ან ცვლადი საფასურის მიდგომის გამოყენებისგან. ხელშეკრულებების თითოეული ჯგუფის თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფი მოელის, რომ მომსახურების თითოეული ნაწილის მიწოდებასა და შესაბამის პრემიის გადახდის თარიღს შორის დრო არ აღემატებოდეს ერთ წელს. ამიტომ ჯგუფი იყენებს პრემიის განაწილების მიდგომას.

ხელშეკრულებების თითოეული ჯგუფის თავდაპირველი აღიარებისას, დარჩენილი დაფარვის ვალდებულების საბალანსო ღირებულება ფასდება თავდაპირველი აღიარებისას მიღებული პრემიებით. შემდგომში, დარჩენილი დაფარვის ვალდებულების საბალანსო ღირებულება იზრდება ნებისმიერი მიღებული პრემიით და დაზღვევის შეძენასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების ამორტიზაციით, რომელიც აღიარებულია ხარჯებად, და მცირდება იმ თანხით, რომელიც აღიარებულია, როგორც სადაზღვევო შემოსავალი გაწეული მომსახურებისთვის და ნებისმიერი დამატებითი დაზღვევის შეძენასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადებით, რომლებიც გამოყოფილია თავდაპირველი აღიარების შემდეგ. ხელშეკრულებების თითოეული ჯგუფის თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფი მოელის, რომ მომსახურების თითოეული ნაწილის მიწოდებასა და შესაბამისი პრემიის გადახდის თარიღს შორის დრო არ აღემატებოდეს ერთ წელს. შესაბამისად, ჯგუფმა აირჩია არ დაკორექტიროს ვალდებულება დარჩენილი დაფარვისთვის, რათა ასახული იყოს ფულის დროითი ღირებულება და ფინანსური რისკის ეფექტი.

ჯგუფი აღიარებს ვალდებულებას სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფისთვის დამდგარ ზარალებზე დამდგარ ზარალებთან დაკავშირებული შესრულების ფულადი ნაკადების ოდენობით. მომავალი ფულადი ნაკადები არ დისკონტირდება, რადგან მოსალოდნელია მათი გადახდა ზარალის დადგომის დღიდან ერთი წლის ან ნაკლები დროის განმავლობაში.

(viii) არა-ფინანსური რისკის კორექტირება

მთლიანი გადაზღვევის გამოთვლის შემთხვევაში საკმარისი და სარწმუნო საკუთარი სტატისტიკის მქონე ხელშეკრულებების ჯგუფებისთვის გამოიყენება სტოქასტური შეფასების უზუსტობის გამოთვლის მეთოდი, რათა გამოანგარიშდეს სცენარების საკმარისი რაოდენობა, რომლებიდანაც აღებულია ერთი, რომელიც ემთხვევა 75%-იან ნდობის ინტერვალს. ამ პროცენტით განსაზღვრული ვალდებულების საუკეთესო შეფასება შედარებულია კომპანიის ვალდებულების საუკეთესო შეფასება სთან. ამ გზით, ამ ორს შორის არსებული სხვაობა უზრუნველყოფს დაკავშირებული რისკის კორექტირებას. იმ ჯგუფებისთვის, სადაც საკმარისი და/ან სარწმუნო მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი, დარჩენილი პორტფელის რისკის კორექტირების საშუალო პროცენტის არჩევაა შესაძლებელი მოცემული ჯგუფის მახასიათებლებზე დაყრდნობით.

საბოლოო ჯამში, სულ კომპანიის დონეზე არსებული რისკის კორექტირება განისაზღვრება როგორც რისკის კორექტირების მარტივი ჯამი თითოეულ ჯგუფზე, ამასთან, დივერსიფიკაციის ეფექტი გამოითვლება უმარტივესი და ყველაზე სანდო პარამეტრების გამოყენებით გადახდისუნარიანობა II - ის დირექტივაში განსაზღვრულ პარამეტრებს შორის კორელაციის მიზნებისთვის. საბოლოო რისკის კორექტირების პროცენტისთვის ეს დივერსიფიკაციის კოეფიციენტი ჩართულია (ადრე გამოთვლილ) რისკის კორექტირების პროცენტში. მოგვიანებით, ეს რისკის კორექტირების პროცენტები გამოიყენება

30 ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

საუკეთესო შეფასების ვალდებულების გამოთვლებში, როგორც მულტიპლიკატორები.

გადაზღვევის რისკის კორექტირების განაკვეთებისთვის შემდეგი ფაქტორიები არის გათვალისწინებული:

- პროპორციული გადაზღვევის კუთხით -პროპორციულობის გამო -უბრალოდ გამოიყენება მთლიანი განაკვეთები.

- არაპროპორციული გადაზღვევის კუთხით:

- პროგნოზირებული ასეთი გადახდების ნილი, როგორც წესი, ნული ან არა არსებითია ასეთი უზარმაზარი ზარალის დადგომის დაბალი ალბათობის გამო,

-. თუმცა, ფაქტობრივად, ამას ადგილი რამდენჯერმე შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ საკმარისი არ არის სარწმუნო რთული ანალიზისთვის, ამიტომ, გამოყენებულია მთლიანი განაკვეთები, როგორც საუკეთესო ორიენტირი.

(ix) წარდგენა

სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელები, რომლებიც წარმოადგენს აქტივებს და ისინი, რომლებიც წარმოადგენს ვალდებულებებს, აგრეთვე გადაზღვევის ხელშეკრულებების პორტფელები, რომლებიც წარმოადგენს აქტივებს და ასევე ისინი, რომლებიც წარმოადგენს ვალდებულებებს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია ცალკე. ჯგუფი ანაწილებს მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებს (ა) სადაზღვევო მომსახურების შედეგში, რომელიც მოიცავს სადაზღვევო შემოსავალს და სადაზღვევო მომსახურების ხარჯებს; და (ბ) დაზღვევის ფინანსურ შემოსავალში ან ხარჯში. გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან შემოსავალი და ხარჯები წარმოდგენილია დაზღვევის ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლებისა და ხარჯებისგან განცალკევებით. შემოსავალი და ხარჯები გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან, გარდა სადაზღვევო ფინანსური შემოსავლებისა და ხარჯებისა, წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე, როგორც „წმინდა ხარჯები გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან“ სადაზღვევო მომსახურების შედეგში.

ჯგუფი არ აცალკევებს ცვლილებებს არაფინანსური რისკის რისკის კორექტირებაში სადაზღვევო მომსახურების შედეგსა და სადაზღვევო ფინანსურ შემოსავალსა და ხარჯებს შორის. არაფინანსური რისკის რისკის კორექტირების ყველა ცვლილება შედის სადაზღვევო მომსახურების შედეგში.

(x) დაზღვევის შემოსავალი

დაზღვევის შემოსავალი თითოეული პერიოდისთვის წარმოადგენს მოცემულ პერიოდში მომსახურების გაწევისთვის მოსალოდნელი პრემიის მიღებულ ფულდ სახსრებს. ჯგუფი ანაწილებს მოსალოდნელი პრემიის მიღებულ ფულდ სახსრებს თითოეულ პერიოდზე დროის გასვლის მიხედვით.

(xi) სადაზღვევო მომსახურების ხარჯები

სადაზღვევო მომსახურების ხარჯები, რომლებიც წარმოიქმნება სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში, როგორც წესი, მათი წარმოქმნისას. ისინი მოიცავს შემდეგ მუხლებს.

- დამდგარი ზარალები და სხვა სადაზღვევო მომსახურების ხარჯები
- დაზღვევის შეძენასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების ამორტიზაცია. ჯგუფი ახორციელებს დაზღვევის შეძენასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების ამორტიზაციას წრფივი მეთოდით, ხელშეკრულებების ჯგუფის დაფარვის პერიოდის განმავლობაში.
- წამგებიანი ხელშეკრულებების ზარალი და ამ ზარალის აღდგენა

30 ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

- იმ დამდგარი ზარალების ვალდებულებების კორექტირება, რომლების წარმოქმნის მიზეზი არ ყოფილა ფული დროითი ღირებულების, ფინანსური რისკისა და მათში ცვლილებების გავლენა

(xii) წმინდა ხარჯები გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან

წმინდა ხარჯები გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან მოიცავს გადაზღვევის გადახდილი პრემიების ალოკაციას გადამზღვევისაგან ამოღებული თანხების გამოკლებით.

გადაზღვევის გადახდილი პრემიების ალოკაციას აღიარებს მოგებაში ან ზარალში, რადგან ის მომსახურებას გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფების მიხედვით იღებს. ყოველი პერიოდისთვის, გადაზღვევის გადახდილი პრემიების ალოკაციას წარმოადგენს იმ პერიოდში მომსახურების მიღებისთვის მოსალოდნელი პრემიის გადახდის ოდენობა.

(xiii) სადაზღვევო ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

სადაზღვევო ფინანსური შემოსავალი და ხარჯები მოიცავს ცვლილებებს სადაზღვევო და გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფების საბალანსო ღირებულებებში, რომლებიც წარმოიქმნება ფულის დროითი ღირებულების, ფინანსური რისკისა და მათში არსებული ცვლილებების ზემოქმედებით. სადაზღვევო ფინანსური შემოსავალი ან ხარჯი აღიარებულია მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

(xiv) გადასვლა

ჯგუფმა ფასს 17 პირველად გამოიყენა ფინანსური წლისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვრიდან, სრული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით მისი ყველა სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელისთვის. გადასვლისთვის შესაბამისი განსჯა და დაშვებები განმარტებულია მე-4 შენიშვნაში.

(ე) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) თავდაპირველი აღიარება. სავალო ფასიან ქაღალდებში ინვესტიციები თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც კორექტირებულია გარიგების ხარჯებისთვის. სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას საუკეთესოდ დასტურდება გარიგების ფასით. მოგება ან ზარალი თავდაპირველი აღიარებით აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, რაც შეიძლება დადასტურდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა ემპირიული მიმდინარე საბაზრო ოპერაციებით ან შეფასების ტექნიკით, რომლის ამომავალი მონაცემები მოიცავს მხოლოდ ემპირიული ბაზრების მონაცემებს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება, რაც შედეგად იწვევს მყისიერ სააღრიცხვო ზარალს.

(ii) კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - ჯგუფი სავალო ფასიან ქაღალდებში ინვესტიციების კლასიფიკაციას ახდენს ამორტიზებული ღირებულების კატეგორიაში. სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) ჯგუფის ბიზნეს მოდელზე დაკავშირებული აქტივების პორტფელის მართვისთვის და (ii) აქტივის ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

ბიზნეს მოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს ჯგუფი აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოქმნის მიზნით – თუ ჯგუფის მიზანია: (i) აქტივებიდან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება („სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით ფლობა“) თუ (ii)) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების, ასევე ფულადი ნაკადების, რომლებიც წარმოიქმნება აქტივების გაყიდვიდან („სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების და გაყიდვის მიზნით ფლობა“) ამოღება ან თუ ჩამოთვლილთაგან არცერთი (i) და (ii) არის გამოყენებადი, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც "სხვა" ბიზნეს მოდელის ნაწილი და შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

30 ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

როდესაც გიზნეს მოდელის მიზანია აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ფლობა და გაყიდვა, ჯგუფი აფასებს, წარმოადგენს თუ არა ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას ("SPPI"). ამ შეფასებისას ჯგუფი განიხილავს, შეესაბამება თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები სასესხო საბაზისო შეთანხმებას, ანუ პროცენტი მოიცავს მხოლოდ საკრედიტო რისკის, ფულის დროითი ღირებულების, სხვა ძირითადი საკრედიტო რისკების და მოგების მარჟის გათვალისწინებას. SPPI შეფასება ხორციელდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდგომში არ ხდება მისი ხელახალი შეფასება.

(iii) გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. ჯგუფი საპროგნოზო საფუძველზე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ინვესტიციებისთვის სავალო ფასიან ქაღალდებში. ჯგუფი აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს ინვესტიციებზე სავალო ფასიან ქაღალდებში ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ასახავს: (i) მიუკერძოებელ და ალბათობით შეწონილ თანხას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით, (ii) ფულის დროით ღირებულებას და (iii) ყველა გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია ზედმეტი ხარჯების გაწევის და ძალისხმევის გარეშე, ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო პირობების პროგნოზების შესახებ.

ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის გარეშე.

სავალო ფასიან ქაღალდებში ინვესტიციებისთვის ჯგუფი იყენებს გაუფასურების სამეტაპიან მოდელს, რომელიც დაფუძნებულია საკრედიტო ხარისხის ცვლილებაზე თავდაპირველი აღიარებიდან. ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის კრედიტით გაუფასურებული თავდაპირველი აღიარებისას, კლასიფიცირებულია პირველ სტადიაში. ფინანსურ აქტივებს პირველ სტადიაში აქვთ შეფასებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი თანხით, რომელიც უტოლდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის იმ ნაწილს, რომელიც გამოწვეულია დეფოლტის იმ მოვლენებიდან, რომლების დადგომაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში, ან მანამდე, თუ სახელშეკრულებო ვადა უფრო მოკლეა („12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი"). თუ ჯგუფი გამოავლენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ("SICR") თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აქტივი გადადის მე-2 სტადიაზე და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით, ანუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, მაგრამ მოსალოდნელი გადახდილი ავანსების გათვალისწინებით. , ასეთის არსებობის შემთხვევაში („არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი"). თუ ჯგუფი დაადგენს, რომ ფინანსური აქტივი კრედიტით გაუფასურებულია, აქტივი გადადის მე-3 სტადიაზე და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება, როგორც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

აღიარების შეწყვეტა. ჯგუფი მაშინ წყვეტს სავალო ფასიან ქაღალდებში ინვესტიციების აღიარებას, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია, ან სხვაგვარად იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები ფინანსური აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე, ან (ბ) როდესაც ჯგუფი გადასცემს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან აფორმებს სატრანზიტო გარიგებას, რომლის პირობებითაც (i) აქტივის ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი გადაიცემა ან (ii) რომელშიც ჯგუფი არც გადასცემს და არც ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს და არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე.

კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაჰენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი მთლიანად არადაკავშირებულ მესამე მხარეს, გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

30 ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

(ვ) სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც საკუთარი კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციების გამოშვებისა და აქციის ოფციონებისთვის პირდაპირ მიკუთვნებადი ზღვრული ხარჯების აღიარება ხდება კაპიტალიდან გამოქვითვის სახით, საგადასახადო ეფექტის გათვალისწინების გარეშე.

(ზ) დივიდენდები

დივიდენდებია აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება საკუთარი კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც მათი გამოცხადება და დამტკიცება ხდება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდების შესახებ ინფორმაცია მოცემულია „შემდგომი მოვლენების" განმარტებით შენიშვნაში.

(თ) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და ყოველგვარი დაგროვილი გაუფასურების ზარალი. დანახარჯები მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. ძირითადი საშუალებების ნებისმიერი ერთეულის გასვლის შედეგად შემოსულობის ან ზარალის მიღება განისაზღვრება გასვლიდან მიღებული შემოსავლის შედარებით ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასთან და მისი აღიარება ხდება წმინდა თანხით მოგებაში ან ზარალში, სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯების ნწილში.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალების მუხლის კომპონენტის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს ამ კომპონენტში შემავალ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება შეიძლება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ტექნიკური მომსახურების ყოველდღიური ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, მისი გაწევისთანავე.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებების მუხლების ცვეთა ხდება მათი დამონტაჟების და ექსპლუატაციისთვის მზადყოფნის თარიღიდან ან, შიდა რესურსებით შექმნილი აქტივების შემთხვევაში, იმ თარიღიდან, როდესაც დასრულდა აქტივის შექმნა და იგი ექსპლუატაციისთვის მზად არის. ცვეთა ეყრდნობა აქტივის თვითღირებულებას, რომელიც შემცირებულია შეფასებული ნარჩენი ღირებულებით. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს, მისი ცვეთა ხორციელდება განცალკევებით.

ცვეთა მოგებაში ან ზარალში აღიარდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო მომსახურების შეფასებულ ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის საფუძველზე, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივში შემავალი სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას.

30 ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

ავეჯისა და ინვენტარის სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადები 5-დან 10 წლამდე მერყეობს; საიჯარო გაუმჯობესების სასარგებლო მომსახურების ვადაა შესაბამისი იჯარის ვადა და, თუ იჯარის ვადა განსაზღვრული არ არის, მაქსიმუმ, 7 წელი, ხოლო სატრანსპორტო საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა 10 წელია. ცვეთის დარიცხვის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაისინჯება ყოველი საანგარიშგებო თარიღით და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

(i) აქტივების გამოყენების უფლება

ჯგუფს იჯარით მხოლოდ საოფისე ფართები აქვს აღებული. ხელშეკრულებები შეიძლება შეიცავდეს როგორც საიჯარო, ისე არასაიჯარო კომპონენტებს. ჯგუფი სახელშეკრულებო ანაზღაურების თანხას საიჯარო და არასაიჯარო კომპონენტებზე ანაწილებს მათი შესაბამისი ინდივიდუალური ფასების საფუძველზე.

იჯარიდან წარმოქმნილი აქტივების შეფასება თავდაპირველად ხდება მათი დღევანდელი ღირებულების საფუძველზე.

საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულებით და მოიცავს შემდეგს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი შეფასების თანხას,
- ნებისმიერ საიჯარო გადახდას, რომელიც განხორციელებულია იჯარის დაწყების თარიღით ან მანამდე, შემცირებულია მიღებული ნებისმიერი საიჯარო შეღავათით
- ყოველგვარ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, და
- საიჯარო ხელშეკრულებით მოთხოვნილ მდგომარეობამდე აქტივის აღდგენის ხარჯს.

აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა, როგორც წესი, ერიცხება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადასა და იჯარის ვადას შორის უფრო ხანმოკლე პერიოდზე. აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადები 0.5დან 2 წლამდე მერყეობს.

(ი) არამატერიალური აქტივები

ჯგუფის არამატერიალურ აქტივებს სასარგებლო მომსახურების განსაზღვრული ვადა აქვთ და მათში, ძირითადად შედის, კაპიტალიზებული კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიების კაპიტალიზება ხდება იმ ხარჯების საფუძველზე, რომლებიც გაწეულია კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შესაძენად და სამუშაო პირობებში მოსაყვანად. ჯგუფის კონტროლის ქვეშ მყოფ იდენტიფიცირებად და უნიკალურ პროგრამული უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება, როგორც არამატერიალური აქტივები, თუ მოსალოდნელია, რომ შემოდინებული ზღვრული ეკონომიკური სარგებელი გადააჭარბებს ხარჯებს. ყველა სხვა ხარჯი, რომელიც კომპიუტერილ პროგრამულ უზრუნველყოფას უკავშირდება, მაგ. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, აღირიცხება მათი გაწევის დროს.
კაპიტალიზებული პროგრამული უზრუნველყოფის ამორტიზაცია ხდება წრფივი მეთოდით. 1-დან 10 წლამდე სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

(კ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები, მარაგებისა და გადავადებული საგადასახადო აქტივების გარდა, გაუფასურების ნიშნების გამოვლენის მიზნით ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება. ასეთი ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, განისაზღვრება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

30 ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

გაუფასურებაზე შემოწმების მიზნით, აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად არ მოწმდება, ჯგუფდება უმცირეს ჯგუფებად, რომლებიც სხვა აქტივებისგან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისგან დამოუკიდებლად წარმოქმნის ფულად ნაკადებს უწყვეტი გამოყენების პირობებში. ჯგუფის კორპორაციული აქტივები არ წარმოქმნის ცალკე ფულად ნაკადებს და გამოიყენება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთზე მეტი ერთეულის მიერ. კორპორაციული აქტივები ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე ნაწილდება გონივრულობის და თანმიმდევრულობის პრინციპზე დაყრდნობით და მათი გაუფასურების ტესტირება ხდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი იმ ერთეულის ტესტირებასთან ერთად, რომელზეც ეს კორპორაციული აქტივია განაწილებული.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის ხარჯით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი პროპორციულად გადანაწილდება ამ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებში არსებული აქტივების საბალანსო ღირებულებაზე.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, რომ გაირკვეს, ხომ არ არის ზარალი შემცირებული ან აღმოფხვრილი. გაუფასურების ზარალი შემობრუნდება, თუ მოხდა ცვლილება ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ პროგნოზებში. გაუფასურების ზარალის შემობრუნება ხდება მხოლოდ იმდენად, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთისა და ამორტიზაციის გამოკლებით, გაუფასურების ზარალი რომ არ აღიარებულიყო.

(ლ) საიჯარო ვალდებულებები

იჯარიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეფასება თავდაპირველად ხდება მათი დღევანდელი ღირებულების საფუძველზე. საიჯარო ვალდებულებები შედგება შემდეგი საიჯარო გადასახდელების ჩმინდა დღევანდელი ღირებულებისგან:

- ფიქსირებული გადახდები (მათ შორის, არსებითად ფიქსირებული გადახდები), მისაღები წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით,
- ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით,
- თანხები, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ ჯგუფი გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის ოფციონის ფასი, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ ჯგუფი აღასრულებს ამ ოფციონს და
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდა, თუ იჯარის ვადა ასახავს ჯგუფის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის ოფციონის აღსრულებას.

30 ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

იჯარის გაგრძელების და ვადამდე შეწყვეტის ოფციონები ასახულია ჯგუფის მთელ რიგ საოფისე იჯარის ხელშეკრულებებში. ეს პირობები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალურად გასაზრდელად ჯგუფის ოპერაციებში გამოყენებული აქტივების მართვის თვალსაზრისით. იჯარის გაგრძელების და ვადამდე შეწყვეტის ოფციონის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ჯგუფს და არა შესაბამის მეიჯარეს. იჯარის გაგრძელების ოფციონის (ან იჯარის ვადამდე შეწყვეტის ოფციონის გამოყენების შემდგომი პერიოდი) იჯარის პირობებში აისახება მხოლოდ მაშინ, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება). ვალდებულების შეფასებაში ასევე მონაწილებს საიჯარო გადახდები, რომლებიც ხორციელდება იჯარის გონივრული დაშვებით გაგრძელების შემთხვევაში.

საიჯარო გადახდების დისკონტირება ხდება საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა არ არის შესაძლებელი, როგორც ეს ხშირად ხდება ჯგუფის იჯარების შემთხვევაში, გამოიყენება ჯგუფის ზღვრული სასესხო განაკვეთი, რომელიც წარმოადგენს განაკვეთს, რომელსაც ჯგუფი გადაიხდიდა აქტივის გამოყენების უფლების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა და პირობები ექნებოდა.

ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის დასადგენად ჯგუფი, როდესაც ეს შესაძლებელია, ამოსავალ წერტილად იყენებს ცალკეული მოიჯარის მიერ ბოლოს მიღებულ მესამე მხარის დაფინანსებას და აკორექტირებს ისე, რომ ასახოს ფინანსურ პირობებში მესამე მხარისგან დაფინანსების მიღების შემდეგ შესული ცვლილებები.

საიჯარო გადასახადები ნაწილდება ძირითად თანხასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები იჯარის მთლიანი ვადის განმავლობაში, თითოეულ საანგარიშგებო პერიოდზე ისე უნდა განაწილდეს, რომ წარმოიქმნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ვალდებულებების ნაშთის მიმართ.

აღჭურვილობისა და ავტოტრანსპორტის მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული გადახდები და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების ყველა იჯარა წრფივი მეთოდით აღირიცხება ხარჯად მოგებაში ან ზარალში. მოკლევადიანი იჯარები არის 12-თვიანი ან ნაკლები ვადის მქონე იჯარები.

(მ) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მოგების გადასახადის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის უკავშირდება პირდაპირ საკუთარ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ მუხლებს.

მიმდინარე გადასახადის ხარჯი არის წლის დასაბეგრ მოგებაზე გადასახდელი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულებები საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული ან ფაქტობრივად ძალაში შესული საგადასახადო განაკვეთების, და წინა წლებთან მიმართებით საგადასახადო დავალიანების ნებისმიერი კორექტირების მიხედვით. მიმდინარე საგადასახადო დავალიანება ასევე მოიცავს დივიდენდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებებს.

დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა.

30 ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

(ნ) აქციებზე დაფუძნებული გადახდის ვალდებულება

2021 წელს სს „თიბისი დაზღვევამ" დაამტკიცა ანაზღაურების ახალი სქემა უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისთვის, რომლითაც ჩაანაცვლა უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის 2019 წლის ანაზღაურების სქემა. ამ სქემის მიხედვით, კომპანია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელებს ყოველწლიურად გადასცემს თავისი მშობელი საწარმოს (საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფი") აქციებს ხუთწლიანი ვადით (2019-2023).

აქციების გადაცემა და ასევე შესაბამისი საშემოსავლო გადასახადი აღირიცხება, როგორც აქციებზე დაფუძნებული გადახდა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით ფასს 2-ის მიხედვით. ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება უფლების ეტაპობრივი გადაცემის მეთოდით უფლების გადაცემის პერიოდის განმავლობაში, რომელიც, ყოველ წელს გადაცემული აქციებისთვის, გრძელდება 2024 წლის მარტამდე; ხოლო ვალდებულება აღირიცხება საბუღალტრო ჩანაწერის მეორე მხარეს. ვალდებულების გადაფასება ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ვალდებულების დაფარვამდე. თუ გადაცემული აქციების ოდენობა დამოკიდებულია გარკვეული შედეგის მიღწევის და მომსახურების პირობების შესრულებაზე, ხელმძღვანელობა გადაცემული აქციების სავარაუდო ღირებულებას გადახედავს ხუთი წლის განმავლობაში პროგნოზირებული მიღწევებისა და მეხუთე წლის ფინანსური მაჩვენებლების საფუძველზე და შესაბამისად დააკორექტირებს ვალდებულებას.

ყოველი დარიცხვა ხდება დისკონტირებული ღირებულებით. ვალდებულების ამორტიზაცია ხდება საპროცენტო ხარჯის დარიცხვით (შესულია თანამშრომლებზე გაწეულ დანახარჯებში) ვალდებულების დაფარვის თარიღამდე. გამოიყენება ხუთწლიანი სახელმწიფო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი.

31 ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

2023 წლის 1 იანვრიდან შემდეგი შეცვლილი სტანდარტები ამოქმედდა, ფასს 9-სა და ფასს 17-ის მიღების გარდა, სხვა ცვლილებებს ჯგუფზე რაიმე არსებითი გავლენა არ მოუხდენია:

ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები" (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელმაც კომპანიებს მისცა უფლება განაგრძონ სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვა არსებული პრაქტიკის გამოყენებით. შედეგად, ინვესტორებს გაუჭირდათ სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მაჩვენებლების შედარება. ფასს 17 არის პრინციპზე დაფუძნებული ერთიანი სტანდარტი, რომელიც ითვალისწინებს ყველა სახის სადაზღვევო ხელშეკრულებას, მათ შორის გადაზღვევის ხელშეკრულებებს, რომლებიც მზღვეველის მფლობელობაშია.

წარმოადგენს რა ჯგუფის ძირითად ანგარიშგების სტანდარტს, ფასს 17-მა შეცვალა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და ფინანსური ანგარიშგების წარდგენა. ფასს 17-ის შეუფერხებლად და დროულად მიღების უზრუნველსაყოფად ჯგუფმა წამოიწყო ცალკე დანერგვის პროექტი. პროექტის გუნდი შედგებოდა ფინანსების, ბუღალტრული აღრიცხვისა და აქტუარული გუნდის წევრებისაგან და უშუალოდ ანგარიშვალდებული იყო ჯგუფის ფინანსურ დირექტორთან. დირექტორთა საბჭომ განახორციელა დანერგვის პროექტის საერთო მეთვალყურეობა.

ფასს 17-ზე გადასვლის შემდეგ ჯგუფი იყენებს შეფასების შემდეგ მიდგომებს, ხელშეკრულების სახეობიდან გამომდინარე:

31 ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

	პროდუქტის კლასიფიკაცია	შეფასების მოდელი
ავტოდაზღვევა	სადაზღვევო ხელშეკრულებები	პრემიის განაწილების მიდგომა
სასაზღვრო MTPL (მიერ მესამე პირის წინაშე ავტომფლობელის პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა)	სადაზღვევო ხელშეკრულებები	პრემიის განაწილების მიდგომა
ქონების დაზღვევა	სადაზღვევო ხელშეკრულებები	პრემიის განაწილების მიდგომა
აგრო (მოსავლის)დაზღვევა	სადაზღვევო ხელშეკრულებები	პრემიის განაწილების მიდგომა
თიბისი ბანკის მსესხებლების საკრედიტო სიცოცხლის დაზღვევა	სადაზღვევო ხელშეკრულებები	პრემიის განაწილების მიდგომა
ჯანმრთელობასთან დაკავშირებული დაზღვევა	სადაზღვევო ხელშეკრულებები	პრემიის განაწილების მიდგომა
ვალდებულების და სხვა დაზღვევა	სადაზღვევო ხელშეკრულებები	პრემიის განაწილების მიდგომა

ფასს 17-ის მიღება ასევე მოითხოვს, რომ ჯგუფმა 2023 წლის 1 იანვრიდან გამოიყენოს ფასს 9. ფასს 9-ზე და 17-ზე გადასვლისას, ჯგუფმა აირჩია განაახლოს ფინანსური აქტივების შედარებითი ინფორმაცია ფასს 9-ისთვის. ფასს 9 და 17-ის მიღების ეფექტი ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

		კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	
ათასი ლარი	**1 იანვარი 2022**	**ფასს 17-ის და ფასს 9-ს მიღების გავლენა**	**1 იანვარი 2022, ფასს17-ის და ფასს 9-ის მიღების შემდეგ გადაანგარიშებული**
საბანკო დეპოზიტები	46,904	(178)	46,726
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	2,903	(12)	-
საინვესტიციო აქტივები	-	-	2,891
ფასს 9-ის მიღების ეფექტი	**49,807**	**(190)**	**49,617**
სადაზღვევო მოთხოვნები	33,366	-	-
გადაზღვევის მოთხოვნები	3,887	-	-
სადაზღვევო ხელშეკრულებების მომსახურების გადაცემული წილი	8,874	322	-
გადავადებული შეძენის ხარჯები	1,474	-	-
სადაზღვევო ხელშეკრულებების მომსახურება	52,961	(134)	-
საკომისიოს ვალდებულება	15,634	-	-
გადაზღვევის ვალდებულებები	7,819	-	-
საკომისიოს რეზერვი	54	-	-
სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივები	-	-	304
გადაზღვევის სახელშეკრულებო აქტივები	-	-	9,852
სადაზღვევო სახელშეკრულებო ვალდებულებები	-	-	35,242
გადაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები	-	-	3,593
ფასს 17-ს მიღების ეფექტი	**(28,867)**	**188**	**(28,679)**
ფასს 9-ს და ფასს 17-ს მიღების კომბინირებული ეფექტი	**20,940**	**(2)**	**20,938**

31 ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

ფასს 9-ის და ფასს 17-ის მიღების კომბინირებული ეფექტი აღრიცხულია სააქციო კაპიტალის გაუნაწილებელი მოგების ნაწილში.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში განხორციელებული ცვლილებები: საღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი საღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი საღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ საღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა საღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი საღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ხდიდეს არსებით ინფორმაციას საღრიცხვო პოლიტიკის შესახებ გაურკვეველს. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია საღრიცხვო პოლიტიკის შენიშვნებში განმარტებისას.

ბასს 8-ში შესწორებები: საღრიცხვო შეფასებების განსაზღვრა (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვაონ კომპანიებმა საღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები საღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან.

გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან- შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს, ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 12-ში შეტანილი ცვლილებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა ისეთ ოპერაციებზე, როგორიცაა საიჯარო და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები. განსაზღვრულ გარემოებებში, საწარმოები თავისუფლდებიან გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ისინი პირველად აღიარებენ აქტივებს ან ვალდებულებებს. მანამდე არსებობდა გაურკვევლობა იმის თაობაზე, ეხებოდა თუ არა შეღავათი ისეთ გარიგებებს, როგორიცაა საიჯარო და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები - ოპერაციები, რომელთათვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ისე ვალდებულება. ცვლილებების თანახმად, შეღავათი არ მოქმედებს და საწარმოები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ამ ოპერაციებზე. ცვლილებების თანახმად, კომპანიები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ოპერაციებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობს დასაბეგრი და გამოქვითვადი დროებითი სხვაობების თანაბარ რაოდენობას.

ბასს 12 „მოგების გადასახადები“ -შესწორებები: საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – მეორე კომპონენტის სამოდელო წესები (გამოცემულია 2023 წლის 23 მაისს). 2023 წლის მაისში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (ბასსს) გამოსცა ვიწრო მასშტაბის ცვლილებები ბასს 12-სთვის „მოგების გადასახადები“. ეს ცვლილება შემოღებულ იქნა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ საერთაშორისო საგადასახადო რეფორმის შედეგად გამოქვეყნებული მეორე კომპონენტის სამოდელო წესების გარდაუვალი დანერგვის საპასუხოდ. ცვლილებები ითვალისწინებს დროებით გამონაკლისს გადავადებული გადასახადების აღიარებისა და განმარტების მოთხოვნისგან, რაც წარმოიქმნება მოქმედი, ან არსებითად ძალაში შესული საგადასახადო კანონმდებლობიდან, რომელიც ახორციელებს მეორე კომპონენტის სამოდელო წესების დანერგვას. ბასს-ის ძალაში შესვლის თარიღის შესაბამისად, კომპანიებს გამონაკლისის გამოყენება დაუყოვნებლივ შეუძლიათ, მაგრამ შენიშვნებში განმარტების მოთხოვნები მოთხოვნილია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ.

32 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

გამოცემულია ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2024 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის და რომელთა გამოყენებაც მანამდე ჯგუფს არ დაუწყია.

შესწორებები ფასს 16-ში: იჯარა: იჯარის ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). შესწორებები ეხება გაყიდვისა და უკუიჯარის ოპერაციებს, რომლებიც აკმაყოფილებს ფასს 15-ის მოთხოვნებს გაყიდვის გზით აღრიცხვის შესახებ. ცვლილებები მოითხოვს, რომ გამყიდველმა-მოიჯარემ შემდგომში შეაფასოს ვალდებულებები, რომლებიც წარმოიქმნება გარიგებიდან და ისე, რომ არ აღიაროს რაიმე სახის შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან. ეს ნიშნავს ასეთი შემოსულობის გადავადებას მაშინაც კი, თუ არსებობს ვალდებულება განხორციელდეს ცვლადი გადახდები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსსა თუ განაკვეთზე.

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ფასს 1-ის შესწორებები (თავდაპირველად გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და შემდგომში შესწორებულია 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.). ამ შესწორებებით ირკვევა, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ან გრძელვადიანი, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული უფლებების გათვალისწინებით. ვალდებულებები არ წარმოადგენს მოკლევადიანს, თუ საწარმოს, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, აქვს არსებითი უფლება გადაავადოს ანგარიშსწორება სულ მცირე თორმეტი თვით. სახელმძღვანელო მითითებები აღარ მოითხოვს მსგავსი უფლების უპირობობას. 2022 წლის ოქტომბრის შესწორებამ დაადგინა, რომ სასესხო შეთანხმებები, რომლებიც უნდა შესრულდეს საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, არ იმოქმედებს ვალის მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციაზე ანგარიშგების თარიღისთვის. ხელმძღვანელობის მოლოდინი, შემდგომში გამოიყენებს თუ არა ის ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, არ ახდენს გავლენას ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ საანგარიშგებო თარიღამდე, ან თარიღისთვის რაიმე პირობა დაირღვა და მიუხედავად იმისა, სესხის გამცემისგან ამ პირობაზე უარი მოპოვებული არის თუ არა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ. და პირიქით, სესხი კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ სასესხო შეთანხმება დაირღვა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. გარდა ამისა, შესწორებები მოიცავს ისეთი ვალის კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას, რომლის ანგარიშსწორებაც კომპანიას მისი საკუთარ კაპიტალად გარდაქმნით შეუძლია. „ანგარიშსწორება“ განისაზღვრება, როგორც ვალის ფულადი სახსრებით, ეკონომიკური სარგებლის შემცველი სხვა რესურსებით, ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით დაფარვა. არსებობს გამონაკლისი გარდაქმნად ინსტრუმენტებზე, რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას კაპიტალად, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, სადაც გარდაქმნის შესაძლებლობა კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი, როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტი [ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.]

ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს). ფინანსური შეთანხმებების არაადეკვატური ან შეცდომაში შემყვანი განმარტებების შესახებ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა მოთხოვნის საპასუხოდ, 2023 წლის მაისში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა ცვლილებები ბასს 7-სა და ფასს 7-ში, რათა მოთხოვნილ იქნას საწარმოს მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების შესახებ განმარტება შენიშვნებში. ეს ცვლილებები მოითხოვს საწარმოს მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების განმარტებას შენიშვნებში, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს შეაფასონ ამ შეთანხმებების გავლენა საწარმოს ვალდებულებებსა და ფულად ნაკადებზე, ასევე საწარმოს ლიკვიდურობის რისკისადმი დაქვემდებარებაზე. განმარტებითი შენიშვნების დამატებითი მოთხოვნების მიზანია მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების გამჭვირვალობის გაზრდა. ცვლილებები გავლენას არ ახდენს აღიარების, ან შეფასების პრინციპებზე, არამედ მხოლოდ განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნებზე.

32 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

განმარტებითი შენიშვნების ახალი მოთხოვნები ძალაში შევა 2024 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის.

ფასს 14, გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშები (გამოცემულია 2014 წლის 30 იანვარს და ძალაშია 2016 წლის 1 იანვარს დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). სტანდარტის პირველად გამოყენებისას ფასს 14 უფლებას იძლევა გაგრძელდეს განაკვეთების რეგულირებასთან დაკავშირებული თანხების აღიარება მათი წინა, საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების მოთხოვნების შესაბამისად მაშინ, როდესაც ისინი იწყებენ ფასს სააღრიცხვო სტანდარტების გამოყენებას. თუმცა, ისეთ საწარმოებთან შედარებითობის უზრუნველსაყოფად, რომლებიც უკვე იყენებენ ფასს სააღრიცხვო სტანდარტებს და მსგავს თანხებს არ აღიარებენ, სტანდარტი მოითხოვს, რომ განაკვეთების რეგულირების ეფექტი წარმოდგენილი იყოს განცალკევებით სხვა მუხლებისგან. საწარმო, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებებს უკვე წარადგენს ფასს სააღრიცხვო სტანდარტებთან შესაბამისობაში, არ არის უფლებამოსილი გამოიყენოს მოცემული სტანდარტი.

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა-ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ასსს-ის მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ეს ცვლილება ეხება ფასს 1--ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვას ან შეტანას.

ამ ცვლილების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს.

ჯგუფი ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

33 შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია არანაირ მოვლენებს.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N240526194
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	30.04.2024 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	სალომე სალუქვაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული, კომერციული ფართი #4, 3ა
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	577921111
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	62834764325824

ორიათას ოცდაოთხი წლის ოცდაათ აპრილს, მე, სალომე სალუქვაძე, ნოტარიუსი ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, 1 სართული, კომერციულ ფართ #4, 3ა-ში, ვამოწმებ თარჯიმნის ქეთევან ბეჟიტაშვილის, დაბ. 09.04.1979წ. პირადი #01018003510, პირადობის მოწმობა #11IB13032 /დიპლომი #AA 0067541, გაცემული ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2001წ./ ხელმოწერის ნამდვილობას, მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - სს თიბისი დაზღვევა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მომზადებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2023 წლის 31 დეკემბერი, თარგმანზე. მე ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმნის სისწორეზე. მან დამიდასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმნის სიზუსტეს. თარგმანი შესრულებულია ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე. გადახდილია საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული #507-ე დადგენილების 31.4-ე მუხლის თანახმად 222.00 ლარი, საქართველოს საგადასახადო კოდექსისი 166-ე მუხლის თაანხმად 39.96 ლარი და 39.1. მუხლის თანახმად ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 5.00 ლარი. სულ გადახდილია 266.96 ლარი.

ნოტარიუსი სალომე სალუქვაძე

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

JSC TBC Insurance

The Management Report

31 December 2023

Table of Contents

1. **At a Glance** 3
2. **General Overview** 4
3. **Digital Channels** 5
4. **Financial Highlights** 6
5. **CEO Letter** 8
6. **Risk Management** 10
7. **Our Team** 11
8. **Corporate Governance** 12
9. **Supervisory Board** 12
10. **Management Board** 14

1. At a Glance

JSC TBC Insurance (“TBC Insurance” / “The Company”) along with TBC Bank, is a member of TBC Bank Group PLC, Georgia’s largest financial group known for its outstanding financial performance, superior customer experience, strong brand and best-in-class digital channels.

TBC Insurance is the leading player in the non-health insurance market, with strong digital multichannel presence and varied and innovative digital products. We strive to achieve sustainable financial results and to maximize shareholder value, while being responsibile to our customers, employees, community and the environment. Customer satisfaction is at the heart of everything we do. This ethos coupled with innovative approaches of young and talented employees working collaboratively with the experienced and versatile management team ensures that the company shows stable year-over-year financial performance.

TBC Insurance covers all business sectors including Retail, SME and Corporate, with multiple products that are designed to meet various needs of retail and business customers. Products are delivered through highly-developed multichannel network, each channel and product being tailored to the needs and preferences of a particular customer group.

In 2019 we launched the Health Insurance line and by the end of 2023 achieved 53,000+ insured clients, supported by 436 provider clinics across the country.

The Company operates the first digital healthcare ecosystem in Georgia, Redmed. Redmed LLC is a fully owned subsidiary of TBC Insurance, the only subsidiary entity as of 31 December 2023.

Redmed is a fully digital find-a-medical service company, allowing customers to quickly find, book and receive medical services remotely. The application is simple to use – customers need to register and create an account to search for a doctor, book an appointment, get a medical consultation online, order medicines, etc.

As the trend towards the ecosystem service model is increasing rapidly, we believe this service model will prove successful and will allow us to:

- Enhance data analytics capabilities, which will eventually improve our underwriting effectiveness;
- Decrease unnecessary outpatient referrals within clinics, thereby decreasing claim expenses and ultimately positively affecting loss ratio;
- Automate processes and allow instant claim recognition and reimbursement.

Our Vision

We do the right things to make life easier.

Strategic Priorities

- Transparent, convenient and timely claims settlement services
- Digitalized sales channels and processes
- Efficient management of Net Combined Ratio[1]
- Supportive, strong and modern brand
- Outstanding user experience for both corporate and individual customers

2. General Overview

In 2023, casco insurance remains the largest product on Georgian non-health insurance market with 32.5% share. Casco market increased 25.7% year-over-year and this was the main driver that contributed to the total non-health insurance market increase of 16.9%. The easing of pandemic-related restrictions boosted travel insurance sales in 2022 and it had the largest year-over-year growth of 77.9% last year. In contrast, travel insurance experienced only modest growth of 2.1% in 2023.

With a market share of 23.3% in 2023, TBC Insurance retained second position in the non-health insurance market.

Total non-health market (w/o mandatory MTPL) written premium[2] increased by GEL 79,988 thousand (from GEL 470,479 thousand in 2022 to GEL 550,717 thousand in 2023), with most of the increase being attributable to the growth of Corporate and Retail sectors, while Public sector remaining almost unchanged.

TBC Insurance reached several milestones in 2023:

- Maintaining the number one position on the retail non-health insurance market and the 2nd position on total retail insurance market.
- Updating and improving digital presence.
- Maintaining efficiency with Heath Insurance Net Combined Ratio almost unchanged (92.8% in 2023 vs 92.1% in 2022), while managing the increase in health insurance portfolio by 45.7%.

In 2023, TBC Insurance continued to actively utilize variety of retail sales channels - in-house and external digital channels, bank physical branches, the Company's Affluent Sales Divisions, Agency Network

[1] Net insurance claims plus acquisition costs and administrative expenses divided by net earned premium.
[2] Sum of contractual insurance premiums of all contracts entered into force during the financial year less cancellation effect of contracts cancelled during the financial year.

(including branches in Batumi, Poti, Zugdidi & Kutaisi), and car retailers. Total premium written via these channels in 2023 stands at GEL 84,123 thousand. This corresponds to 19.8% YoY increase.

3. Digital Channels

Traditional insurance practices are being reshaped by advancements in technology, and as a market leader, TBC Insurance desires to offer its customers the best insurance experience. Driving digital transformation therefore remains one of TBC Insurance's strategic priorities.

As part of its digitalization strategy, the development of the TBC Insurance application stands out.

In 2023, we launched a new premium travel insurance product within the application. Additionally, we updated casco modules with new video recording features. In the health module, we enhanced services for VIP clients. By the end of the year, integration of travel insurance passes into Apple- and Google Wallets had commenced, along with the initiation of work on an Apple Pay product.

We have introduced modern user management features in the application, allowing everyone to register in the mobile app without an active insurance policy.

For their comfort, we offer our mobile application to our policyholders, that streamlines insurance products, claims processing, and medical appointments. The next strategic move will be to improve this application with a number of complementary features aimed at boosting client engagement and facilitating a seamless user experience. TBC Insurance is positioning itself in the market as a digital service company with the aim of becoming the leading insurance service provider in the region, creating a wow digital insurance experience and maintaining stability and security, including data protection.

In May 2023, we further increased our digital presence with the launch of TBC Insurance's latest app, Aggento. This app provides an easy and quick opportunity for anyone to earn extra income by referring leads of a variety of insurance products.

In September 2023 we started our Mobile App and WEB redesign project, introducing a new design concept and evaluating/auditing existing processes.

Insurance ecosystems encourage collaboration and innovation among different players in the industry. 2023 was a year of redesigning and improving the insurance module in TBC Bank’s internet and mobile bank. This project allowed TBC Insurance to offer a smooth user experience alongside TBC Insurance platforms.

During 2022-2023, one of TBC Insurance's key focuses was simplifying and optimizing the claims handling process using our claims CRM. Striving for excellence in claims handling procedures, TBC Insurance increased digitization across both internal processes and customer-facing systems. Significant enhancements encompass streamlined processes, including claim registration, evaluation, calculation, and

approval procedures, resulting in the minimization of human errors. It also integrates various work channels into one cohesive space.

Advantages of CRM:

- 80% automation in processes.
- Single work area for motor claims team – no need to use multiple programs for claim regulation, all information is stored in CRM.
- Improved processes, including customization of flows according to claim type (partial loss/total loss; easy claim/complex claim, regulation via photo collection tool or without the tool).
- The system architecture allows future development and integration.
- Modern UX/UI.

Through automations and process/flow optimization, the average claim regulation time reduced by 20%.

As part of the seamless claims handling process, a new project with the Indian company Autorox was initiated at the end of the year, allowing for the automation of service center management processes.

To complete digital services in all areas of the auto claim regulation process, TBC Insurance developed a new application for claim officers. This modern tool enables officers to receive notifications for insurance accidents under their responsibility, take photos of accidents via live camera, upload them later from the gallery and send the collected photos to the CRM.

4. Financial Highlights

Similar to 2022, 2023 was characterized by fierce competition in the SME & Corporate market. Notwithstanding, we managed to insure some of the leading companies on the market, including multinational, as well as local companies in hospitality, distribution, retail, services, technologies and other industries, both in the Health and Non-Health segments.

Year-over-year development of our key financial indicators are shown on charts below:













** CAGR – Compounded annual growth rate*

[Amounts in mln GEL; Market share excluding Mandatory MTPL and Health Insurance lines]

[1] All insurance claims paid to the policyholders plus change in estimation of claims yet to be settled, net of reinsurance share

5. CEO Letter

Overview

2023 was more steady year compared to 2022 as initial uncertainties related to Russia-Ukraine war began to fade and inflation began to decrease (average 2.5% in 2023 vs 11.9% in 2022). Our key priority remained our employees and customers.

Main achievements

We managed to retain our market position and by the end of 2023. With 34.9% market share TBC Insurance held the **1st position the non-health retail market** and with 23.3% market share 2nd position of the total non-health market.

Our corporate health insurance client base has increased by 43.6% YoY and exceeded 53,000+ insureds by the end of 2023, which is noteworthy considering the high level of saturation of the corporate health insurance market.

In the new world that has emerged post COVID-19 pandemic, our digital strategy in non-health business proved to be more relevant than ever. In 2023, Our digital sales exceeded GEL 2 million, while share of motor claims that are settled online increased by 9.1%. In the meantime, our Health insurance application has gained popularity among the insureds, with a 39.8% increase in users.

Value Created for Employees

In TBC insurance, success starts with our team!

To engage and motivate our employees, in 2023 we continued investing in our employees, by providing seminars and trainings to expand their knowledge and hone skills that are essential to achieve underwriting, operational and sales excellence.

